# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 მაისი, 2006 წელი.

№ 89 (5427)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## მართლაც, რას გვაჭმევთ, ბატონებო?

იხ. მე-4 გვ.







იხ. მე-6 გვ.

## ჩვენს დანახვას სიკვდილი ურჩევნიათ

## შთაგონება და ფული

კვირაძის საკითხავი

იხ. მე-8-9 გვ.

## რატომ გვმოძღვრავს გიორგი თავაძე ესოდენ ჯანმრთელად „ჯანმრთელი“ დენის თაობაზე?

იხ. მე-3 გვ.



იხ. მე-2-3 გვ.

## სიტყვა „ლიკვიდაცია“ კვლავ მკვიდრდება ჩვენს ყოფაში

## დავუბრუნოთ სტალინი გამარჯვებას



იხ. მე-10 გვ.

●

## მიხეილ ჭიაურელის მოგონებებიდან



იხ. მე-12 გვ.

●

## „გიმნაზისტკებმა“ ზურაბ ლეჟავას მამა რუსთაველზე ნიახურის კონებით სცემეს

იხ. მე-5 გვ.



კვირის თვალსაწიერი

# სიტყვა „ლიკვიდაცია“ კვლავ მკვიდრდება ჩვენს ყოფაში

**გასული კვირა ორი მოვლენით იყო გაჯერებული: მოიხადა თუ არ მოიხადა ბოდიში ნინო ბურჯანაძემ თავდაცვა-ღვინის მინისტრის უკადრისი სიტყვების გამო და თბილისში, სანაპიროზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტა...**

რუს ჟურნალისტთან, კერძოდ, „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სინანულით აღნიშნა, მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს არამც და არამც არ უნდა ეთქვა ცნობილი „ფეკალური სიტყვებიო“.

ანუ, მან მართლაც ბოდიში მოიხადა იმ როყიო და შეურაცხმყოფელი გამონათქვამის გამო, რამაც ასე აალელვა და გადარია რუსეთის საზოგადოებრიობა და დიდად ავნო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას, ეს ურთიერთობა შეაფერხა და კიდევ უფრო გაამწვავა. კაცმა რომ თქვას, მატერიალურად ისეთი რა უნდა შემატოს ირაკლი ოქრუაშვილმა ხაზინას თავისი ქვეყნიერების ოთხივ კუთხით სალვინო ვოიაჟებით, რაც იმ უზრდელი სიტყვებით დააკლო?

საპარლამენტო უმრავლესობა თავს იკლავს, რის ბოდიში, უბრალოდ პირი მოსწმინდაო.

ოპოზიცია კი ქალბატონი ნინოს ნაბიჯს იწონებს, ეს ბოდიში დროული და ნორმალური ნაბიჯი იყოო.

რადგანაც უმრავლესობა უმრავლესობაა, ოპოზიცია კი უმცირესობა, უფრო მეტმა ჩააკხშო უფრო ნაკლები ხმა: ისე ჩანს, რომ ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეს გმირული ცდა, გამოესწორებინა მინისტრის სალდოფონური ნათქვამით და დუმის 100 წლისთავის ზეიმზე თავისი გამოსვლით რუსეთის საზოგადოებაში გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილება, წყალში ჩაუყარეს.

ოღონდ, აქ რამდენიც გინდა ვიძახოთ, ეგრე არ იყოო, რუსეთის საზოგადოებამ სწორედ ისე მიიღო ნინო ბურჯანაძის სიტყვები, როგორც მან თქვა – მობოდიშებად.

და ამაში ცუდი და „დამამცირებელი“ არაფერია.

**თვით ირაკლი ოქრუაშვილის დამოკიდებულება კი მთელი იმ ამბისადმი კვლავაც უტეხ-„ჰეროიკულია“: ყველას უფლება აქვს, უნდა ბოდიში მოიხადოს, უნდა მადლობა**




**გადაიხადოს (ანუ, პარლამენტის თავმჯდომარემ რაც უნდა ის არაკუნოსოძ, მე კი ბოდიშს მხოლოდ მაშინ მოვიხდი, როცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დავიბრუნებთო.**

კაცმა რომ თქვას, რას ერჩი, ბატონი ირაკლის გათვლით, ეს დრო შორს არ არის: გვპირდება, რომ 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში ხაბიზგინებით ჩავიკოკლოზინებთ ყელს. ჯერ არ ამხელს, თორემ სოხუმ-გუდაუთაში შეგრიალების დროც ექნება ალბათ დათქმული თავისთან, სამინისტროში – სამხედრო საბჭოზე ან უფრო მაღლა – უშიშროების საბჭოზე.

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ რომ არ ვთქვა, ნამდვილად არ ეგების: ძალზე ძნელი საყურებელი და ალსაქმელია მისი ასეთი გაქირი.

სერვანტესს როგორღაც აქვს ნათქვამი, **არიან ადამიანები, რომელთაც ლათინურის ცოდნა ხელს არ უშლით, ვირებად დარჩნენო.** ის კაცი მართლა გენიოსი იყო...

ამასობაში კი „კომსომოლსკაია პრავდამ“ თავის მკითხველს მოუწოდა, **თუ სამშობლო გიყვარს, არ დალიო ქართული ღვინო, იმ ქვეყნის ღვინო, რომელიც რუსეთის ყველაზე დიდი მტერიაო.** ამას მთელი ჩანართის სახით აწვდის მილიონობით მკითხველს, თანაც ურჩევს, ეს ჩანართი კედელზე გააკარი, მუდმივ გაფრთხილებად, რათა ღმერთი არ გაგიწყრეს და „საფერავზე“ ან „ქინძმარაულზე“ ხელი არ წაგიცდესო.

აი, ეს მოვიმკეთ ჩვენი პოლიტიკოსების დაუფიქრებელი სიტყვა-ქცევით, საშიში „პატრიოტიზმითა“ და ქრონიკული სიბეციით.

აქეთ კიდევ ბუნება გვსჯის და ვენახები გაგვიტიალა. მოულოდნელმა და უდროო სიცივეებმა კახეთში ვაზი მოტუსა და გლეხებმა გასაყიდად კი არა, იქნებ თავიანთი დასალევი ღვინის ყურძენიც ვერ მოიწიონ. ასევეა რაჭაში – წლეულს მოგვჭამა ჭირი „ხვანჭკარამ“...

* * *

**რაც მეტი დრო გადის 2 მაისს სანაპიროზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტიდან, პოლიცია სულ ახალ-ახალი დეტალებით „ამდიდრებს“ იმ დღის მოვლენებს, და, შესაბამისად, უფრო და უფრო აბუნდოვნებს მას.**

თან სწყინს, რომ საზოგადოებრიობა ძალზე მძაფრ გულისწყრომას გამოთქვამს.

**საზოგადოებრიობა მართლაც აღშფოთებულია მომხდარით.**

**ოღონდ, აღშფოთებულია არა მხოლოდ იმის გამო, რომ პოლიციასა და ბოროტმოქმედთა შეტაკებისას ადამიანები დაიღუპნენ, არამედ იმის გამო, რომ ვერ ხედავს, აუცილებელი იყო თუ არა იარაღის გამოყენება. უფრო და უფრო ხმამაღლა და ხმაშეწყობით გამოითქმის ვარაუდი რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძოლის პოლიტიკა დამნაშავეთა არა დაკავებაზე, არამედ ლიკვიდაციაზეა ორიენტირებული.** სტატისტიკა გვაცნობებს: 2005-2006 წლებში სპეცოპერაციების დროს მოკლეს 24 სავარაუდო დამნაშავე, ამავე სპეცოპერაციებს შეეწირა 16 პოლიციელის სიცოცხლე.

ამ ციფრებმა არ შეიძლება არ შეგაშფოთოს.

ერთი რამ ნათელია: სპეცოპერაციებს მსხვერპლი მოჰყვება, ე. ი. ის ისინი არასწორად იგეგმება.

ასეთი არასწორად დაგეგმილი ოპერაციები კი, როგორც ვხედავთ, მომრავლდა და გინდა-არ გინდა, ძალიან ემსგავსება ამ გზით დამნაშავეთა სამყაროს (და საზოგადოებისძ დაშინების ცდას.

ასეთი სისხლისღვრის დროს კანონი არ კანონობს, ანუ უკანონობა მეუფებს.

არადა, დამნაშავეთა სამყაროს არა უკანონობის, არამედ კანონის უნდა ეშინოდეს. სხვაგვარად უკუშედეგს მივიღებთ.

ამაზეა ლაპარაკი, თორემ პოლიციამ დიახაც უნდა ებრძოლოს დამნაშავეთა სამყაროს, რის დროსაც, ბუნებრივია, მსხვერპლიც იქნება.

ახლა კვლავ პირველ კითხვას მივუბრუნდეთ: რამდენად აუცილებელი იყო იმ კონკრეტულ შემთხვევაში იარაღის ხმარება და „ლიკვიდაციის“ ოპერაციის ბოლომდე მიყვანა.

მანამდე კი ერთ „ქვეკითხვას“ უნდა გაეცეს პასუხი: რა ოპერაცია იყო იმ დღეს – თვალთვალი თუ დევნა?

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე ოქრუაშვილთან დაპირისპირებას უარყოფს



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კატეგორიულად უარყოფს პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს პარლამენტის თავმჯდომარესა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს შორის დაპირისპირება და ფარული ომია.**

**აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი თქმით, არანაირი დაპირისპირება არ არსებობს, მას ირაკლი ოქრუაშვილთან ძალიან კარგი, კოლეგიალური ურთიერთობა აქვს. ეს არ გამორიცხავს, რომ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მათ განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ.**

**ბურჯანაძის განცხადებით, საჭიროა ნებისმიერი აზრის კორექტულად გამოხატვა. „თუმცა, როცა შენს ქვეყანას უსამართლოდ ექცევიან, ემოციების დაოკება ძალიან ძნელია“, – დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.**

**რუსული გაზეთის „ვრემია ნოვოსტეის“ ჟურნალისტის კითხვას, რომელიც ქართული ღვინის აკრძალვას და თავდაცვის მინისტრის გამონათქვამებს შეეხებოდა, ნინო ბურჯანაძემ უპასუხა, რომ იგი ოქრუაშვილის სიტყვების გამო რუსეთის მოქალაქეებს ბოდიშს უხდის. „ჩვენმა მინისტრმა ცოტა არაკორექტულად და ემოციურად გამოხატა საკუთარი პოზიცია, რაც მას არ უნდა გაეკეთებინა. კორექტულობის ჩარჩოები ყველამ უნდა დაიცვას, რაც უნდა ნეგატიური იყოს ურთიერთობა“, – აღნიშნა სპიკერმა.**

**კომენტარი გააკეთა ირაკლი ოქრუაშვილმაც. მან განაცხადა, რომ არაკორექტული განცხადებებისთვის რუსი ხალხისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს.**

**მისი თქმით, იგი მზად არის ბოდიში მას შემდეგ მოიხადოს, რაც საქართველო ცხინვალსა და აფხაზეთს დაიბრუნებს.**

## სიღარიბის დაძლევის პროგრამა არ შეჩერდებაო

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამის შეჩერებას არ აპირებს. ამის შესახებ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა რობერტ კრისტიანსენმა გუშინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**მისი თქმით, სიმართლეს არ შეეფერება გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სავალუტო ფონდი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ კანონპროექტს არ ეთანხმება, რამაც შეიძლება პროგრამის შეჩერება გამოიწვიოს.**

**„მთავრობის ქმედებები ძალიან წარმატებულია და მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი განცხადება, რომ ფონდმა შეიძლება ვადაზე ადრე შეწყვიტოს პროგრამა, უსაფუძვლოა“, – აღნიშნა კრისტიანსენმა.**

**მისი თქმით, 2006 წლის 12-19 მაისს საქართველოს სავალუტო ფონდის მისია ეწვევა, რომელსაც ჯონ ვეიკმან-ლინი უხელმძღვანელებს. მისი მიზანია მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და ფონდის მხარდაჭერით მთავრობის ეკონომიკური პროგრამის განხორციელების განხილვა.**

**ინტერპრესნიუსი**

SIC!

## სასამართლომ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ბათილად სცნო!

**2006 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე გიორგი გვენეტაძეძ დააკმაყოფილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის 14 თანამშრომლის სარჩელი თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 16 ნოემბრის №235 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.**



№235 ბრძანება უნივერსიტეტში ახალი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ მუშაკთა გადაყვანის ნაცვლად (რასაც ითვალისწინებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და პრეზიდენტის ბრძანებულებაძ, კონკურსს აცხადებდა. კონკურსის გამოცხადება გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ (2006-2007 სასწავლო წლის დასაწყისიძ არჩეული აკადემიური საბჭოს პრეროგატივაა.

**დალი ქვირია**

სიტუაცია

# დევნილთა საპროტესტო განწყობა მატულობს

**ბოლო დროს დევნილთა შორის შესამჩნევად იმატა საპროტესტო განწყობამ. ეს სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან მათი პრობლემების მიმართ ზერელე, არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულებით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში დევნილთა სოციალური, მორალური რეაბილიტაციის საკითხების გაუთვალისწინებლობითა, მათი უფლებების იგნორირებით აიხსნება. მათ ისიც აფიქრებთ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის და პოლიტიკური ძალების მხრიდან წლების განმავლობაში (და, განსაკუთრებით, ბოლო დროსძ უპასუხოდ რჩება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების გამუდმებული მოთხოვნა დევნილობაში მოქმედი ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურების გაუქმების, მათი უკანონოდ ცნობის შესახებ.**

შექმნილ ვითარებას ამძიმებს სახელისუფლებო სტრუქტურებსა და დევნილთა შორის გაუცხოების საშიში ტენდენციების ჩამოყალიბებაც, რის სიმპტომები დიდი ხანია შეიმჩნევა. **გახშირდა ფაქტები, როცა მოხელეები დევნილთა საკითხებს სპონტანურად, საქმეში ჩაუხედავად, პრობლემის შეუსწავლელად და გაუანალიზებლად, უხეში შეცდომებითა და კანონგადაცდომებით წყვეტენ, რის გამოც დევნილთა სასარგებლოდ მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებები ხშირად ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებისა და საზოგადოებაში მორიგი დაძაბულობის წინაპირობა ხდება.**

ამის შესახებ იყო ლაპარაკი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში გამართულ პრესკონფერენციაზე. ითქვა, რომ მათთვის უცხო არ არის დევნილი თანამემამულეების უკმაყოფილება, მათი გულისტკივილი და პროტესტის გამომწვევი მორალური და ფსიქოლოგიური ასპექტები, რასაც ხშირად ვერ აცნობიერებენ არათუ უცხოელი ინვესტორები, არამედ სახელმწიფო სამსახურში მყოფი ზოგიერთი ჩვენი თანამემამულეც, აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურების უფრო აქტიურად ჩართვა დევნილი მოსახლეობის უფლებების დასაცავად.

**იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და მორალური რეაბილიტაციის სახელმწიფო სტრატეგიის წლების მანძილზე არარსებობამ ის განაპირობა, რომ განსაზღვრული არ არის პოლიტიკურ სპექტრში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში დევნილთა ადგილი და მონაწილეობის მნიშვნელობა, რაც მათი მორალური დათრგუნვისა და ნიჰილისტური განწყობილების საფუძვლიანი მიზეზია.**

პრესკონფერენციის მონაწილეებს გააცნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ყოველივე ამან შესაძლოა გაუთვალისწინებელი და ძნელადკონტროლირებადი პროცესებისკენ უბიძგოს დევნილ მოსახლეობას, რის გამოც კიდევ ერთხელ მიაპყრობენ ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღებას დევნილთა პრობლემებზე და ამ პრობლემების გადაჭრაში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლების აუცილებლობაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დაუშვებლად მიაჩნია პროცესების არსებული სახით განვითარება და დევნილთა პრობლემებით დაკავებულ როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ძალებს აქტიური თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს.

**ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა რეალიზაციისა და სახელმწიფოს ნების აღსრულების გარდა, აუცილებლად დააყენებს დევნილთა უეჭველი კონსოლიდაციის საკითხს, რაც პირდაპირ მიანიშნებს მათი სოციალური პრობლემების მოგვარების უდიდეს პოლიტიკურ დატვირთვაზე და დღის წესრიგში აყენებს მის აყვანას სახელმწიფო პოლიტიკის განსაკუთრებულ პრიორიტეტთა რანგში,** – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, დევნილ თანამემამულეებს, მიუხედავად მათი უმძიმესი სოციალური, ყოფითი, ურთულესი მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, მოუწოდებენ, ბოლომდე შეინარჩუნონ წონასწორობა და გამოიჩინონ ჩვეული მაღალი შინაგანი და პოლიტიკური კულტურა, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეძლონ ყველა საჭირბოროტო პრობლემის, თავისი უფლებების ცივილიზებური, სამართლებრივი გზებით მოგვარება და დაცვა.

**სანდრო ალექსიძე**

## უყურე შენ!

# რატომ გვმოძღვრავს გიორგი თავაძე ესოდენ ჯანმრთელად „ჯანმრთელი“ დენის თაობაზე?

**სემეკის თავმჯდომარე გიორგი თავაძე გულამოსკვნილი ირწმუნება, რომ დენის ტარიფის გაზრდა აუცილებელზე აუცილებელიაო!**

თურმე, გალატაკებული მოსახლეობის ჯანსაღი, სტაბილური, ჯანმრთელი ენერგიით მომარაგება ახლანდელი, ისედაც კოშმარული ტარიფის აუმაღლებლად წარმოუდგენელი ყოფილა!

სოციალურად ყოველმხრივ დაჩაგრულ ჩვენს მოსახლეობას სემეკის ყოფილი თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი უფრო ოლიმპიური სიმშვიდით გვატყუებდა, დამაჯერებლად, მართლაც „მწუხარე სახის თავადის“ გამომეტყველებით გვაყრიდა თვალში ნაცარს.

გიორგი თავაძეს ხმა ცოტა უთრთის და უკანკალებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენზე ზრუნვით გაებზარა „საინფორმაციო ღრუ“...

თავაძეს თავისი უზარმაზარი პრივილეგიის, ჩვენს პირობებში წარმოუდგენლად მაღალი ხელფასის ბედი აწუხებს.

მაინც რამდენი იქნება სემეკის თავკაც თავაძის ხელფასი?

პარლამენტარზე მეტი?

მინისტრზე მეტი?

კომუნიკაციების (კავშირგაბმულობის) მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეზე მეტი? — სრულიად ახალგაზრდა კაცს დიმიტრი ქიტოშვილს თავისი უზარმაზარი ჯაფის ასანაზღაურებლად მინიმუმ 12 000 ლარი ეძლევა.

ოჰ, ამაზე მეტი სემეკის თავმჯდომარეს როგორ არ ერგებაო, — იტყვით თქვენ. — საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს რომ უფრო დიდი თავსატეხი აქვს, რა ფიცი-მტკიცი უნდაო...

ჰოდა, გიორგი თავაძემ საკუთარ თავს, რა თქმა უნდა, ქვემდგომ კოლეგებთან შეთანხმებით, როგორც ამბობენ, 20 000 ლარი დაუნიშნა!

ამ ფასად ნამდვილად ღირს ტარიფის ამაღლების კამპანიის სათავეში დგომაც და გაჭირვებული ხალხისთვის „ჯანმრთელი დენის“ ცეცხლის ფასად მიწოდების აუცილებლობის პროპაგანდაც.

მერე რა, რომ არა გვაქვს.

მერე რა, რომ ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის (70-80 პროცენტის) ხელფასი, ზოგადად, შემოსავალი 150 ლარს არ აღემატება, პენსია კი 33 ლარია!

სამაგიეროდ, სტრატეგიული ეკონომიკის კერძო მესაკუთრე „მარეგულირებლები“ როგორც უნდათ, ისე გრიალებენ, ხელისუფლება კი მხარს უჭერს!

მართლაც ბნელა და ეგ არის.

**სავლე სანთელაძე**

## დღესასწაული

# დღეს გიორგობაა, გილოცავთ!

**6 მაისს ქართული სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს გიორგობას. წმიდა გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველი წმინდანია. გადმოცემით ცნობილია, რომ ის ხშირად ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.**



...ბევრ ევროპულ ქვეყანაში საქართველოს წმიდა გიორგის სახელის მიხედვით, „გეორგიას“ ეძახიან. ჩვენთან, ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. „არ არიან ბორცვნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმინდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მიერ აღსრულებულ სასწაულთან იყო დაკავშირებული.

ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელის დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

...ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც — საქართველოს, უანდერძა დიდმოწამე, გიორგის სიყვარული.

ჩვენი ერი თავის განსაკუთრებულ ზეციურ მფარველს, საქართველოს მფარველობას შესთხოვს.

მოამზადა

**გიული ლიპარტიამ**

## დისკუსია

# მაინც, როდის დასრულდება ეს სასამართლო რეფორმა?

**ახლახან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა უზენაეს სასამართლოში გაიმართა და მასში მონაწილეობას იღებდა 19 ქვეყნის (მათ შორის: ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, თურქეთის) საელჩოსა და საკონსულოს, ასევე ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ევროკომისიის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები.**



დისკუსიის დაწყებამდე ჟურნალისტებთან საუბრისას ბატონმა კოტემ აღნიშნა: — ეს შეხვედრა აუცილებელი გახდა. ძალიან ხშირად მათ მიეწოდებათ ინფორმაციები არა პირველი წყაროდან და სასამართლო ხელისუფლებიდან, რომლებიც ამ საქმეში კარგად ინფორმირებულნი არიან, არამედ ზედაპირულად მცოდნე პირებისგან. ეს გარკვეულ გაუგებრობებს იწვევს. გვინდა მათ ძალიან ობიექტურად დავანახოთ ის პრობლემები, რაც სასამართლო რეფორმაში გვაქვს, ასევე, გავამახვილოთ ყურადღება გამომწვევ მიზეზებზეც.

შემდეგ კი მან მოხსენება გააკეთა მოწვეული სტუმრებისთვის. მასში აღნიშნული იყო სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები 2005-2007 წლებში: ფაქტობრივად, შარშან ხელახლა დაიწყო მასშტაბური სასამართლო რეფორმა. იგი მოიცავს სისტემის მოწყობასა და გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.

გათვალისწინებულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოდერნიზება და ახლებური ჩამოყალიბება. იქმნება გამსხვილებული რაიონული სასამართლოები, რომლებიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ მათ განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს. მაგისტრი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად.

კანონში ცვლილებებისა და დამატებების შემდგომ გარკვეულწილად შეიცვალა დისციპლინური სამართალწარმოება. საყურადღებოა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმის გამართულად და ადეკვატურად ფუნქციონირების პირობებში, რაც 2004 წლის მაისიდან დაიწყო, გათავისუფლებულია 15 მოსამართლე, მაგრამ არა კორუფციული, არამედ კანონის უხეში დარღვევის საფუძველზე, სწორედ ასეთი არაკვალიფიციური მოსამართლეების საქმიანობა იწვევს სასამართლოსადმი უნდობლობას. თუმცა პრობლემის აღმოსაფხვრელად ეს არ არის საკმარისი, აუცილებელია სისხლის სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება. ეს მექანიზმი ძალიან ქმედითია. ამას გვიჩვენებს 2004 წლის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია შვიდი მოსამართლე, საერთოდ კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 15 მოსამართლე.

რეფორმისთვის აუცილებელია კადრების შერჩევა, მათი მომზადება და გადამზადება. 2005 წელს ჩატარებული ორი სამოსამართლო გამოცდის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკადრო რესურსი 30 წელზე უფროს იურისტებში საკმაოდ მწირია, ამიტომ ასაკობრივი ცენზი 28 წლამდე შემცირდა.

უმნიშვნელოვანესია რეფორმის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა. ამიტომ სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 19 მილიონი ლარით იზრდება და 2006 წელს 33,2 მილიონი ლარი იქნება. უპირველეს ყოვლისა, იზრდება მოსამართლეთა ხელფასი, რომელიც I ინსტანციის სასამართლოებში მიაღწევს 1450 ლარს (მინიმალური ხელფასი), სააპელაციო სასამართლოებში 2000 ლარს, უზენაეს სასამართლოში — 3000-დან 4000-მდე ლარს. ასევე, ყველა სასამართლოში შეიქმნება საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გაძლიერდება წესრიგი სასამართლო შენობებში და სხდომის დარბაზებში პროცესის მიმდინარეობისას.

სასამართლოსა და საზოგადოებას შორის გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარებისთვის სასამართლოებში ამოქმედდა სპიკერ მოსამართლის ინსტიტუტი. მისი მეშვეობით სასამართლოს საშუალება აქვს საზოგადოებას თავისი პოზიცია დაუფიქსიროს ნებისმიერ ჟამს.

ისე, მაინც საკითხავია, როდის დამთავრდება ეს სასამართლო რეფორმა? რად გაიწელა იგი დროში? ხალხი მის დამთავრებას ელის!

**ლელა მანაველიშვილი**

## ინფორმაცია

### კობა სუბელიანს უჩივიან

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გუშინ თბილისის საკრებულოს ფრაქცია ახალი მემარჯვენეების თავმჯდომარის გიორგი მოსიძის სარჩელი განიხილა.**

**შედგა განმწესრიგებელი სხდომა და მოსამართლემ მოსიძის მიერ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის კობა სუბელიანის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა 18 მაისისთვის დანიშნა. ცნობისთვის: გიორგი მოსიძემ კობა სუბელიანის წინააღმდეგ სარჩელი 10 დღის წინათ შეიტანა, მოსიძე კობა სუბელიანს საჯაროობის კანონის დარღვევაში ადანაშაულებს.**

**გიორგი მოსიძის განცხადებით, მიუხედავად მრავალჯერადი მოთხოვნისა, კობა სუბელიანმა დაარღვია კანონი საჯარო ინფორმაციის შესახებ და ფრაქცია ახალ მემარჯვენეებს არ მიაწოდა ინფორმაცია დედაქალაქის გზების შეკეთებაზე დახარჯული თანხებისა და თბილისის სატელევიზიო ანძაზე განათებისთვის საჭირო თანხების რაოდენობის თაობაზე.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

### „ანტისოროსი“ სააკაშვილის გადადგომას მოითხოვს

**მოძრაობა „ანტისოროსი“ კვლავ პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას მოითხოვს.**

**ამ მოთხოვნით, მოძრაობა „ანტისოროსისა“ და იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პარტიების აქტივისტებმა გუშინ რუსთაველის გამზირზე საპროტესტო მსვლელობა და პარლამენტის შენობის წინ მიტინგი გამართეს. აქციის ორგანიზატორთა ინფორმაციით, აქციის ჩატარების შესახებ ქალაქის მერია ინფორმირებული იყო.**

**„თუ გსურთ, გაუფრთხილდეთ თქვენი და თქვენი შვილების სიცოცხლეს, მოვითხოვოთ საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა,“ — მოუწოდა მოძრაობის ლიდერმა მაია ნიკოლეიშვილმა აქციის მონაწილეებსა და საქართველოს მოქალაქეებს.**

**ინტერპრესნიუსი**



## კვირის თვალსაწიერი

# სიტყვა „ლიკვიდაცია“ კვლავ მკვიდრდება ჩვენს ყოფაში

(მეორე გვერდიდან)

შინაგან საქმეთა სამინისტრო გვარწმუნებს, რომ ეს იყო თვალთვალი და ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ბოროტგანმზრახველებმა (ალბათ ასე თქმა უფრო სწორი იქნება, რადგან ბოროტი ქმედება მათ ჯერ ჩადენილი არ ჰქონდათ, როგორც გვეუბნებიან, მხოლოდ ბოროტი ზრახვა ედოთ გულში — ვიღაც მოქალაქის ბინის გასაძარცვავად მიდიოდნენ) თვალთვალი შენიშნეს და სროლა ატეხეს...

მაგრამ აქ კედელს ვაწყდებით: თუ სავარაუდო დამნაშავეებს უთვალთვალებდნენ, ე. ი. სათვალთვალო ჯგუფი მიჰყვებოდა, საიდან გაჩნდა იქ სპეციალური დანიშნულების რაზმი. ეს ხომ ორი სხვადასხვა ქვედანაყოფია. მათ სხვადასხვა დანიშნულება და ამოცანა აკისრიათ: თვალთვალის ჯგუფს — თვალთვალის, სპეცრაზმს — აყვანის.

ჩვენი გაზეთის ექსპერტმა — ყოფილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულმა მუშაკმა, თადარიგის პოლკოვნიკმა **ტარიელ ვარდანაშვილმა** განმიმარტა:

**ხელისუფლება კრიმინალურ პროცესებს, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, შემდეგი ძალებით ებრძვის: ოპერატიულსამძებრო სტრუქტურა, რომელიც ოპერატიული ინფორმაციის კომუნიკაციებს მოიცავს; ოპერატიულტექნიკური სამსახური; ფარული მეთვალყურეობის სამსახური; ძალისმიერი სტრუქტურა (სპეციალური დანიშნულების რაზმი) და ლეგალური ინფორმაციის საშუალებები (მასმედია და ა. შ.). მთავარია, შემუშავებული იყოს ამ ძალების კომპლექსური გამოყენების მოქნილი და სრულყოფილი სისტემა. ეს სისტემა კი საკმაოდ ადვილი სამართავია, თუ მას მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები უდგანან სათავეში.**

**აბსოლუტურად დაუშვებელია ჩამოთვლილ სტრუქტურათა ფუნქციების ერთმანეთში აღრევა. როცა სპეცდანიშნულების რაზმს „ობიექტის“ ფარულ თვალთვალს დაავალებ, გამორიცხულია, რომ ღონისძიება არ გაიშიფროს. ან პირიქით: როცა ფარულ მეთვალყურეებს შეიარაღებული დამნაშავეების შეპყრობას მიანდობ, მსხვერპლი გარდუვალია. იმავდროულად, ოპერატიულ მუშაკთა პროფესიული დონე ისეთი უნდა იყოს, 2-3-კაციანი, თუნდაც კბილებამდე შეიარაღებული ჯგუფის აყვანის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. ეს ანბანური რამ არის დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.**

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ოპერაცია ნილზიანმა ძალოვანებმა განახორციელეს, რომლებმაც პირდაპირ ჩაცხრილეს ის ხალხი, ნათელია, რომ ეს იყო დევნა და არა თვალთვალი, და მისი დასრულება მოხდა ერთობ უადგილო ადგილას — ხალხმრავალ ქუჩაში, სადაც დიდი იყო მოქალაქეთა როყიო ტყვიებით დაჭრა-დახოცვის ალბათობა.

იყო თუ არა ბოლომდე ლიკვიდაცია აუცილებელი?

ბევრი ფიქრობს, არაო, რადგან მას შემდეგ, რაც დევნილთა მანქანა (რომელიც, როგორც ირკვევა, პირველი ტყვიის გავარდნის მომენტში ელვის სისწრაფით კი არ მიქროდა, როგორც თავდაპირველად გვიმტკიცებდნენ, არამედ შუქნიშანთან შეჩერდა) ტროტუარზე ავარდა და ბოძს შეეჯახა, შიგ მსხდომნი დროის რაღაც მონაკვეთში შოკში იყვნენ, მათი ცოცხლად აყვანა შეიძლებოდა და ასე ულმერთოდ ჩაცხრილვას არავითარი გამართლება არა აქვს.

მაგრამ ყველაფერი ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ისე რომ, ყოველგვარი ვარაუდი, რაც ახლა უხვად გამოითქმის, მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი.

ამ ვარაუდებს მარჯვედ იყენებს ოპოზიცია, რათა ელექტორატს განუმარტოს, რომ კრიმინალურ ელემენტთა ლიკვიდაცია სახელმწიფო პოლიტიკაა, რომელსაც მწვანე შუქი თვით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აუნთო, როცა სახალხოდ გასცა ბრძანება, დამნაშავენი ადგილზე გაანადგურეთო. ეს შემდეგ „ქვებრძანებად“ გაიმეორა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, ამ დღეებში კი, თავისი მხრივ, ბეჭედი დაასვა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმაც.

საერთოდ **იკვეთება ერთი შემაშფოთებელი რამ: პოლიტიკურ ანალებსა და მაღალი რანგის მოხელეთა მეტყველებაში კვლავ აქტიურად მკვიდრდება ტერმინი „ლიკვიდაცია“.**

ეს ფრანგული სიტყვა რისიმეს ან ვინმეს მოსპობას, რამესთვის ან ვინმესთვის ბოლოს მოღებას ნიშნავს და მასობრივად მოიხმარებოდა გასული საუკუნის 20-30-40-იან წლებში, როცა ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა ტრაგედია კი არ იყო, არამედ ჩვეულებრივი რუტინა, ყოველდღიური სამუშაო. ახდენდნენ არა ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი ოჯახების, სოფლების, კლასების ლიკვიდაციას. მაშინ ეს საშიში და თავისი არსით ბინძური სიტყვა, სანიადაგო ხმარების გამო, ისე „დაიცალა“ ავბედითი შინაარსისგან, რომ მეტყველების რიგით, ჩვეულებრივ ნაწილად იქცევა.

და აი, ეს თითქოს დავიწყებული, თითქოს უარყოფილი სიტყვა ისევ შემოდის ჩვენს ყოფაში. ადამიანები ლიკვიდაციის ობიექტები ხდებიან, ადამიანთა ლიკვიდაცია ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო მოვლენა ხდება, ეს ლიკვიდაცია გულგრილად იგეგმება და აღსრულდება.

ეს არის საშიში და ულვთო, თორემ, კიდევ ვიმეორებ, დამნაშავეობასთან ბრძოლა უმსხვერპლოდ რომ არ იქნება, ყველამ ვიცით, ვინ სულელი იქნება, გააპროტესტოს...

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ სიტუაცია

# მართლაც, რას გვაჭმევთ, ბატონებო?

## ანუ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ამძიმებს მსუბუქი თავი ფეხებს

**კვლავ მწვავე პრობლემად რჩება უხარისხო, ფალსიფიცირებულ და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციისგან ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვა. ლამის წაგვლეკოს უცხოურმა, ძირითადად, ფალსიფიცირებულმა პროდუქციამ. უკონტროლო იმპორტმა კი სამამულო ნაწარმის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია, ამ უკანასკნელმა – უმუშევართა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა და, აქედან გამომდინარე, – სოციალური პრობლემების სიუხვეც.**

**თუმცა ეს ისედაც ყველასთვის ცნობილია. ამიტომაც ამჟამად მთავარ სათქმელზე – საკვები პროდუქტების ხარისხიანობაზე, მის შემოწმების ავ-კარგიანობაზე ვისაუბროთ.**

არცთუ დიდი ხნის წინათ ქალაქში უამრავი მაკონტროლებელი სამსახური არსებობდა, ბაზრობებსა და სუპერმარკეტებში კი მაინც განუკითხაობა სუფევდა, რადგან გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამოსწორებაზე თავს არავინ იტკივებდა.

წარსულ დროში კი ვლაპარაკობ, მაგრამ ამჟამადაც გაუმჯობესების ნაცვლად მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად რომ მძიმდება?

არადა, პრაქტიკულად, უძველესი დროიდან განსაზღვრული ყოფილა ნორმები, რომლებიც მომხმარებლის უფლებებს იცავდა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთი სახის წესები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. იგი პირველად ბაბილონის მეფეს შეუდგენია. კანონი აწესრიგებდა როგორც საკრედიტო ურთიერთობებს, ისე საქონლის ხარისხსაც, აწესებდა გარკვეულ პასუხისმგებლობას ადამიანის ჯანმრთელობის საზიანო საქონლის გაყიდვისთვის.

იქ, სადაც კანონი არ მოქმედებდა, ურთიერთობები გამყიდველსა და მყიდველს შორის გარკვეული შეთანხმებებით წესრიგდებოდა, ეს შეთანხმებები ძალიან ხშირად, როგორც წესი, ტრადიციებად ყალიბდებოდა.

მაგრამ ურთიერთობათა მასშტაბების თანდათანობით ზრდამ ნათელი გახადა, რომ სტიქიურად ჩამოყალიბებული ტრადიციები მომხმარებელს ყოველთვის ვერ დაიცავდა. სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე იხვეწებოდა და განსაზღვრავდა მომხმარებელთა როგორც უფლებებს, ასევე სათანადო პასუხისმგებლობასაც. რაოდენ სავალალოა, რომ დღეს, როცა საქართველო საბაზრო ეკონომიკის პირობებში დამოუკიდებელ და სამართლებრივ ქვეყანას აშენებს, მომხმარებელი ხშირად დაუცველი რჩება.

აგრარული ბაზრების საქმიანობის ძირითადი მიზანი ხომ ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა პროდუქციის რეალიზაციაში დახმარების გაწევაა, მაგრამ ასევე საჭიროა, მომხმარებელმაც თავისი უფლებების სრული დაცვით შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი და არ ეშინოდეს, რომ იგი მის ჯანმრთელობას საფრთხეს მაინც არ შეუქმნის. დიახ, ასე უნდა იყოს, მაგრამ განმკითხავი არავინ არ არის.

აი, თუნდაც მცირე ჩამონათვალი იმ სტრუქტურებისა, რომელთაც ფალსიფიკაციასთან ბრძოლის სადავეები ეპყრათ ხელთ და მავნე პროდუქციის გამოვლენა და განადგურება ევალებოდათ – საქსტანდარტი, ანტიმონოპოლიური სამსახური, „კავშირი XXI საუკუნე“, სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია და ა. შ. ზოგიერთი მათგანი სამომხმარებლო ბაზრის სპეციალურ მონიტორინგს აწარმოებდა, საქსტანდარტს თავისი წესები და კანონები ჰქონდა, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია ყველა ბაზარში, სუპერმარკეტებში, კაზინოებშიც კი შედიოდა და ნაკლოვანებებს ავლენდა...

**დღეს რა გვემართება? რატომ აღარ ვუფრთხილდებით ადამიანების ჯანმრთელობას? ისიც კი არ ვიცით, რას ვჭამთ.**




პრობლემა რომ მოუგვარებელია, ეს კარგად დავინახეთ, როცა რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია **„იმედის“ არხზე გასულ სიუჟეტში ვიხილეთ ძეხვეულის საამქრო... სანაგვესთან ერთად (?!).** ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს, არ ღირდა განგაში, მაგრამ ასეთ ფაქტებს ხომ თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით?

როგორც ცნობილია, ზაფხულობით ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად მატულობს ხოლმე ნაწლავთა მწვავე ინფექციებით ავადობის დონე, ასევე საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებული მოწამვლები. ამის გამო იყო, რომ მარტო ერთ ზაფხულს შემოწმდა ქვეყანაში მოქმედი 73 სასურსათო ბაზარი. შედეგები „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა. სურათი მეტად არადამაკმაყოფილებელი იყო.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა შემოტანილ ტვირთს უსაფრთხოების არანაირი დოკუმენტაცია არ ახლდა. ასეთ დროს ტვირთის შემოტანა იკრძალებოდა.

საზოგადოებას იმედი მიეცა, რომ მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დანთებული ცეცხლი ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საქმეში ასე იოლად არ ჩაქრებოდა და საბოლოო ჯამში წესრიგი და კანონიერება იზეიმებდა, მაგრამ...

ერთ დღეს ალბათ ჩათვალეს, რომ პრობლემა უკვე გადაჭრილია, ამიტომ ადგნენ და ყველა ეს მაკონტროლებელი სტრუქტურა, მათ შორის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციაც, ერთი ხელის მოსმით გააუქმეს.

როგორც შემდგომ გაირკვა, პროექტით გათვალისწინებულია კვების პროდუქტების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის ერთ სტრუქტურაში გაერთიანება და ალბათ კონტროლის ბერკეტების მისთვის გადაცემა, მაგრამ **ძველი სტრუქტურები უკვე რამდენიმე თვეა გაუქმდა, ახალი კი ჯერაც არ შექმნილა. ნუთუ არ სჯობდა, ჯერ ახალი სტრუქტურების ოპტიმიზაციაზე გვემუშავა და როცა საქმეს ავაწყობდით, ძველი სამსახური მაშინ გაგვეუქმებინა?** ამით ფალსიფიკაციისა და უკანონობის ბევრ შემთხვევას ხომ თავიდან ავიცილებდით?

ამიტომ ნურც ის გვიკვირს, ღვინო რომ დაგვიწუნეს რუსებმა, არ მზადდება და არ იყიდება ჩვენთან ე.წ. „გაკეთებული“ ღვინო? **შარშან ხომ ჩვენი თვალით ვიხილეთ ტელეეთერში, სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის მონაწილეობით ათასობით დეკალიტრი ღვინო როგორ ჩაღვარეს კანალიზაციაში?** მე რომ კაცმა მკითხოს, ესეც მეორე უკიდურესობაა: არ აჯობებდა, რომ თუნდაც დაგვემძარებინა და გაგვეყიდა, 1 ლიტრი ძმარი ბაზარში ხომ ორი ლარი ღირს?

და კვლავ იმ სტრუქტურებს დავუბრუნდეთ, რომელთაც პროდუქციის ხარისხის შემოწმება ევალებათ. როგორც აღვნიშნე, არსებული რამდენიმე თვის წინათ გააუქმეს, ახალი კი ჯერაც არ შექმნილა. მაინც რა მოხდა და როდის გამოსწორდება მდგომარეობა? ამის გასაგებად სათანადო უწყებებს დავუკავშირდი.

**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვაჟა დოხორჯგინიძის განმარტებით, მთავრობის დონეზე მოხდა სტრუქტურული ცვლილებები, რის შედეგადაც სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ცენტრალური ინსპექცია მართალია, გაუქმდა, მაგრამ მისი ფუნქციები რამდენიმე უწყებას გადაუნაწილდა, ხოლო კონკრეტულად, ვის როგორ, ეს ამ დღეებში გახდება ცნობილი.**

**ისიც მითხრეს, რაიონებში მომუშავე ინსპექციის მუშაკები არავის შეუმცირებია, მხოლოდ სტრუქტურულად ადგილობრივ ორგანოებს დაექვემდებარებიანო.**

**რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, იქ კომენტარის გაკეთება ვერ მოხერხდა, რადგან მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი და მისი პირველი მოადგილე ლილი ბეგიაშვილი სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის სხდომებს ესწრებიან, ახალ დეპარტამენტში სამუშაოზე მიღების თაობაზე იქ კონკურსი უკვე დამთავრდა.**

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვითარება გამოსწორდება, **მაგრამ მანამდე რა ვქნათ ჩვენ, რიგითმა მომხმარებლებმა? ვის იმედად ვიყოთ? იმ ვაიმეწარმეებისა და ვაიმწარმოებლებისა, საკუთარი მოგების გარდა ვერავის და ვერაფერს რომ ვერ ხედავენ? მათ აწ უკვე გაუქმებული მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობისას არ ეშინოდათ, უვარგის, ჯანმრთელობისთვის მავნე კვების პროდუქტებს გვჩრიდნენ და ახლა, ლამის სრული უკონტროლობისას, ვითომ შეაწუხებთ ნამუსი?**

ამიტომ ისევ ვიმეორებ: **სანახევროდ გაკეთებული საქმე არ ვარგა, მაგრამ სრულ უკონტროლობას ვითომ სანახევრო კონტროლი მაინც არ აჯობებდა? რად გავაუქმეთ არსებული ახლის, უკეთესის შექმნამდე? ნურვინ მიწყენს, მაგრამ ალბათ სწორედ ამაზეც არის ნათქვამი, მსუბუქი თავი ფეხებს ამძიმებსო.**

ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნუგზარ ბაღათურია წერდა: **„ჩვენს ინსტიტუტში ხშირად მოჰქონდათ სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტები უშიშროების სამინისტროს, პროკურატურის, საქსტანდარტის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანზე ჩვენ ბოლო 6-7 წელია დადებითი დასკვნა არ გაგვიცია, ვინაიდან ძეხვეული, ალკოჰოლი და უალკოჰოლო სასმელები, მათ შორის ბავშვთა კვების პროდუქტები არა მარტო ფალსიფიცირებული, ადამიანთა საკვებად გამოუსადეგარი იყო, ბევრ მათგანზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. დადებითი დასკვნა ვერ გავეცით კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ ვერც ერთ ღვინოზე (ხვანჭკარა, ქინძმარაული და სხვაძ, გაფორმებით კი, იცოცხლეთ, მტერსაც კი თვალს დაუყენებდნენ. ჩვენს მიერ დაწუნებულ ღვინოებზე შესაბამისობის სერტიფიკატი სხვა ორგანოებმა გასცეს. სწორედ ამის გამო არის განპირობებული ის, რომ მარტო 2003 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 5 მილიონი ბოთლი „ხვანჭკარა“, მაშინ როცა მისი წარმოების პოტენციალური შესაძლებლობა 150-200 ათას ბოთლს არ აღემატება.**

**ღვინოებს ვინ ჩივის. როცა ჩვენს მიერ დაწუნებულ ბავშვთა პროდუქტებზეც დადებითი დასკვნები გასცეს!“**

**რატომ ვაკეთებთ ამას, ბატონებო? ხომ ნათელია, ვისაც ჯერ არს, დროულად რომ მიეღო სათანადო ზომები, დღეს ჩვენი მევენახეები, მეღვინეები და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკა ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა? ამიტომ იქნებ სჯობს მიზეზს ჩავუღრმავდეთ და ჩვენს გასაკეთებელ საქმეზე ჩვენვე ვიზრუნოთ?**

**როდის მოეღება ბოლო სურსათის ხარისხის კონტროლის სფეროში არსებულ განუკითხაობასა და თვითნებობას?**

**ნაზი იმნაიშვილი**

◉ ინფორმაცია

### საქართველო რუსული ბაზრის დაბრუნებას ცდილობს

გუშინწინ ლონდონში საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი „ინვესტ ინ ჯორჯია“ გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძე, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე და რამდენიმე კერძო კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდნენ.

ბიზნეს-ფორუმზე საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოზე, ინვესტიციების მოზიდვასა და ქართული პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

მედიის წარმომადგენლებთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრი კიდევ ერთხელ შეეხო ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტის აკრძალვის საკითხს და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ქართული ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას შეეცდება.

### რუსეთში „ბორჯომის“ შეტანაც აიკრძალა

რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ 4 მაისს ხელი მო-



აწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოში წარმოებული მინერალური წყლის – „ბორჯომის“ შეტანა აიკრძალა.

„ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მივიღე, რომ აქამდე გამოვლენილი, სანიტარიული ნორმების შეუსაბამო და უხარისხო „ბორჯომის“ პარტიის გარდა ბოლო დღეებში ასეთივე ფალსიფიცირებული მინერალური წყლის ახალი პარტიებიც გამოვლინდა“, – აღნიშნა გენადი ონიშჩენკომ.

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ინფორმაციით, ამავე კომპანიამ 5 მაისს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე „ბორჯომის“ გადატვირთვა შეაჩერა.

### მეღვინეებს საგადასახადო შეღავათებს ჰპირდებიან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესაბამისად, ქართველი ღვინის მწარმოებლები რუსეთიდან უკან დაბრუნებულ პროდუქციას საბაჟო და აქციზის გადასახადის გარეშე შემოიტანენ, – ამის შესახებ მეღვინეებს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა გუშინ გამართულ შეხვედრაზე განუცხადა.

მომავალ კვირაში ქართველი მეღვინეები საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შეხვდებიან.

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს, საქართველოს პარლამენტი მას 10 მაისს განიხილავს.

მედიანიუსი

შაბათის სტუმარი

# «გიმნაზისტკებმა» ზურაბ ლეჟავას მამა რუსთაველზე ნიახურის კონებით სცემეს

**აბა, თუ არ არის ჯიში, აბა, თუ არ არის გენი!.. ოთხმოცდაერთი წლის ზურაბ ლეჟავა, სახალხო მხატვარი და სამხატვრო აკადემიის პროფესორი, დღესაც მხარბეჭიანი და აღნაგი, თავადიშვილური მიმოხვრით მოუყვება რუსთაველს, აჰყვება ჯავახიშვილის ქუჩას და ასე, ფეხით მიდის ვაკეში...**

– ასეა ყოველდღე, – მეუბნება ბატონი ზურაბი, – აკადემიიდან ოჯახში, ოჯახიდან – აკადემიაში... რა თქმა უნდა, ფეხით... სპორტით თავიდანვე ვიყავი გატაცებული, ფიზკულტურის ინსტიტუტშიც კი ვსწავლობდი ერთიხანობა.

***– გატაცებული იყავით მსახიობობითაც...***

– დიახ, მე და გოგი გელოვანმა კინოსკოლა დავამთავრეთ. იქ მსახიობის ოსტატობას ბატონი ვახტანგ ტაბლიაშვილი გვასწავლიდა. იგი ტიპაჟს, საერთოდ, დიდ ყურადღებას აქცევდა. მაგალითად, ცნობილი ექიმი, შესანიშნავი ვაჟკაცი რეზო იაშვილი მიიწვია „ქეთო და კოტეში“.

***– ამ ფილმში თქვენ და ბატონი გოგი გელოვანი თავადებს თამაშობთ...***

– თავადებს და ყარაჩოხელებს... ერთგან, სურათის ბოლოს, ქალბატონ ნატო ვაჩნაძესთან ვალსს ვცეკვავ, ხოლო ყარაჩოხელების ცნობილ სცენაში მე და გოგი ვასრულებთ არჩილ კერესელიძის (ჩვენი თანაავტორობით) „მუხამბაზს“. ჩვენი თანაავტორობით შექმნა არჩილმა მეორე სიმღერაც – „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი“...

***– თავიდან კი იყო როლი „არსენაში“, არა?..***

– დიახ, მიხეილ ჭიაურელის ფილმში, სადაც თერთმეტი წლის ბიჭს ვთამაშობდი, რომელიც ჯერ რუსის ოფიცერს წალდით მოკლავს დედის შეურაცხყოფისთვის, ფილმის ბოლოს კი – არსენას მკვლელს – ფარსადანს...

***– „გიორგი სააკაძე!“..***

– ჰო, აქ ავთანდილის როლი მქონდა... (პაატას ცნობილი ფსიქიატრი გაიოზ შარაშიძე თამაშობდა.) მერე კიდევ იყო რამდენიმე ფილმი... აგერ, გვიან კი გიგა ლორთქიფანიძის „წიგნი ფიცისაში“ გარსევან ჭავჭავაძის როლი მომანდეს... რამდენიმე როლი მქონდა სცენაზეც – მარჯანიშვილის თეატრში.

***– გაპყოლოდით, ბატონო ზურაბ, არტისტის კარიერას, მხატვრობა რატომღა აირჩიეთ?***

– ოოოო... ძალიან მიყვარდა... ორი კურდღლის მდევარი ვერ ვიქნებოდი და, ამიტომ, 1944 წელს შევედი სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე... ო, რა თაობა იყო, რა პროფესორ-მასწავლებლები გვყავდა! ლადო გრიგოლია იცით ვინ იყო?! სერგო ქობულაძე ხატავდა ჩვენთან ერთად!..

***– ახლა როგორღაა საქმე აკადემიაში?..***

– თუ მზე და კარგია ამინდია, აუდიტორიებში სტუდენტებს ვერ ნახავთ, „ახლებურ“ სწავლა-განათლებას ეწაფებიან!.. (ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე არ ითქმისძ. კარგია, რომ კორპუსები გარემონტდა, მაგრამ თავად სასწავლო პროცესის ზერელობა და ზედაპირულობა რას მოგვიტანს, არ ვიცი...

***– ქართულმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, ძველმა თბილისელებმა კარგად იციან თქვენი და გოგი გელოვანის განუყრელი მეგობრობის შესახებ..***

– და, აუცილებლად, ცნობილი ექიმი ლევან ჭაჭიაშვილი... ჩემზე უფროსია, ღმერთმა კარგად ამყოფოს, კენჭივითაა. ჩვენ დავრჩით, ვერელი ძმაკაცები... გოგი მოგვიკვდა... აღარ არის დოდო აბაშიძეც... ვინახავთ მათ ხსოვნას რამდენიმე უახლოესი მეგობარი და ვართ, სანამ სიცოცხლე გვიწერია. გოგი სხვა კაცი იყო: ნიჭიერი მსახიობი, უბადლო მომღერალი და თამადა. მარჯანიშვილის თეატრში ყველას მან შეასწავლა ქართული ხალხური სიმღერა... ზოგი სიმღერის უაღრესად საინტერესო ვარიანტებიც კი ჰქონდა...

***– მე გამიგია, რომ თქვენი დიდი ოჯახიც გამოირჩეოდა სიმღერით. მამათქვენი, ცნობილი პუბლიცისტი პლატონ ლეჟავა, დედათქვენი, ქალბატონი მელიხან ლორთქიფანიძე – ჩვენი ძვირფასი კოლეგის, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული ვაჟკაცის – ოთარ ლორთქიფანიძის მამიდა – შესანიშნავად მღეროდნენ, ეს ნიჭიერება თქვენც დაგეპკურათ და თქვენს შთამომავლობასაც...***

– მაგრამ, თქვენ, შეიძლება ის არ იცოდეთ, რამდენიმე სიმღერის ტექსტისა და მელოდიიის ავტორიც რომ არის მამაჩემი...

***– ო, ეგ არ ვიცი...***

– მაგალითად, მისია (ტექსტიც და მუსიკაცძ „სალამურსა გულში ჩავწვდი“, „საქათმეში შეპარულა მელა“, „გიმნაზისტი“ „გიმნაზისტკას“, ეფიცება, აძლევს სიტყვას“... (იცინისძ. ამ სიმღერის გამო დიდი „ფათერაკი“ შეემთხვა პლატონს – წმინდა ნინოს სასწავლებლის გოგონებმა – „გიმნაზისტკებმა“ – რუსთაველზე სულ ნიახურის კონები ურტყეს...

***– ნიახური, ვითომ, რატომ?..***

– „გიმნაზისტს მისცხეს პანღური, „გიმნაზისტკას“ ნიახური“... აი, ამიტომ... ჩვენი ოჯახი ცდილობს განაგრძოს მამა-პაპის ტრადიცია და რახან ღმერთმა სიმღერის ნიჭი გაიმეტა, სულ სიმღერ-სიმღერით „ვებრძვით“ ამ დუხჭირ ცხოვრებას... დისკიც გამოვეცით – „მღერის ოთხი თაობა“ და ამით, რაღაცნაირად, ვალი მოვიხადეთ წინაპართა წინაშე...

***– მაჩუქა მე ეგ არაჩვეულებრივი დისკი თქვენმა ვაჟიშვილმა, ხელოვნებათმცოდნემ და მუსიკოსმა სამსონ ლეჟავამ, რისთვისაც დღესაც დიდი მადლობელი ვარ მისი... ბატონო ზურაბ, ახალ თაობაში შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ უჩა ჯაფარიძემ თქვენი სახით გაგვიცოცხლა დიდი დავით გურამიშვილი... როგორ მოხდა ეს?***

– დამიბარა ერთ დღეს და, ცხადია, უარს ვერ ვეტყოდი, ოღონდ თემები დამიმატა... კარგა ხანს ვმუშაობდით. ამ პორტრეტმა გურამიშვილის პორტრეტის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა (თხუთმეტამდე ცნობილი მხატვარი მონაწილეობდაძ... რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნო იყო...

***– სამოციან წლებში თქვენ საქართველოს მხატვართა კავშირს ხელმძღვანელობდით...***

– 1958-დან 62 წლამდე თავმჯდომარის – ბატონ უჩა ჯაფარიძის მოადგილე გახლდით, 62-დან 70-მდე კი თავმჯდომარე. საბჭოთა კავშირი უძახეთ თქვენ და, მხატვრების საკეთილდღეოდ, ყოველწლიურად, სამი მილიონი მანეთი მარტო ჩვენი რესპუბლიკისთვის იყო ხოლმე გამოყოფილი მოსკოვიდან. სხვადასხვა მასალა კაპიკები ღირდა... სპეციალური დადგენილება მიიღო საკავშირო მინისტთა საბჭომ მანსარდების დაშენების შესახებ და მხატვრებს იგი უფასოდ ეძლეოდათ სახელოსნოებისთვის... აღარაფერს ვამბობ მიწის ნაკვეთებისა და ბინების დარიგების შესახებ... ეს ფაქტია და, რა ვქნათ...

***– დღეს ძალიან უჭირთ...***

– ნუღა იტყვი... დგანან გარეთ, ელოდებიან მუშტარს, მაგრამ ნახატის ფული კი არა, თავის გატანა უჭირს ხალხს... ათასში ერთხელ უცხოელი თუ იყიდის...

***– და, ვცხოვრობთ ასეთ თბილისში...***

– სადღაა თბილისი!.. ან ეს მშენებლობები, ან ეს არქიტექტურა, საიდან გაჩნდა!.. რა დღეშია ვერისუბანი, ვაკე... ამას მტერი არ გააკეთებდა, მაგრამ „მწვანე ბანკნოტი“, თურმე, ყოვლისშემძლეა და სინდის-ნამუსზეც აალებინებს ხელს ადამიანს.

***– ასეთ ნოტზე დავამთავროთ, ჩვენი საუბარი, ბატონო ზურაბ?...***

– რეალობა ასეთია... თუმცა, უიმედოდ, ჩვენი მტერი იქნა...

***– იცოცხლეთ!..***

**ვილენ მარდალეიშვილი**







**სურათზე: კადრი ფილმიდან „წიგნი ფიცისა“. ერეკლე II-ის მანდატურთუხუცესი – გოგი გელოვანი (მარცხნივძ, გარსევან ჭავჭავაძე – ზურაბ ლეჟავა; ზურაბ ლეჟავას ჩანახატი – „ძველი თბილისი“ და ილუსტრაცია „სამანიშვილის დედინაცვლის“ გრაფიკული სერიიდან.**

ინფორმაცია

## რა ემართება კულტურის ინსტიტუტს?

**პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტში კულტურის ინსტიტუტისთვის დაფინანსების მოძიებას მოითხოვს. აღნიშნული საკითხი გრიგალაშვილმა გუშინ კომიტეტის სხდომაზე 2006 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დააყენა. მისი თქმით, კულტურის ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებისთვის სექტემბრის თვემდე მაინც მოინახოს დაფინანსება, რაც 300 ათას ლარს შეადგენს. ამ თანხაში შედის ის დავალიანება, რომელიც ხელფასების კუთხით ინსტიტუტის თანამშრომლებს უკვე წარმოექმნათ. კულტურის სამინისტრო პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად ინსტიტუტის სტუდენტების ანალოგიური პროფილის მქონე სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადანაწილებას მიიჩნევს. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს პოზიციას, უწყება ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. როგორც კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გოგბეჯიშვილმა განაცხადა, კარგი იქნება თუ ამ საკითხს კომიტეტი მთავრობის სხდომაზე დააყენებს და გადაწყვეტილებასაც შესაბამისად მთავრობის სხდომა მიიღებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ვარკეთილის ღვინის ქარხანა რუსულმა კომპანიამ იყიდა?

**შპს „ვარკეთილის ღვინის ქარხანა“ რუსულმა კომპანია „ვინიკონმა“ 780 ათას დოლარად იყიდა. იგი კონკურსის წესით გაიყიდა. ობიექტი გარდაბნის რაიონის ვარკეთილის დასახლებაში მდებარეობს.**

**ქარხანა ღვინოსა და ღვინომასალებს აწარმოებს. მისი საწესდებო კაპიტალი 1331970.00 ლარს შეადგენს.**

**ერთ-ერთი მთავარი საკონკურსო პირობა ქარხნისთვის სამი წლით პროფილის შენარჩუნება იქნება.**

## ომის ვეტერანები ბობოქრობენ

**გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობასთან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანთა აქცია გაიმართა.**

**ვეტერანთა კავშირის ერთ-ერთი წევრის ჩიორა წიკლაურის თქმით, მათ ჯანდაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილს 17 აპრილს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც „ომის ვეტერანების შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას სამუშაო შეხვედრის ფორმატით თანამშრომლობა შესთავაზეს. ვეტერანებმა წერილს თან დაურთეს კანონპროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და დამატებები.**

**ვეტერანთა თქმით, მათ თხოვნას სამინისტროდან სიტყვიერად უპასუხეს, რომ უფლება აქვთ ერთი თვის განმავლობაში არ უპასუხონ.**

**გუშინდელ აქციაზე, დაახლოებით 20 ვეტერანი პროექტის განხილვაში ჩართვას მოითხოვდა.**

**ვეტერანებმა სამინისტროს შენობის წინ კედლებსა და ხეებზე გააკრეს ჯანდაცვის მინისტრის პლაკატები, წარწერით „შეშინებული მოროდიორი“.**

**მედიანიუსი**

საქართველოს რესპუბლიკა
რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

გზაც იქით ჰქონიათ...

# ჩვენს დანაწევრებას სიკვდილი ურჩევნიათ

**ბოლო ხანს რუსეთს ძალიან ხშირად ესიზმრება მტრები. ნათქვამია, — შეძახილმა ხე გაახმოო და გამოიღო კიდეც ნაყოფი ჟურნალისტ მიხეილ ლეონტიევის, დეპუტატ ალექსეი მიტროფანოვის და მათ მსგავსთა ბოროტმა ზრახვამ. დაშინდა ის მოსახლეობაც, რომელიც გუშინ და გუშინწინ, ასე თუ ისე, ჩვენსკენ მაინც იხედებოდა.**

აპრილის ბოლოს რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკითხვა როგორც მსოფლიოში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსებისთვის საცხოვრებლად და სამოგზაუროდ ყველაზე საშიში ქვეყნების დასადგენად. ორივე სივრცეში საქართველომ „წარმატებას" მიაღწია, — მსოფლიო მასშტაბით იგი გავიდა მესამე ადგილზე (აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ), ყოფილი იმპერიის მასშტაბით კი — პირველზე (მეორეზეა ლატვია, მესამეზე — აზერბაიჯანი).

1600 გამოკითხულიდან საქართველოს დანაწევრება არ სურს 53 პროცენტს, ლატვიისა — 29, აზერბაიჯანისა — 28 პროცენტს. მსოფლიოს მასშტაბით კი აშშ ეზარება 45 პროცენტს, ჩინეთი — 16, საქართველო — 7 პროცენტს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ერაყთან ურთიერთობა არ სურს რესპონდენტთა მხოლოდ 4 პროცენტს. გამოდის, რომ რუსებისთვის უფრო მისაღებია ერაყის ყოველდღიური ტერაქტები, სისხლის-ღვრები, ვიდრე საქართველოს ამჟამინდელი რეალიები.

ამასვე ადასტურებს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" გამოკითხვა, რომელიც მან მოაწყო ასევე აპრილის ბოლოს ეგვიპტის ზღვისპირა კურორტ დაჰაბში, რესტორან „ალ კაპონეში" განხორციელებული ტერაქტის შემდეგ. ამ ტერაქტისას დაიღუპა 18 კაცი, ხოლო დაიჭრა — 87. მძლავრმა აფეთქებამ ერთიანად დაფლითა ორი რუსი ტურისტი ლეონიდ ტიტარენკო და ალექსანდრ შლიკი (მის გვამს საერთოდ ვერ მიაგნეს), ორი კი — ვასილი შახმატოვი და ოლგა ფედინა სასტიკად დაამახინჯა.

ასეთი ტრაგედიის მიუხედავად, ეგვიპტეში წასვლაზე უარი თქვა გამოკითხულთა მხოლოდ 39-მა პროცენტმა (საქართველოს შემთხვევაში — 53-მა პროცენტმა). შეგახსენებთ, რომ დაჰაბის ტერაქტამდე იყო აფეთქებები ტაბაშიც, შარმ-ელ-შეიხშიც. და რუსები მაინც იქით იწევენ. ტურისტული სააგენტოების მონაცემებით, ჩარტერული რეისები გადატვირთულია, თვითმფრინავები კლიენტებს ვერ აუდიან. გზაც იქით ჰქონიათ...

სადღეისოდ ჩვენში ხშირად ხმარობენ ანდაზას (თუ ამგვარსა, — ეშმაკი დეტალებში ზისო. ამიტომ რუსების ჩვენდამი გაცივებაზე და ეგვიპტელებისადმი გადარევაზე კიდევ ორიოდ მოვლენას გამოვყოფ: ახლახან იყო კიდევ ერთი სოციოლოგიური გამოკითხვა მოსკოვში. რესპონდენტებს ქმრად ან სიძედ სთავაზობდნენ ქართველს. 71-მა პროცენტმა ცივი უარი დაარტყა. ქართველ კაცს სათოფეზე არ გაეკარებ და არც ვინმე ჩემიანს ვურჩევო. არადა, წლების წინათ სხვა სიტუაცია გახლდათ, დიდი სიმპათიები ჰქონდათ. რუსი ქალები ახლაც ეძებენ პარ-



ტნიორებს, ოღონდაც... მისამართები შეიცვალეს, — კავკასიური ქვეყნები აფრიკული სახელმწიფოებით ჩაანაცვლეს, — ქრისტიანებს მუსლიმები ამჯობინეს...

რუსეთში 10 მილიონით მეტი ქალია, ვიდრე კაცი. ისედაც, ქალთა თითქმის ნახევარი გაუთხოვარია. მათი სისხლი მოჭარბებულად დუღს. ამიტომაც ეძებენ „ბაზარს". ახლახან მოსკოვში და კიდევ რამდენიმე სხვა ქალაქში შეიქმნა სპეციალური საქორწინო სააგენტოები, რომლებიც რუს ქალებს გაასაღებენ (დიახ, გაასაღებენ) ძირითადად არაბული ქვეყნების — ეგვიპტის, ალჟირის, მაროკოს, კუვეიტის თუ გაერთიანებული საემიროების წარმომადგენლებზე. ეს არაბებისთვის მისწრებაა, — მათი კანონებით სლავ ქალებზე არაოფიციალური დაქორწინება მხოლოდ ცხოვრებით ტკბობაა, ვინაიდან კაცები ქვეყნისა და ოჯახის წინაშე არავითარ ვალდებულებებს არ იღებენ, მხოლოდ ლოგინში ჭყლეტენ ქალებს.

რუსეთის ხელისუფლება ყოველივე ამით შეშფოთებულია, მაგრამ მაინც დუმს. მათმა ქალებმა ოღონდაც ჩვენსკენ არ გამოიხედონ და მეწამულ ზღვაში თუნდაც ერთიანად ჩაიხრჩონ!

**ბონდო გულიაშვილი**

---

ჭრუანტელი

### გამოიღეთ კევი პირიდან

ახლახან მმართველი პარტიის დეპუტატებს ყვავილები მიჰქონდათ თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებლის — ქამალ ათათურქის ძეგლთან. ამ ოფიციალურ ცერემონიალზე ერთი დეპუტატი კევს ღეჭავდა. ეს მას ათათურქის შეურაცხყოფად ჩაუთვალეს და თავი ციხეში უკრეს. ეეჰ, სად აღარ ღეჭავენ ქართველი დეპუტატები კევს, მაგრამ...

### „შატალო" ჯიბეს ურტყამს

შვედეთის კანონებით ყოვლად დაუშვებელია სკოლის გაკვეთილების გაცდენა. „შატალო" მკაცრ სანქციებს ითვალისწინებს. ახლახან ქალაქ ლინჩეპინგში 10 წლის ბიჭის მშობლებს 2000 ევრო დააყაჩინეს იმის გამო, რომ მათი პირმშო მეცადინეობებზე არ ცხადდებოდა. მშობლები თავდაპირველად უარზე იდგნენ, მაგრამ სასამართლომ მათ უარესი განაჩენის გამოტანა აღუთქვა და...

### რაღა დროს სექს-სკოლაა?

დანიაში გაიხსნა ექვსთვიანი კურსები, სადაც მორცხვ მამაკაცებს გამბედავ საყვარლებად აქცევენ. ეს მეტამორფოზა 2500 გირვანქა სტერლინგი ჯდება, რომელშიც შედის ქალ მასწავლებლებთან უბიწოების დაკარგვაც. სექსუალური ილეთების ასათვისებლად კურსებს ხალხი უკვე მიაწყდა. მათი უმეტესობა 30-40 წლისაა.

### ქალიც ეს ყოფილა!

პორნოვარსკვლავი ჩიჩოლინა ცნობილია თავისი არაორდინარული ნაბიჯებით (იგი ერთხანს იტალიის პარლამენტშიც კი მოხვდა). ოღონდ დიქტატორობას მოეშვი და ხასად დაგიჯდებიო, — შეუთვალა თავის დროზე სადამ ჰუსეინს. ერაყის ლიდერი არ გამოხმაურებია. ახლა კი ჩიჩოლინამ საკუთარი თავი საყვარლად შესთავაზა ბინ ლადენს. ვნახოთ, რას აირჩევს მსოფლიოს № 1 ტერორისტი, — ხმაურიან აფეთქებებს თუ ჩუმ ღამეებს.

### არ გაიხდი, არაო...

რამდენიმე წლის წინათ „ფლეი-ბოიმ" რუს ლამაზმან ჩოგბურთელს ანა კურნიკოვას გაშიშვლებაში 15 მილიონი დოლარი შესთავაზა, მაგრამ ვერ დაითანხმა. ახლა ჟურნალმა იგივე არანაკლებ რუს ლამაზმანსა და იგივე ჩოგბურთელს მარია შარაპოვასაც „გაუგორა", თანაც 35 მილიონ დოლარად. ამერიკულ გამოცემას ხელი ამჯერადაც მოეცარა. სარეკლამოდ მარიამ ბოლო ხანს ბევრი რამ შემოიცალა, მაგრამ მთლად გაშიშვლებაზე მაინც უარი თქვა.

### ვის უნდა „ცისფერი" დედა?

ბელგიის სენატმა დაამტკიცა ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც იქაურ ჰომოსექსუალისტებს შეუძლიათ ბავშვის შვილად აყვანა. ბელგია უკვე მეექვსე ქვეყანაა, სადაც „ცისფერებს" ასეთი პრივილეგიები ოფიციალურად გაუფორმეს. უფრო ადრე ასეთი კანონი ამოქმედდა დანიაში, შვედეთში, ჰოლანდიაში, ბრიტანეთსა და ესპანეთში. ერთია საკითხავი: — რა უნდა ისწავლოს ასეთმა აყვანილმა ბავშვმა მშობლებისგან, განსაკუთრებით სექსუალურ საკითხებში?

---

სასამართლო

# პარტნიორი მოიშორა



**თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მოსამართლე მილერი ხარებავას თავმჯდომარეობით თურქეთის მოქალაქის, 56 წლის თევფიქ ოზქირის საქმე განიხილა, რომელსაც განზრახ მკვლელობაში დაედო ბრალი.**

ოზქირი 1999 წლიდან საქართველოში სხვადასხვა კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, 2002 წლიდან კი თურქეთის მოქალაქესთან ისმაილ ომურჯულთან და საქართველოს მოქალაქე მაკა შეშელაშვილთან ერთად მარმარილოს დასამუშავებელი საამქრო მოაწყო. თურქეთიდან შემოჰქონდათ მარმარილო, ამუშავებდნენ და ყიდდნენ. ბოლო პერიოდში, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით, ოზქირსა და ომურჯულს შორის უთანხმოება წარმოიშვა. ოზქირი ეჭვობდა, რომ ომურჯული საერთო თანხებს ითვისებდა, ამიტომ გამუდმებით ითხოვდა ფულის უკან დაბრუნებას, რაზეც უარს იღებდა.

შურისძიების მოტივით ოზქირმა მისი მოკვლა განიზრახა. ორლულიანი სანადირო თოფი შეიძინა, კონდახი და ლულა გადაჭრა. საღამოს შეიარაღებული მივიდა საამქროში და საკითხის გასარკვევად ომურჯული შენობიდან ეზოში გაიყვანა. კამათის დროს ქურთუკიდან ამოიღო თოფი და გულ-მკერდის არეში ესროლა. დაჭრილი დაეცა და საშველად იქვე მყოფ მუშებს მოუხმო. ამ დროს ოზქირმა მეორე ტყვია მუცელში დაახალა. დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა, თან იარაღიც წარადგინა.

სასამართლოზე წარდგენილ ბრალდებაში ოზქირმა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ გარდაცვლილი მისი თანასოფლელი იყო. ისინი ერთად ეწეოდნენ ბიზნესს თურქეთში და ერთად ჩამოვიდნენ საქართველოშიც. მათ საამქრო კუკიის სასაფლაოსთან ახლოს მოაწყვეს. მუშაობის პერიოდში ისმაილს მისთვის თვეში 800 დოლარი უნდა მიეცა, მაგრამ ბოლო რვა თვე თანხა არ მიუცია. მიუხედავად ამისა, ოზქირი მაინც წავიდა თურქეთში, ისესხა 80 ათასი დოლარი და მარმარილოს დასამუშავებელი დაზგები ჩამოიტანა. ისმაილი კი, რადგან ქართული კარგად იცოდა და ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ბიზნესმენთან, საქმეებს წარმართავდა, ამიტომ ფულსაც ის აკონტროლებდა, რაც სათავისოდ გამოიყენა, იყიდა ავტომანქანა, ბინა იქირავა მარჯანიშვილის ქუჩაზე და ორი ცოლიც მოიყვანა. მართალია, მან თურქეთში აღებული ვალები გაისტუმრა, მაგრამ მოგებას ოზქირს მაინც არ უყოფდა, პირიქით, საწარმოდან გაგდებაც კი დაუპირა. ემუქრებოდა, თუ პოლიციაში ჩივილს დააპირებდა, მაინც ვერაფერს დააკლებდა, რადგან ქართულ „მაფიასთან" კავშირი ჰქონდა და მოკლავდა. ბოლო დროს მათი ურთიერთობა ძალიან დაიძაბა, ისმაილი ხაზს უსვამდა, რომ ყველაფერი მას ეკუთვნოდა. მკვლელობის საღამოს კი უცენზურო სიტყვებით შეაგინა და ტერიტორიის დატოვებაც მოსთხოვა, თან გინებით ეზოში გამოჰყვა. ამის შემდეგ მან მოულოდნელად გადაწყვიტა შური ეძია, მივიდა ეზოში დაწყობილ ქვებთან, სადაც ისმაილი თოფს ინახავდა, აიღო და მისივე თოფით მოკლა.

წარდგენილ ბრალდებაში ის მკვლელობას აღიარებს, თუმცა უარყოფს, რომ იარაღი მისია.

განსხვავებულ ვერსიას ჰყვებიან მოწმეები, მათი განმარტებით ჩხუბს და გინებას ადგილი არ ჰქონია და არც იარაღი აუღია განსასჯელს ქვებიდან, იგი ქურთუკიდან ამოიღო.

კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით, განსასჯელის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება დაკვალიფიცირებულია სამართლებრივად სწორად, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და დამზადება, ასევე განზრახ მკვლელობა.

თევფიქ ოზქირი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

**ლელა მანაველიშვილი**

---

დრომ მოიტანა?

# ეგზეკუციის სიგნალი

**ითვლიან, ითვლიან და ვეღარ დაითვალეს ეს გაჭირვებული ოჯახები. თავდაპირველად ხელისუფლება ამბობდა 120 ათასიაო, ახლა გამოაცხადა 400 ათასიო. თუმცა, ვინ დაადგინა გაჭირვებული ოჯახების შეფასების კრიტერიუმი?**

იცით, როდის ყოფილხართ გაჭირვებული ოჯახი? როცა არა გაქვთ ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა... როცა სამზარეულოში არ გიდევთ კარაქი, კვერცხი, ძეხვის ნაჭერი, ნამცხვრის ნაგლეჯი... ერთი სიტყვით, ამოშლილი ხართ ოჯახური კონტექსტიდან, ადამიანური სიიდან...

არის „თელასი". მოგივა შინ ქვითარი. გადახდის ვადა, ვთქვათ, 12 მაისია. არ გადაიხდი? 13-ში დილით ჩაგაბნელებენ. არაფერი არ გიშველის!



არის „თბილგაზი". მოგივა შინ ქვითარი. გადახდის ვადა, ვთქვათ, 15 მაისია. არ გადაიხდი? „თელასივით" ვერ გაგითიშავენ, მრიცხველი სადარბაზოში კი არა, სახლშია, მაგრამ... აგიკლებენ ტელეფონით, — დაფარეთ, გადაიხადეთ, გაგთიშავთ, გაგყინავთ...

ახლა იმატებს როგორც დენის, ისე გაზის ტარიფი. გადამხდელებს უარესი პრობლემები წარმოეშობათ. დენს გათიშავენ, გაზს? ისე ადვილად ვერა, ამიტომაც...

ამ დღეებში „თბილგაზის" მუშაკები კარდაკარ დადიან და აღწერენ, — რა გიდგას სახლში: გაზქურა? — რა ტიპის? გამათბობელი? — რა მარკის? რატომ აკეთებენ ამას? რატომ და... თუ ვალი დაგედოთ, შინ მოგივარდებიან და გაგიყიდიან... სხვა რა უნდა იფიქრო?

ძველი თაობის ხალხს ეს უკვე გამოცდილი აქვს. დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში (ადრინდელზე ლაპარაკი აღარაა) ვინც ვერ იხდიდა კვერცხის ან ხორცის გადასახადს, შინ უვარდებოდნენ და ართმევდნენ ფარდაგებს, ქვაბებს, სხვა საოჯახო ნივთებს. ხომ არ მოტრიალდება ის დრო?

ვინ იცის. ვნახოთ, თუ ხვალ ან ზეგ შინ „თელასის" მუშაკები მოგვადგნენ და ჭაღები ან რადიატორები აღგვიწერეს, ზუსტად ასე იქნება. რატომ? იმიტომ, რომ საქართველო მთელს ამ მდიდარ და გაფუფუნებულ ევროპაში ლამის ყველაზე გაღლეტილი ქვეყანაა. ჩვენი ექსპერტების დასკვნით, 2005 წელს საათობრივი საშუალო ხელფასი იყო: დანიაში — 27,89 ევრო, შვეიცარიაში — 22,03, ნორვეგიაში — 19,24, იტალიაში — 16,73, საქართველოში კი — 0,25 ევრო. დიახ, 0,25 ევრო!

ჩვენი ჩინოვნიკების აზრით, როგორც გაზის, ისე დენის ტარიფის მატება არის... ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის გამოხატულება (?!). კი, მაგრამ... საიდან, რომელი კუთხიდან?

**ბადრი ღვინიაშვილი**

ცხადი იყო, რომ წიგნთ იგი მონაცვლეობით კითხულობდა, და ამგვარი კითხვა მრავალცოლიანობას აგონებდა, ერთი სიტყვით, იქ ნახავდით კრაკოვში გამოცემულ წიგნს, დუბროვნიკელი პოეტის დიდაკ ისაია კოენისას (გარდაიცვალა 1559 წელს), რომელსაც დიდაკ პირს ეძახდნენ, – *De illustribus familiis* (1585); იქვე იყო არონ კოენის წიგნი – *Zekan Aron* („არონის წვერი“). 1637 წელს ვენეციაში გამოცემული, რომელშიც არონს ხელით გადაეწერა თავისი ჰიმნი და უძღვნიდა ისაკ იუშურუნს (დუბროვნიკის ციხეებში სიცოცხლემოსწრაფებულს), ნახავდით აგრეთვე არონ კოენის პაპის შალამუნ ოეფის წიგნს – „კარგ ზეთს“ *(Semen Atov)*. აშკარად ჩანდა, რომ წიგნები ოჯახური თვალსაზრისით იყო შერჩეული, მაგრამ ამ ფაქტიდან რამე დასკვნის გამოტანა არ შეიძლებოდა. მაშინ რაბინმა აბრაჰამ პაპომ ფანჯარა გამოაღო და ოთახში სამხრეთის ქარმა შემოუბერა. რაბინმა ერთ-ერთი წიგნი გადაშალა, წამიერ ყური მიუგდო, როგორ შარიშურობდნენ ფურცლები ორპირ ქარში, და იცხაკ ნეჰამას უთხრა:

– გამიგონე, ამ შარიაშურში არ გესმის სიტყვა: ნეფეშ, ნეფეშ, ნეფეშ?

მერე რაბინმა ახლა მეორე წიგნს მიაყურადა და მკაფიოდ, ხმამაღლა გაისმა აშრიალებულ ფურცელთაგან წამოსული სიტყვა: რუაჰ, რუაჰ, რუაჰ.

– უკეთუ მესამემ გაგვაგონა სიტყვა „ნეშმაჰ“, – შენიშნა პაპომ, – მაშინ გვეცოდინება, რომ წიგნები კოენის სულებს უხმობენ.

და როგორც კი აბრაჰამ პაპომ მესამე წიგნი გადაშალა, ორივეს მოეყურა, რომ მან დაიჩურჩულა სიტყვა: ნეშმაჰ, ნეშმაჰ, ნეშმაჰ!

– წიგნები რისღაც გულისათვის ჩხუბობენ, რაც ამ ოთახშია, – დაასკვნა რაბინმა პაპომ, – რაღაცას სხვა რაღაცის ნადგურცემა მოჰპრიანებია.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ორივენი კუთხეში მისხდნენ და სიბნელეს ჩააშტერდნენ. შანდალზედ უცებ ნაპერწკლები გაჩნდნენ, თითქოს წიგნებმა თავიანთი ჩურჩულითა და შრიალ-შარიშურით გამოუხმეს. ერთი ნაპერწკალი გამოეყო შანდალს და ორ ხმაზედ ატირდა, მაშინ რაბინმა პაპომ თქვა:

– ეგ პირველი ტირის სხეულს, კოენის ყველაზედ უფრო ახალგაზრდა სული, ხოლო სხეული სულსა ტირის.

მერმე სული თაროზედ შემოდებულ ბარბითს მიუახლოვდა, სიმთ შეახო ხელი და გაისმა წყნარი ჟღერა, რაც სულმა თავის ტირილსააყოლა: „ჟამისად საღამოსპირს, მოსთქვამდა კოენის სული, ოდეს მზე თვალებში ჩაგცქერის, პეპელა, რომელიც გზაზედ გადაგიფრენს, იქნებ შორეულ ფრინველადაც გეჩვენოს, ხოლო დაბლა ჩაქროლილი სიხარული – მაღლა აფრენილ სევდად...“ აქ მეორე ნაპერწკალი წამოიჭიმა და წამერთ განკაცდა, რომელიც სარკის წინ დადგა და ჩაცმა და სახეზედ უმარილის წასმა დაიწყო. თანაც ხან სამურავ-ბალზამი მიჰქონდა სარკესთან, ხან რა ფერი და რა მალამო, თითქოს სარკის საშუალებით უნდა გაერკვია და განესაზღვრა, რა რა იყო, ამასობაში კი სახეზედ იმდენი უმარილი და ფერი წაიცხო, რომ სარკეში ერთხელაც არ არეკვლია სახე, თითქოს ეშინოდა, ემანდ არ დამიშავდესო.

განკაცებული ნაპერწკალი კარგა ხანს უტრიალებდა თავის თავს, სანამ ჩაჯიგრებულთვალებიანი და ცალულვაშჭაღარა კოენის ზედმონაკუწ ასლად არ იქცა. მერმე თაროდან ხმალი ჩამოიღო და პირველ სულს დაუდგა გვერდში, ხოლო კოენის მესამე სული, ყველაზედ ხნიერი, მაღლა ჭერქვეშ ნაპერწკლად ლივლივებდა. პირველი ორი სული ხელნაწერებიან თაროს რომ მიეკრო, იმ დროს მესამე გაცალკერძოებული იყო, თავი განზედ მტრულად ეჭირა, ჭერქვეშ კუნჭულში, და ჰამაკის თავზედ გამოყვანილ ასოებს ფხაჭნიდა...

## მილორად პავიჩი






აწ რაბინი პაპო და იცხაკ ნეჰამა მიხვდნენ, რომ კოენის სულნი ხელნაწერებიანი თოფრებისთვის წაჩხუბებულიყვნენ, მაგრამ ის ხელნაწერები ისე ბლომად იყო, ყველას განჩხრეკა შეუძლებლად ეჩვენათ. მაშინ რაბინმა აბრაჰამმა ჰკითხა:

– შენც ჩემსავით ფიქრობ ამ თოფრების ფერისა გამო?

– რა დიდი გამოსაცნობია, რომ სუყველა იმავე ფერისაა, რა ფერისაც ალია, – მიუგო ნეჰამამ. – ამენდე, სანთელს შეხედე და დაინახავ. სანთლის ალს რამდენიმე ფერი შეადგენს: ცისფერი, წითელი, შავი, ეგ სამფეროვანი ცეცხლი ეკიდება და მიწყივ იმ ორ რასმე უტრიალებს, რასაც წვავს, პატრუქსა და ზეთს. ზევით, მაგ სამფეროვანი ცეცხლის თავზედ, მეორე ალია, თეთრი, რომელიც ქვედას უჭირავს, ეგ არა წვავს, მაგრამ ანათებს, ანუ ეგ ცეცხლი ცეცხლითვე საზრდოობს. მოსე მთაზედ მაგ თეთრ ალში იდგა, რომელიც კი არა წვავს, ანათებს, ჩვენ კი მთის ძირას სამფეროვან ცეცხლში ვდგავართ, ყოვლიერების მშანთქმელსა და დამბუგველში, თვინიერ თეთრი ალისა, რომელიც ყოვლის უმთავრესი და ყოვლის იდუმალი სიბრძნის სიმბოლოა. მოდი და, რასაც ვეძიებთ, თეთრ თოფრებში მოვიძიოთ!

წიგნები ცოტა იყო – სულ ერთ ბულაგ-ტომარაში ჩაეტია. ისინი იქ იეჰუდა ჰალევის✡ ერთ-ერთ გამოცემას წააწყდნენ, 1660 წელს ბაზელში დაბეჭდილს, რომელსაც ერთვოდა რაბინ იეჰუდა აბენ ტობონის მიერ არაბულიდან ძველებრაულად თარგმნილი ტექსტი და გამომცემლის ლათინურად დაწერილი ახსნა-განმარტებანი. დანარჩენ თოფრებში კოენის ხელნაწერები ეწყო. იმ ხელნაწერთა შორის მჩხრეკელთ უწინარესად თვალში მოხვდათ აღნაქვსი, ანუ თხზულება, სახელწოდებით:

### ჩანაწერი ადამ კადმონის შესახებ

ხაზარნი სიზმრად ასოებს ნახულობდნენ ხოლმე, იმ ასოებში ცდილობდნენ პირველადამიანის, დაუსაბამო ადამ კადმონის პოვნას, რომელიც მამრიც იყო და მდედრიც. ისინი ფიქრობდნენ, რომ თითოეულ ადამიანს ანბანის თითო ასო ეკუთვნოდა, ხოლო სუყოველი ასო დედამიწაზედ ადამ კადმონის სხეულის ნაწილს წარმოადგენდა, ადამიანთა სიზმრებში კი ეს ასოები ერთმანეთში საერთოს პოულობდნენ, ერთიანდებოდნენ და ადამის სხეულში ცოცხლდებოდნენ. მაგრამ ეს ანბანი და აგრეთვე ეს მეტყველება, რომელიც ამ ასოთაგან იქმნება, განსხვავდებიან იმათგან, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ. ხაზარნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იცოდნენ, სად გადის საზღვარი ორ ენასა და ორ დამწერლობას შუა, ღვთაებრივ მეტყველებასა, ანუ *დავარსა* და ადამიანთა მეტყველებას შუა. საზღვარიო, ამტკიცებდნენ ისინი, ზმნასა და სახელს შუა გადისო! კერძოდ, ტეტრაგრამა – ღვთის იდუმალი სახელი, რომელსაც ალექსანდრიული სეპტუაგინტაც მალავს და აფანიერებს უწყინარი *Kirios* სიტყვით, – საერთოდ სახელი კი არა, ზმნააო! ჯერ არს იმის გათვალისწინება, რომ აბრაამსაც მხედველობაში ჰქონდა ზმნები, რომელთაც უფალი ქვეყნიერების შესაქმის ჟამს იყენებდა, და არა სახელები. ამრიგად, ენა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, შედგება ორი არათანაბარი, თავისი წარმოშობით არსებითად განსხვავებული ძალისაგან. ვინაიდან ზმნა, ლოგოსი, კანონი, წარმოდგენა ჭეშმარიტ პროცესებზედ, შეხედულება მართებულსა და მიზანშეწონილზედ წინ უსწრებდა თვით ქვეყნიერებისა და ყოველივე იმის შექმნას, რაც უნდა ამოქმედებულიყო და რასაც კავშირ-ურთიერთობა უნდა გაება. სახელები კი მხოლოდ მას უკან წარმოიშვა, რაც ქვეყნად ყველა ჯურის ქმნილება გაჩნდა და საჭირო გახდა ამ ქმნილებათა სახელდება. ასე რომ სახელები უბრალოდ ქუდის ფიფინურებია, ისინი, სუყველა, ადამს მოჰყვა, რომელიც თავის 139-ე ფსალმუნში ამბობს: „მე ჯერეთ არ მომდგომია ენაზედ სიტყვა, შენ კი, უფალო, უკვე სრულად იცი იგი“. რაკიღა სუყოველი სახელი ადამიანის სახელის საფუძვლად არის განკუთვნილი, ეს ამბავი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არც ერთი რამ სახელი არ ეკუთვნის იმ სიტყვათა წრეს, რომელი სიტყვანიც ღვთის სახელს შეადგენენ. იმიტომ რომ ღვთის სახელი (თორა) ზმნაა და ეს ზმნა *ალეფ*-ით იწყება. ამ ქვეყნიერებას რომ ქმნიდა, ღმერთი თორაში იყურებოდა, ამიტომ ის სიტყვა, რომლითაც ქვეყნიერება იწყება, ზმნაა. ამრიგად, ჩვენს ენას ორი შრე აქვს, ერთი ღვთაებრივი შრეა, მეორე კი – საეჭვო, რომელიც, ყველაფრიდან ჩანს, დაკავშირებულია გეენასთან, უფლისგან ჩრდილოეთით მდებარე სივრცესთან. მოკლედ, ენა და ენისავე დამწერლობა შეიცავს ჯოჯოხეთსა და სამოთხეს, წარსულსა და მომავალს.

დიახ, ენის დაწერილობაც! აქ ჩრდილის ძირი ჩანს. მიწიერი ანბანი ზეციერის სარკეს წარმოადგენს და ენის ბედ-იღბალს იზიარებს. უკეთუ ერთად ვიყენებთ სახელებსაც და ზმნებსაც (თუმცაღა ზმნები სახელებზედ უსაზღვროდ მაღლა დგანან, რამეთუ ასაკითაც არათანაბრნი არიან და წარმოშობითაც, რამეთუ ზმნები შესაქმემდე გაჩნდნენ, სახელები კი შემდეგ), ეს ყოველივე ანბანსაც ეკუთვნის. ამიტომ ის ასოები, რომელთა წყალობითაც სახელებს წერენ, და ის ასოები, რომლებითაც ზმნებს გამოხატავენ, ერთი ხარისხისანი ვერ იქნებიან, და ათადან-ბაბადან აკი ორი სახეობის ასო-ნიშნებად იცნობდნენ კიდეც და მხოლოდ ახლაღა აირდაირია ჩვენს თვალში, იმიტომ რომ სწორედაც თვალებში იმალება გულმავიწყობა. როგორც რომ მიწიერი ანბანის თითოეული ასო შეესაბამება ადამიანის სხეულის რომელსამე ნაწილს, ისევე შეესაბამებიან ზეციური ანბანის ასონი ადამ კადმონის სხეულის ნაწილთ, ხოლო ასოსა და ასოს შუა დარჩენილი ღრიჭონი თვითონ ადამ კადმონის მოძრაობის რიტმს აღნიშნავენ. მაგრამ იმის გამო, რომ ღვთიური და ადამიანისეულ ანბანთა პარალელურობა დაუშვებელია, ერთ-ერთი მუდამ უკან იწევს, რათა ადგილი მეორეს დაუთმოს; და, პირიქით, როცა მეორე ვრცელდება, პირველი იწევს უკან. ეგევე ზედგამოჭრილია *ბიბლიის* დაწერილობათათვის – *ბიბლია* მიწყივ სუნთქავს. ამ ღვთაებრივ წიგნში წამისწამ კრთიან ზმნები, ხოლო როგორც კი უკან იწევენ, უმალ შავად ყელყელაობენ სახელები, თუმცაღა, ჩვენ ამის დანახვა არ ძალგვიძს, როგორც რომ არ ხელგვეყვის იმის წაკითხვა, რას წერს შავად აბრიალებული ცეცხლი თეთრი ცეცხლის დაფაზედ. ადამ კადმონის სხეულიც აგრეთვე მონაცვლეობით ხან ავსებს ჩვენს არსებას, ხანაც დაგვიტევებს ხოლმე, ვითარცა მიქცევის ჟამს, იმისდა კვალობაზედ, ვრცელდება თუ უკან იწევს ზეციური ანბანი. ჩვენი ანბანის ასონი ცხადლივ იშვებიან, ზეციური ანბანის ასონი კი ჩვენს სიზმრებში ჩნდებიან, ვითარცა სინათლე და ქვიშა დედამიწაზედ წყალ-წყალ იმ დროს მიმობნეულნი, რაჟამსაც ღვითური დაწერილობანი ღვარად დაიძვრიან და ჩვენთა მძინარე თვალთაგან გამოაძევებენ სუყოველ კაცობრიულ დაწერილობას. იმიტომ რომ სიზმარში ადამიანები თვალებითა და ყურებით ფიქრობენ, მეტყველებას სიზმარში არცრა სახელი სჭირდება, ის ოდენ ზმნებს იყენებს, და ყოველი ადამიანი მხოლოდ სიზმარშია ცადიკი, წმინდანი და არცროდის მკვლელი... მე, სამუელ კოენი, ვინც ამ სტრიქონებს ვწერ, ვითარცა ხაზარნი სიზმართა მებადურნი, სინათლის ბნელი მხარის არემარეში ვყვინთავ და ვცდილობ იქ გამომწყვდეულ ღვთიურ ნაპერწკალთა ამოკრეფას, თუმცა ვინ იცის იქნებ სულაც საკუთარი სული დამრჩეს იქ წარტყვევნილი.

ასოთაგან, რომელთაც მე ვაგროვებ და იმ ხალხის სიტყვათაგან, ვინც ამასვე ჩემამდე იქმოდა, მე ვადგენ წიგნს, რომელიც, ვითარცა ხაზარნი სიზმართა მებადურნი იტყოდნენ, ადამ კადმონის სხეულს ხილულსა ყოფს დედამიწაზედ...

რაბინმა და ნეჰამამ ბინდბუნდში ერთმანეთს გადახედეს და რაც თეთრი თოფრები იყო დარჩენილი, გადაქექეს, მაგრამ შიგ ვერცრა მოიძიეს, რამდენიმე ათეული ანბანთრიგით დალაგებული ქაღალდების შეკვრის გარდა, რომელ ქაღალდების შეკვრათაც კოენი *ხაზარულ სიტყვისკონას (Lexicon cosri)* ეძახდა და, როგორც ისინი მიხვდნენ, იმ ქაღალდებში კოენს თავმოყრილი ჰქონდა ცნობები ხაზარებზედ, იმათ რჯულზედ, წეს-ჩვეულებებსა და იმ ადამიანებზედ, ვინც დაკავშირებული იყო იმათთან, იმათ ისტორიასთან და იმათ მიერ იუდაიზმის აღიარებასთან. ეს მასალა ძალიან ჰგავდა ყველივე იმას, რაც კოენამდე რამდენიმე საუკუნით ადრე იეჰუდა ჰალევიმ დაამუშავა ხაზარებზედ შექმნილ თავის წიგნში, თუმცა კოენი უფრო შორს წავიდა, ვიდრე ჰალევი, მან საკითხის არსში უფრო ღრმად ჩახედვა სცადა იმის გასარკვევად, თუ ვინ იყვნენ ჰალევის წიგნში დასახელებული *ხაზარული პოლემიკის*▽ ქრისტიანი და მუსლიმი მონაწილენი.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

**ყვითელი წიგნი**

ებრაული წყაროები
ხაზართა საკითხის შესახებ



---

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 51-88.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №55







# შთაგონება და ფული

„БЕРЕГИТЕ НАС, ПОЭТОВ, БЕРЕГИТЕ НАС"...

**დახშულ სივრცეში მღეროდა ქართული წარმომავლობის რუსი ბარდი, მოსკოვის ცნობილი ქუჩა – არბატი საკუთარ რელიგიად რომ გამოაცხადა... მას, ესოდენ გამორჩეულს, განსაკუთრებით უფრთხილდებოდა რუსეთის ინტელიგენცია. საშუალებას აძლევდა ნამდვილი შემოქმედებით ერჩინა თავი, რაც მაშინ არასაბჭოთა ორიენტაციის პოეტისთვის თითქმის შეუძლებელი იყო...**

მწერლის ფსიქიკა ზოგჯერ მისივე ქმნილებაზე რთულია და წინააღმდეგობრივი. იგი ერთდროულად მიმღებიც არის და უარმყოფელიც. ბულატ ოკუჯავას სწორედ რუსეთმა (არბატმაძ მისცა არსებობის საშუალებაც და აღიარებაც, მის შემოქმედებას (პოეზიას, სიმღერებს, პროზასძ კი – სამუდამო თავშესაფარი...

წარმომავლობას ის არასდროს მალავდა, მაგრამ მიზეზსა და საბაბზე, რის გამოც საქართველოს რუსეთი არჩია, უარმყოფელი ქვეტექსტით, დელიკატურად დუმდა...

* * *

**რუსეთის ისტორიაში ალბათ ძნელად მოიპოვება ვაჟა-ფშაველას თუ ტერენტი გრანელის დონის პოეტები, სამუდამო უსახლკაროებისთვის, გაცვეთილი ძალამნებისთვის ან დაუბეჭდავი ლექსებით სავსე ხურჯინისთვის გაემეტებინოთ... და მერე ეს ყოველივე სალონური საუბრებისთვის, „რომანტიკად" ექციოთ...**

ერთმანეთს ყოველთვის უპირისპირდება ოფიციოზის და ინტელიგენციის გემოვნება, მაგრამ ნებისმიერი ხელისუფლებისადმი ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენცია ცდილობს გემოვნებათა თანხვედრაზე ისაუბროს და ამავე დროს, „თეთრ ხელთათმნიანი" პოზით „წუხს", რომ ბევრი რამ მასზე არ არის დამოკიდებული და საერთოდ, ის არაფერ შუაშია...

იყო თუ არა გენიალური ადამიანების, დიდი მწერლების ქომაგი, ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჟურნალ-გაზეთებით ნაკვები ქართული ინტელიგენცია?".. ზედაპირული, არასიღრმისეული ცოდნა, მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების ემპირიული ინფორმაციები და რევოლუციების ზედაპირზე აღმოცენებული აქტივისტი საზოგადოების ვნებანი განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: „წითელი ინტელიგენტი", „უხერხემლო ინტელიგენტი", „ფსევდოინტელიგენტი", „კრიმინალური ინტელიგენცია", „რევოლუციონერი ინტელიგენცია" და სხვა... ნამდვილი ინტელიგენცია კი იძულებულია დუმდეს...

* * *

**XXI საუკუნე – პიროვნების და კაპიტალის, ფულის და სულიერ ფასეულობათა აღრევის სტიქიური პროცესები...**

საქართველო ეკონომიკურად და ტექნიკურად ჩამორჩენილი, ქართველისთვის უჩვეულო პოზით, დახმარებისათვის გაწვდილი ხელით – ამერიკისა და ევროპისაკენ... ირონიაშერეული ექსკურსი – ოდესღაც დიადი და ძლიერი ჩვენი სახელმწიფოს, შუასაუკუნეების ფასდაუდებელი კულტურის, ერის მამების და წინასწარმეტყველების შესახებ... წარსულის შეუთავსებლობა თანამედროვეობასთან...

დახმარებები, კრედიტები, ვალები... **და მაინც, ვერავინ იგებს, რა გვიჯდება დაკარგული ეროვნული თავმოყვარეობა** და ვის ან რას ხმარდება ის მილიონები...

მწერალი (ალბათ ჟურნალისტიცძ ერთი ძველი და სანიმუშო ფორმულით უნდა ცხოვრობდეს: ნუ იქნები (სინამდვილეში ვერც იქნებიძ შენს სამშობლოზე უკეთესად... ეს ფრაზა, რა თქმა უნდა, „ნამდვილის" კატეგორიას ეხება და არა ყველა დროებაზე მორგებულ კალმოსნებს...

მართლაც, მშვენიერია მაღალი იდეა, მაგრამ ფიზიკურად როგორ წეროს ადამიანმა აქ, ზამთარში, გაყინული თითებით... ან დაძაბული ფიქრით, რომ ახლობლებს სცივათ ან შიათ... ან თუნდაც, ქაღალდის ეკონომიით, რადგან ისიც გაძვირდა თურმე... წეროს, თითქმის უჰონორაროდ და, რაც მთავარია, მკითხველის თანაგრძნობის გარეშე...

მას, ვინც უკვე დიდი ხანია წერს, სხვა პროფესია არ გააჩნია...

და ბოლოსდაბოლოს, წერა ხომ მხოლოდ ფიზიკური პროცესი არ არის, მას განწყობა და უპირველესად, შთაგონება სჭირდება...

* * *

**გუშინ ველაპარაკე თანამედროვე მწერალს, სიცოცხლეშივე ფასეულობად ქცეულს, ყველა ერი რომ იამაყებდა მისი დონით და მნიშვნელოვნებით... იამაყებდნენ იმითაც, რომ იმ მწერლის თანამედროვენი არიან... და რამაც ყველაზე მეტად მატკინა გული, მას, ჯანმრთელობაშერყეულს, უსახსროდ დარჩენილს, ბედს მინდობილს, არ სურს ვინმესთან გაამხილოს, რომ არ გააჩნია ფული არსებობისთვის... (მახსენდება დავით კლდიაშვილის ნაღვლიანი სიტყვები: „კლასიკს ასე არ ეპყრობიან..."ძ**

ამ დროს, საეჭვო ღირებულების მწერლები თუ პოეტები განსაკუთრებულად გაიწაფნენ და დაოსტატდნენ რაღაც გრანტების მოპოვებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიწერ-მოწერაში, საკუთარი შემოქმედების რეკლამირებაში... ფუსფუსებს ფსევდოინტელიგენცია და ზოგჯერ თავიანთი მწერლურ-ინტელიგენტური იმიჯის გასამყარებლად და ასამაღლებლად, ხალხის გასაგონად, ხელისუფლებაზეც წამოიძახებენ ხოლმე ორიოდ თამამ სიტყვას...

საერთოდ, მწერალი სხვა პროფესიის ადამიანზე უფრო თვალსაჩინოდ ერთვება დროების ორომტრიალში... ყველა საუკუნეში სხვაზე მეტად ჩანდა და ჩანს მისი მორალური იერი და ესთეტიკური მიმღეობა. მწერალი სხვათა მსგავსად ცდილობს ოცნების სწრაფად და უპირობოდ ახდენას... და რაც უფრო მეტია ასეთი ცდა თუ მცდელობანი, მით მეტია გაცნობიერებული მარცხიც...

მწერალიც, თუნდაც გენიოსი, ხომ ადამიანია და როზანოვის ცნობილი სენტენციის თანახმად, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. თუნდაც საკუთარი დროების ვნებანი... მწერალსაც სურს მატერიალური კეთილდღეობა... სხვა ფაქტორებთან ერთად, არის თუ არა ფული სტიმული შთაგონებისთვის?

კაცმა რომ თქვას, მკითხველის რა საქმეა ან რა მნიშვნელობა აქვს როგორი სულიერი ტანჯვის თუ ფიზიკური შეჭირვების პარალელურად დაიწერა წიგნი, რომელიც ხელთ უპყრია და კითხულობს?

რა დააკლდა ვაჟა-ფშაველას ან დავით კლდიაშვილის შემოქმედებას, თუ საზოგადოება მათ პიროვნულად არ მოუფრთხილდა?.. უფულოდაც ხომ დაიწერა შედევრები?

გენიალობა, როგორც სულის თვისება, მისი არაბუნებრივი ძალა და სილამაზე გენიალურ ადამიანს განსაკუთრებული ამტანობის უნარს ანიჭებს, როგორც იტყვიან, „უკანასკნელ სულის ამოხდომამდე"... ფილოსოფოსი და პოეტი ვ. სოლოვიოვი წერდა: „Гений есть максимум усилии..."

მაგრამ აქ ვფიქრობთ, ერთი სულისხმო მომენტიცაა გასათვალისწინებელი: მაგალითად, ფეოდორ დოსტოევსკი ისე, როგორც მრავალი მწერალი, ოცნებობდა ბევრ ფულზე... დოსტოევსკი ამბობდა, რომ სურს ჰქონდეს მილიონი... **დიახ, მილიონი და არა რაღაც საარსებო მინიმუმი.** მწერლის ამ განაცხადზე ბევრს ბჭობენ ლიტერატურის ისტორიკოსები... პუშკინის ცნობილი „Гения и злодеиство..."-ს პერიფრაზირებასაც ახდენდნენ – „Гения и Миллион..." რიგი კრიტიკოსებისა დოსტოევსკის ამ მისწრაფებას პიროვნული და შემოქმედებით თავისუფლების პრობლემას უკავშირებს. არსებობს ასეთი აზრიც, რომ ფულის საშუალებით ყველაზე დამთრგუნველ გარემოშიც კი, მწერალს შეუძლია დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.

იხ. მე-9 გვ.





## გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებიდან

14.IV – დავყარე წინდებში, ყველა, რაც დასაყარი იყო, მთელი ზაფხული მეყოფა.

დღეის პირველ საათზე მოვიდა შალვა. მან მასესხა 3 თუმანი. აგერ, რამდენი ხანია, მხოლოდ ორ-ორ მანეთს ვხარჯავ. 4-5 დღეა კი მანეთ-ნახევარს. სავსებით მყოფნის.

17.IV – გამოვიტანე სამრეცხაოდან პერანგი და შარვალი. ვიყიდე ძმარი, ჭრიალეტში(?), შუადღემდე დავიხარჯე 9 მანეთი. ეს რამე ზრუნვით ყოფილა ავენები!.. სადილობით დავიმალე: პური, [illegible]

[illegible]

[illegible]

# შთაგონება და ფული



(მერვე გვერდიდან)

მომხდარა ისეც, რომ ნებისმიერი გზით და დაუსრულებლად ფულისკენ სწრაფვას ადამიანი თავისუფლების ნაცვლად მონობისკენ მიუყვანია... და მაინც, არაერთმნიშვნელოვანია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, როცა შემოქმედებას ეხება საქმე...

ფული, როგორც შთაგონების წყარო, არაერთგზის ფიგურირებს დოსტოევსკის შემოქმედებაში. რასკოლნიკოვის თუ არკადი დოლგორუკის სულიერი დრამები ფულთანაა დაკავშირებული. ორივეს ოცნება – ფულით მიღწეული აბსოლუტური პირადი თავისუფლებაა. თუმცა „Гения и Миллион“-ის ურთიერთკავშირის გარკვევის მსურველთ ყველაზე არსებითი გამორჩათ: მილიონი დოსტოევსკისთვის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველია“, მოუხელთებელი ფრინველი თუ ოცნება, რომელიც მთელი ცხოვრება სდევდა, თითქოს თან ახლდა კიდეც და მის მწერლურ თავმოყვარეობას ასაზრდოებდა. ჯერ კიდევ ადრე, ბოლომდე აუღიარებელ მწერალს უთქვამს: **„ჩემი სახელი მილიონი ღირს“... ანუ ის ოცნებობდა, რომ „მილიონად“ დააფასებდნენ...** ან იქნებ ზუსტად იცოდა კიდეც, რომ მისი შემოქმედება მართლაც, „მილიონი“ ღირს...

ალბათ ეს ფაქტორია ყველაზე არსებითი... მწერალი ყველაფერს გაუძლებს, მაგრამ მტკივნეულად სურს იცოდეს, რა ულირს იგი მკითხველს, მის თანამედროვეობას... რამდენს იმეტებენ იმ ნაწერისთვის, რაშიც ცრემლი და სისხლია ჩანთხეული...

* * *

**რომელი ქართველი მწერლის სახელი ფასდება დღეს მილიონად?.. ძველის თუ ახალის?** რომელ თანამედროვე მწერალს შეუძლია მხოლოდ საკუთარი შემოქმედებით ირჩინოს თავი, საეჭვო კავშირების და ფუსფუსის გარეშე...

შეცდომაში ნუ შეგვიყვანს მაღაზიათა თაროებზე შემოწყობილი ძვირადღირებული მათი წიგნები. ეს ფული გამომცემლისაა, მცირე პროცენტი, ზოგჯერ კი სრულიად არაფერი – მწერლის...



მემუარისტები მოგვითხრობენ, რომ მრავალ მწერალს სწორედ ფული ან უფულობა აიძულებდა კალამი აეღო ხელში... მაგრამ იმისთვის, რომ წერო, ისევ შთაგონებაა საჭირო... ანუ რაც უფრო ვასალურ დამოკიდებულებაში ვარდებოდნენ ფულის წინაშე, მით უფრო უჭირდათ შთაგონებასთან მიახლება. ეს იყო საშინელი იძულება, საკუთარ ფსიქიკაზე ძალდატანება, რაც ხშირად ფიზიკური და სულიერი ტრავმით მთავრდებოდა...

გალატაკებულ, უკიდურეს ვალებში ჩაფლულ აკაკი წერეთელს არ უცდია ცხოვრება შეეცვალა. გაუსაძლის ყოფასა და გარემოში დარჩენილმა, მაშინაც კი, როცა გამოსავალი არსაით ჩანდა, საგნების მიღმა არარას დანახვა და დეკადენტური ჩივილი არ ისურვა... არც სხვა პოეტებივით თვითმკვლელობაზე უფიქრია... არ უნდოდა აეხსნა დახლართული ურთიერთობებიც... პირიქით, უფრო და უფრო მიმტევებელი ხდებოდა...

ზამთარია... აკაკი პეტროგრადიდან იღებს წერილს. როგორც ყოველთვის, ცოლი და შვილი ფულს სთხოვენ... მოხუცი პოეტი შეუდგა თბილისში ფულის ძებნას, მაგრამ ამაოდ... მიემგზავრება ქუთაისისკენ... იქნებ იქ იშოვოს... ქუთაისში ჩერდება ნახევრად ჩამონგრეულ სასტუმრო „გრანდ-ოტელში“... ყველაზე იაფფასიან ნომერში... სასტუმროს არ ათბობენ... ღამეც და დღეც საშინლად ცივა... ქალაქში დადის, მაგრამ არავინ აძლევს ფულს სესხად... და მან, უკიდურესობამდე მისულმა, გადაწყვიტა დაეწერა ახალი პოემა „ომი“... ჰონორარს ჰპირდებოდნენ... რაც უფრო ჩქარა დაამთავრებდა პოემას, მით ჩქარა აიღებდა გასამრჯელოს... აკაკი დღე და ღამე შეუსვენებლად მუშაობს... ცივ ოთახში, თითქმის მშიერი, მწარე ფიქრებით სავსე... მაგრამ მაინც წერს და წერს... ასეთ მდგომარეობაში უცებ მეორე დეპეშა მოდის პეტერბურგიდან: **„უკიდურესად გვიჭირს. სასწრაფოდ მოგვაშველე ფული!“..**

„ომი“ აკაკის უკანასკნელი ნაწარმოები აღმოჩნდა... 24 დეკემბერს პოეტი ცუდად გახდა... როგორც ჩანს, ვერ გაუძლო ფიზიკურ და სულიერ დაძაბულობას და იმავე ღამით დამბლა დაეცა...

ექიმ ჯოლოშვილის გადმოცემით, აკაკის, მეორე დღეს, დილის 5 საათზე ხელმეორედ ჩაექცა სისხლი ტვინში. აგონიამ შუაღამემდე გასტანა. ღამის პირველ საათზე მგოსანი გარდაიცვალა...

* * *

ლევ ტოლსტოის ცნობილი კითხვა „რისთვის ვწერ?“ მატერიალურ ანაზღაურებას არ გულისხმობს. გრაფ ტოლსტოის თავადი წერეთლისგან განსხვავებით, შემოქმედების საზღაურის გარდა, სხვა შემოსავლებიც გააჩნდა.

ლიტერატურის ისტორიაში მრავალი მაგალითია, როცა მწერალს ყველაზე ახლობლებიც კი სთავაზობდნენ სხვა სამუშაოს. თითქოს უწყიან, რომ შეუძლებელია მხოლოდ ლიტერატურით ირჩინო თავი. ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძეს გულისამაჩუყებლად მზრუნველი ძმა წერილს წერილზე წერდა.იქნებ ჭყვიშის ორკლასიან სასწავლებელში იშოვოს მასწავლებლის ადგილი...“ მაშინ გალაკტიონი უკვე „არტისტული ყვავილების“ ავტორი იყო...

ლიტერატურის ისტორიამ ისიც იცის, რა სულიერ დრამად დაუჯდა ბარათაშვილს კანცელარიაში „სტოლნაჩალნიკობა“... რასაც, რატომღაც მშვიდად უყურებდა მისი ალალი ბიძა – პოეტი გრიგოლ ორბელიანი... „ძია გრიგოლ!“.. ასე მიმართავდა მას ტატო ბარათაშვილი და წერილთან ერთად საკუთარ, ყველასგან აუღიარებელ ლექსებს ამაოდ უგზავნიდა...

* * *

ალექსანდრე პუშკინი განმარტავდა: „Служение муз не терпит суеты“... პუშკინმა თავისი ბიოგრაფიითაც დაამტკიცა, რომ ზუსტად იცოდა, რას ნიშნავს, ვინმეს ან რამეს მიყიდული პოეტი, მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, რომ იგივე პოეტს აუცილებლად ჭირდება ფულიც...

„Не продается вдохновенье,
Но можно рукопись продать...“

* * *

**„ვინ უყურებს მას, თუ რას იტან შენ, შენს ღარიბულ ოთახში, როდესაც წერ... როგორ დაჭიმულია შენი ძარღვები, აზრები... ეხლა, როცა ხანდახან, მუშაობის დროს, მოგიგონებ, მაგ ცივ ოთახში მომუშავეს, გამიელვებს აზრი, რომ დრო, ულმობელი, დღევანდელ თაობას ერთ დროს წაგვშლის... როგორც შემოდგომის ფოთოლს, შენც მიგფარავს სამუდამოდ და დარჩება მუდამ შენი ლექსები, პოემები, შენი სურათი, აქარგული ეპოქებით, მაგრამ წამებს, საათებს, შენი განცდისას, ვინ დათვლის, ვინ აკინძავს...“** (გალაკტიონის უბის წიგნაკიდან).

**„ჩემი აღსარება ეპოქის აღსარებაა...“** – წერდა რომენ როლანი.

ყოველი ეპოქა პასუხისმგებელია დაღვრილ სისხლზეც და დანთხეულ ცრემლზეც...

* * *

დიდი ხანია ვიცით და თითქმის შევეგუეთ, რომ გაუცხოების და გულგრილობის ეპოქაში ვცხოვრობთ, თუმცა ჩვენი ხშირად სრულიად უმიზნო და უშედეგო, ე. წ. „ინტელექტუალური სასოწარკვეთა“, გაუსაძლის სულიერ დრამად იქცა დიდი პოეტისთვის, XX საუკუნის ყველაზე დიდი მარტოსულისთვის, რომელიც ზოგჯერ პურის ფულის საზღაურად საკუთარ პალტოს აბარებდა ლომბარდში... ვისი არქივიც სავსეა ამხელა რანგის პოეტისთვის უჩვეულო სიფხიზლით და ჩანაწერებით, როგორ გაანაწილოს ფული აუცილებელი ნივთების საყიდლად...

ის სიზმრებს ხედავდა „არაჩვენებურს“ და ალბათ ამიტომაც შეეძლო პოეზიად ექცია „ჩვენი დღეების პროზა,“ ხოლო საკუთარი სიკვდილის დღეს, მაშინ, როცა საბედისწერო ნაბიჯისთვის ემზადებოდა, კითხვაზე: „როგორ ბრძანდებით, ბატონო გალაკტიონ?“ ყველას ხაზგასმული თავაზიანობით და ამაყად პასუხობდა: „კარგად, ძალიან კარგად!“..

**ნინო ხოფერია**

**ტაბიძეთა საოჯახო ალბომიდან:** ამ კადრის რეჟისურა ფოტოგრაფს ეკუთვნის. სხვა დანარჩენი მათ სახეებზეა აღბეჭდილი. ხის სავარძელში ზის დარბაისელი, შაოსანი ქალი ნაწნავებით – **მაკრინე ადეიშვილი,** დაღლილი, მაგრამ გარემოებისთვის შესაფერი აცილებული გამძლეობით, სიმტკიცით, ქართულ თავმოყვარეობას რომ უტოლდება... დგანან: შვილები – **აბესალომ და გალაკტიონ...** სავარძლის საზურგეზე ერთნაირად დაწყობილი ხელებით... ორივენი განსაკუთრებული მოკრძალებით არიან დედისკენ ოდნავ გადახრილნი... რიტუალურად და ამ მშვენიერი ერთობის დამადასტურებელი სერიოზულობით... თუმცა დედისადმი სიყვარული ძმებმა პრაქტიკულად სხვადასხვაგვარად გამოხატეს...

უფროს ვაჟს – პროკლეს (დედის ბარათიდან):

**„ახლა კარგად ვარ. ჩემი ჯავრი არ ჩაიდო გულში, ჩემო ძვირფასო შვილო, შენი ხასიათი ხომ ვიცი, თვარა, მეორეს ჩემი ჯავრი არა აქვს“...**

(ამ **„მეორეში“** გალაკტიონია ნაგულისხმევი).

უმცროს ვაჟს – გალაკტიონს:

**„ფიქრიდან განუშორებელო და მოგონებებით დამტანჯველო, შვილო ჩემო, გალაკტიონ! არ გახსოვს არავინ, არც ნათესავი, არც ოჯახი... რა გიჭირდა, მოსულიყავი და გაგემხიარულებინა შენი საწყალი დედის გული და შენი ძმის... ეს შენც უნდა იცოდე, როცა ორივეს ერთად დაგინახავთ, მაშინ გამითენდება დღესასწაული... არა, შე კაცო, რატომ მიმოკლებ წუთისოფელს, რა დამიშავებია შენთვის“...**



...და დიდი ხნის მერე, გალაკტიონისგან – უპასუხოდ დარჩენილი მრავალი წერილის პასუხად: **„შენმა წერილმა მე მომკლა! დედიკო, რატომ იწერები, რომ მე შენთვის სანატრელი ვარ... შენ იწერები: შენგან მოძულებულიო (!ძ ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის სთქვა: „შენგან მოძულებული“... ჩემო ძვირფასო დედა!..“**

დრო გადიოდა და ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

აბესალომ ტაბიძე – ძმას, გალაკტიონ ტაბიძეს:

**„გალაკტიონ, მართალი გითხრა, შენზე ძალიან გულმოსული ვარ, თანდათან ვრწმუნდები, რომ შენთან კაცს კარგი არ გაუვა, და შენი სიტყვა სარწმუნო არ არის. რატომ ერთხელ არ გაგახსენდება წერილის მოწერა, როცა შემპირდი, რომ უეჭველად გამოგიგზავნიო...**

**ამგვარი ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდი, აღარ ვარგა. რა სახელი უნდა გქონდეს, თუ მუდამ ბულვარში დაიარები აქეთ-იქით გზის ტკეპნით...**

**დედა დაჟინებით გთხოვს, შენი ხაბაკით ჩამოხვიდე. სხვა შენ იცი. მომწყინდა ამდენი წერა. ვიცი, წაიკითხავ და სადმე მიაგდებ ისე, რომ არც ჩაფიქრდები“...**



◎ წინ 9 მაისია: ფარდაახდილი სიმართლე

# დავუბრუნოთ სტალინი გამარჯვებას



### შეიარაღების მთავარი კონსტრუქტორი

**სტალინი უშუალოდ მონაწილეობდა ომის წლებში წითელი არმიის (შემდეგ კი – საბჭოთა არმიისძ მიერ გამოყენებული ყველა სახეობის შეიარაღების შექმნაში. იგი იძლეოდა პრინციპულ დავალებებს, ადევნებდა თვალყურს მათ შესრულებას, აძლევდა რეკომენდაციებს ინსტრუქტორებს, იღებდა გადაწყვეტილებებს შეიარაღების უწვრილმანესი დეტალების შესახებაც კი.** უეჭველია, რომ სტალინს ჰქონდა ბრწყინვალე პოლიტექნიკური განათლება, რომელიც მან დამოუკიდებლად შეიძინა. წითელი არმიის შეიარაღებაში ნამდვილი რევოლუცია იწყება ომის წინა წლებში, როცა სტალინმა შეიარაღების შემუშავება თავისი მუდმივი კონტროლი დაუწესა, გადასწია რა მეორე პლანზე შუალედური ინსტანციები. პრაქტიკულად ყოველი სახეობის საბჭოური შეიარაღება, მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით დაწყებული და ტანკებით და თვითმფრინავებით დასრულებული, კონსტრუქტორებმა შექმნეს ქვეყნის ხელმძღვანელთან კოორდინაციით.

საბჭოთა ჯარისკაცები მთელი ომის წლებში იბრძოდნენ „სტალინური" იარაღით, და რაც უფრო მჭიდრო და შემოქმედებითი იყო სტალინის მუშაობა კონსტრუქტორებთან, მით უფრო უკეთესი იყო შეიარაღების ხარისხი.

### ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი

### № 227 ბრძანების საიდუმლო

**სადღეისოდ გაცილებით უფრო ნაკლებად გამოთქვამენ ეჭვს იმის თაობაზე, თუ რა როლი ეკისრებოდა სტალინს, როგორც გამარჯვების „ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს". მავანმა შეიძლება თქვას, რომ სტალინი არ იყო სამხედრო სპეციალისტი, კონკრეტულად არ წყვეტდა სამხედრო საკითხებს, ზოგიც სადავოს ხდის სტალინის მიერ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რაც უკვე ანეკდოტურ სიტუაციას უფრო ემსგავსება.**

უმაღლესი მთავარსარდლის დირექტივები და ბრძანებები, რომლებსაც პირადად სტალინი წერდა, მუდამ განმარტავდნენ საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული ომის პოლიტიკურ აზრს და ხასიათს. თითოეული ასეთი ბრძანება თუ დირექტივა იყო პოლიტინფორმაციის, სააგიტაციო მოწოდების და კონკრეტული მკაცრი განკარგულების თავისებური სინთეზი. სტალინის სტილმა უკვე დაიმსახურა სათანადო შეფასება თვით იმ მკვლევართა მხრიდანაც კი, რომლებიც შორს დგანან პოლიტიკისგან. **საომარი პერიოდის ბრძანებები და სიტყვები არის რუსულ ენაზე პუბლიცისტური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშები.** უახლოესი ანალოგები შეიძლება ვიპოვოთ ივანე მრისხანეს წერილებსა და პეტრე პირველის რეგლამენტებში, რომლებიც ასევე განმარტავენ რუს მმართველთა იდეებსა და პრინციპებს, მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორისგან, სტალინი გამოირჩეოდა აზროვნების სიზუსტით, საკითხების კონკრეტულობით და ნიმუშების მკაფიოებით. არ არის გამორიცხული, რომ ფორმულა „ჩვენი საქმე სამართლიანია", რომელიც მოლოტოვმა წარმოთქვა, ასევე სტალინს ეკუთვნოდეს, რადგან იგი აქტიურად მონაწილეობდა მიმართვების შედგენაში.

ამიტომ, „ანტისტალინისტები" სადავოს ხდიან არა თვით ასეთი ხელმძღვანელობის ფაქტს, არამედ იმას, თუ რაოდენ კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა იგი ქვეყანაზე. **განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ № 227 ბრძანებაზე: „არც ერთი ნაბიჯი უკან!", რომელსაც „სასტიკს" და „ბარბაროსულს" უწოდებენ.** ამავე დროს კი ეს ბრძანება შეიცავს რკინის, შეიძლება თქმა, მათემატიკურ ლოგიკას, რომელიც კონცენტრირებულია ერთ აბზაცში: **„ყველა მეთაურმა, წითელარმიელმა, პოლიტმუშაკმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენი სახსრები არ არის შეუზღუდავი, საბჭოთა კავშირის ტერიტორია არის არა უდაბნო, აქ არიან ადამიანები – მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ჩვენი მამები და დედები, ცოლები, ძმები, შვილები... უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, დონბასისა და სხვა ოლქების დაკარგვის შემდეგ, ჩვენ ნაკლები ტერიტორია, მაშასადამე, ნაკლები ადამიანები, პური, ლითონი, ქარხნები, ფაბრიკები დაგვრჩა. ჩვენ დავკარგეთ 70 მილიონზე მეტი ადამიანი, წელიწადში 80 მილიონ ფუთზე მეტი პური და 10 მილიონ ტონაზე მეტი ლითონი. ჩვენ უკვე აღარ გვაქვს გერმანელებთან შედარებით უპირატესობა არც ადამიანების რესურსებით, არც პურის მარაგით. კვლავაც უკან დახევა ნიშნავს საკუთარი თავის და, ამასთან ერთად, მთელი ჩვენი სამშობლოს დაღუპვას.** ჩვენს მიერ დატოვებული ტერიტორიის ყოველი ახალი გოჯი ყოველმხრივ გააძლიერებს მტერს და ყოველმხრივ დაასუსტებს ჩვენს თავდაცვას, ჩვენს სამშობლოს".

პრინციპში, სტალინი შეეწინააღმდეგა „სკვითური ომის" იდეოლოგიას, რომელიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული რუსულ სამხედრო შეგნებაში, ქვეცნობიერად აღწევდა რა მეთაურებისა და კომისრების წარმოდგენაშიც. ცოტა ვინმეს თუ შეუნიშნავს, რომ ბრძანებაში არ არის საყვედური წითელარმიელთა, ანუ რიგითი ჯარისკაცების მისამართით. სტალინი არ მიმართავს არმიას, რომელსაც, ზოგიერთების მტკიცებით, „არ სურდა ბრძოლა". **მთავარი დარტყმაა მიმართული დაპანიკებული ან თვითნებობას მიცემული მეთაურების წინააღმდეგ.** ჯარისკაცებსა და ოფიცრებში „სტრატეგიული აზროვნების" განვითარება, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი საბრძოლო ამოცანა შეედარებინათ თითქმის „ყველა ფრონტზე შექმნილ საერთო მდგომარეობასთან" და გადაეწყვიტათ, ჰქონდა თუ არა აზრი ამა თუ იმ მიჯნის დაცვას საერთო სტრატეგიული ვითარებიდან გამომდინარე, უმთავრესი საფრთხე იყო ნებისმიერი არმიისთვის. ინიციატივის გარდა, როგორც ჯარისკაცი, ისე ოფიცერი, გარკვეულწილად, „ვიწროდ" უნდა აზროვნებდეს, რაც მას მისცემს დასახული ამოცანის შესრულების შესაძლებლობას ნებისმიერ პირობებში. სწორედ ასეთმა „ვიწრო" აზროვნებამ მისცა კიდეც დასაბამი იმ გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომელსაც სრულიად უიმედო მდგომარეობაში უწევდნენ მტერს ალყაშემორტყმული საბჭოთა ჯარები 1941 წელს.

### ადამიანის რესურსების სტრატეგია

### რატომ დაკარგა სტალინმა ჰიტლერთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ჯარისკაცი?

**ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სტალინის სამხედრო აზროვნების კონკრეტულობასა და მათემატიკურობაზე. კვლავ მივმართოთ გენერალ შტემენკოს მემუარებს, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინა სტალინს ომის სტრატეგიული მიმდინარეობა.**

ი. ბ. სტალინმა მოულოდნელად იკითხა:

„– გენერალური შტაბის ახალგაზრდა უფროსის აზრით, როგორ მოხდა, რომ ჩვენ გავანადგურეთ ფაშისტური გერმანია და ვაიძულეთ მას კაპიტულაცია?

...გავიფიქრე, რომ ყველაზე კარგი იქნებოდა, თუ სტალინს გავახსენებდი თავისივე სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა ამომრჩეველთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ. მე ვთქვი, რომ ომმა წარმოაჩინა სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის ძმედუნარიანობა, მისი დიდი სიმტკიცე. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება მტკიცე იყო იმიტომ, რომ იგი ჭეშმარიტად სახალხო წყობილებაა, რომელიც ეფუძნება ხალხს და სარგებლობს მისი დიდი მხარდაჭერით... ვილაპარაკე იმ სამრეწველო ბაზაზე, რომელიც შეიქმნა ხუთწლედების დროს, კოლექტიურ მეურნეობებზე, იმაზე, რომ სოციალიზმმა შექმნა ძლიერი მტრის მოგერიებისთვის აუცილებელი მატერიალური შესაძლებლობები. დასასრულ, შევეხე ჩვენი არმიის დიდ საბრძოლო თვისებებს, საბჭოთა მხედართმთავრების საბრძოლო ხელოვნებას.

**ეგორ ხოლმოგოროვი**

(დასასრული იქნებაძ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 88.

◎ სიმართლე კი ასეთია!

# თანამედროვე ჯაყოიზმი

### ისტორიის ოსური მითოლოგემის შესახებ

ის ეყრდნობოდა მდიდარ მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" დაწერამდე შვიდი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. ქართველებმა ხომ ქრისტიანობის მიღებისთანავე თარგმნეს ბიბლია და შექმნეს ორიგინალური სასულიერო არქიტექტურა. ქართველთათვის არც სწავლა-განათლების საქმე იყო უცხო, სადაც მოქმედებდა იყალთოსა და გელათის აკადემიები. უფრო ადრე კი I საუკუნის დასაწყისში ამ ქვეყანაში ფაზისის აკადემია მოქმედებდა. ყოველივე ამის შემქმნელი ხალხი შეიძლება ბნელად და ინერტულად მონათლო? ქართველს არაფერი არ სჭირს სხვისი მისათვისებელი და არც აგდებით, შურით და ზიზღით ეკიდება სხვა ხალხებს და მათ კულტურას, ისე როგორც ოსები აკეთებენ, როდესაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშებს არაქართულად, ოსურად აცხადებენ. მაშ, რა ვუყოთ თითქმის ყველა ამ ძეგლზე ამოკვეთილ ქართულ წარწერებსა და ქართულ ფრესკაჩუქურთმებს? ნონსენსია ისიც, რომ ვითომ ქართველები მეზობელი ხალხების კულტურათა მიმართ არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდნენ. ქართველები ეწაფებოდნენ ერთმორწმუნე ბერძენთა და თითქმის სულ მტრულად განწყობილ ირანელთა კულტურასაც. თუმცა ბრმად არ გადმოჰქონდათ ისინი – შემოქმედებითად ავითარებდნენ და მას აჯვარებდნენ ქართულ კულტურასთან. სათანადო მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. როგორ შეიძლება ცრუ-მეცნიერული უწოდო ქართულ საისტორიო თხზულებებს, რომელთა საერთო კონცეპტუალური საფუძველი ბიბლია იყო. ქრისტიანი ავტორები ხომ არასდროს იტყუებოდნენ. სამწუხაროდ, ოსი ავტორები „ქართლის ცხოვრებას" ასეთი აგდებით ეკიდებიან. არადა, ერთადერთი მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო, რითაც შეიძლება ოსთა ისტორია დაიწეროს, ესაა „ქართლის ცხოვრება". ოსთათვის „ქართლის ცხოვრება" იმიტომაა ცრუ-მეცნიერული, რომ ის მათ მიერ შექმნილ ცრუ-ისტორიას აბათილებს. აი, ესაა სიმართლე.

აღარას ვიტყვით იმაზე, რომ თურმე ძველ დროს კავკასიის მთებში დიდი რაოდენობით მცხოვრები ოსები იყვნენ ამ მხარის პირველი მობინადრენი, რომ ისინი ორ მილიონს აჭარბებდნენ, კავკასიის ტომთა ცნობილ შვიდ ენას შორის, ოსური ენა პირველ ადგილზე ყოფილა; ისინი ყოფილან ქართლოსიანებსა და ჰაოსიანებზე ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი; რომ არა ოსები, ქართველი მეფეები ვერასოდეს მოიპოვებდნენ წარმატებებს: ქართული ანბანი, თურმე, ამავე დროს ოსურიც ყოფილა, რომელსაც ისინი იყენებდნენ 2200 წლის წინათ და სხვა მრავალი.

წიგნში ოსი ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ რუსეთისა და რუსებისადმი მეგობრობა მხოლოდ მათ შეინარჩუნეს. ეს იმიტომ, რომ სარმატებმა და ალანებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სლავთა ეთნოგენეზისში. აი, ერთი ციტატა განსახილველი წიგნიდან „Минули те времена, когда у нас под музыку Вано Мурадели распевали хором, прославляя „вечную дружбу". „С народом русским идут грузины, и украинцы, и осетинцы". „Грузины, украинцы, равно как и многие прочие, сегодня уже не с нами, а против нас. И только осетины еще продолжают идти с русским народом" (с.123. გადმობეჭდილია გაზ. „Русский вестник"-დან, № 22, 1992ძ.

წიგნში ოსთა თავდასხმის ობიექტია მეზობელი ინგუში ხალხიც, რომელთა მიწებიც, დიდი რუსი ერის დახმარებით, მეორე მსოფლიო ომის დროს მიიტაცეს. ოსთათვის ქართველები, რომლებიც მამა-პაპათა მიწა-წყალს ოს ექსტრემისტ-სეპარატისტებს არ ანებებენ, ნეოფაშისტები არიან, ინგუშები კი ნაციონალისტები. ინგუშებთან ურთიერთობაშიც ოსი ავტორები ცრუ-ისტორიას ქმნიან. მხოლოდ ზღაპრად შეიძლება მივიჩნიოთ ოს ავტორთა „მტკიცებანი", რომ ინგუშები თავიანთ ახლანდელ მიწაზე გვიან არიან მოსული. კავკასიის მთასა და მთისწინეთში თავიანთ წინაპართა მოსვლის თარიღს, მეზობელ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას მიაწერენ: „Монгольский погром окончательно подорвал алан на Северном Кавказе. Опустевшие земли на западе, на равнине, были заняты кабардинцами, а на востоке – вайнахами, которые освоили нижние предгорья, притеречную равнину и долину р. Армхи". აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მდ. თერგის მარჯვენა მხარე XX ს-ის დასაწყისშიც და საუკუნეების სიღრმეში მთლიანად ინგუშებით იყო დასახლებული, რომლებსაც ქართული საისტორიო წყაროები ღლიღვებს უწოდებდნენ. ცნობილია, რომ თერგის მარცხენა მხარეზე მცხოვრები ოსები XX ს-ის 20-იანი წლებისთვისაც კი მიწის გადასახადს უხდიდნენ ინგუშებს (ნ. ვოლკოვაძ.



**როლანდ თოფჩიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 82-88.

◎ ინფორმაცია

### სტუდენტები რა, ჯაშუშები არიან?

**მესტიის რაიონში დაკავებული რუსეთის მოქალაქეები ჯერ კიდევ სვანეთში იმყოფებიან. ბაშკირეთში მცხოვრები სტუდენტები აცხადებენ, რომ ისინი ყაბარდო-ბალყარეთში მოგზაურობდნენ, მაგრამ გზა აებნათ და რამდენიმედღიანი სიარულის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული ტურისტები ქართულ მხარეს დახმარებისთვის მადლობასაც უხდიან.**

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს უფროსის ემზარ მუშკუდიანის თქმით, დაკავებულ ტურისტებს თბილისში გადმოიყვანენ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით მოხვდნენ, მათ დაუყოვნებლივ გაათავისუფლებენ.**

**მედიანიუსი**

საქართველოს რესპუბლიკა
რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ქართულ ღვინოს ბრიტანეთის პარლამენტის წევრები დააჭაშნიკებენ

**საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი აცხადებს, რომ ქართულ ღვინოს გაუგზავნის დიდი ბრიტანეთის თემთა და ლორდთა პალატების წევრებს.**

„მე გამოგიგზავნით თითოეულ თქვენგანს რამდენიმე ბოთლ ქართულ ღვინოს და დაველოდები თქვენს შეფასებებს“, — თქვა პატარკაციშვილმა პალატების წევრთა წინაშე გამოსვლისას.

ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტმა უსამართლო და მცდარი უწოდა გადაწყვეტილებას რუსეთში ქართული ღვინოების იმპორტის აკრძალვის შესახებ.

გამოსვლის დროს პატარკაციშვილმა ილაპარაკა ამ ბოლო 2,5 წლის მანძილზე საქართველოში

**„რია „ნოვოსტის“ საინფორმაციო სააგენტო.**

მომხდარი პოზიტიური ცვლილებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, „ჯერ კიდევ შორია ეკონომიკურ სუვერენიტეტამდე“.

ფედერაციის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო პოლიტიკურ ოპოზიციას. „ოპოზიციას უნდა ჰქონდეს ხელისუფლების სათავეში მისვლის შესაძლებლობა სწორედ ისე, როგორც ეს ხდება დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში. ხელისუფლებამ დახმარება უნდა გაუწიოს ძლიერი ოპოზიციის შექმნას“, — მიაჩნია პატარკაციშვილს.

შეეხო რა რუსეთთან ურთიერთობას, მან თქვა: „საქართველო ევროპის და შეერთებული შტატების მეგობარია, მაგრამ რუსეთიც არ არის ჩვენი მტერი“.

# ალიარება მოსკოვში

**ქართულმა ღვინომ „კაგორმა“ მოსკოვში ღვინოების Vinnaya Karta Open – 2006 საერთაშორისო კონკურსში ოქროს მედალი მოიპოვა.**

გარდა ამისა, ქართულმა „საფერავმა“ დაიმსახურა კიდევ ერთი ვერცხლის ჯილდო, მთელმა რიგმა ქართულმა ღვინოებმა კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. კონკურსის ჟიურიში შედიოდნენ რუსეთის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები, მათ შორის, Master of wine ტიტულის მქონე სპეციალისტები. როგორც ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა იგორ სერდიუკმა განაცხადა, ასეთ შეფასებათა ფონზე რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის აზრი ქართული ღვინოების შესახებ „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“.

რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობაში უარი თქვეს რაიმე კომენტარი გაეკეთებინათ კონკურსის შედეგების თაობაზე.

როგორც ცნობილია, 2006 წლის 27 მარტს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობამ აკრძალა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქართული და მოლდავური ღვინოების შეტანა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განმარტეს იმით, რომ სამმართველოს ექსპერტებმა ღვინოებში თითქოს აღმოაჩინეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში მთელი რიგი მინარევები, მათ შორის პესტიციდებიც.

**„გრანი.რუ“.**




# ოქრუაშვილი ბოდიშს მოიხდის, ოღონდ, ერთი პირობით

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მზად არის, ბოდიში მოუხადოს რუსეთს არაკორექტული გამონათქვამისთვის, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.**

„ყველა ადამიანს აქვს ბოდიშის მოხდის უფლება. მე ამას გავაკეთებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავბრუნდები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში“, — განუცხადა ჟურნალისტებს თავდაცვის უწყების მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა დაავალა ქართული ღვინის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ, მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ემბარგო დაუწესა ამ პროდუქციას, განაცხადა, რომ რუსეთის ბაზარზე შეიძლება თვით „ფეკალური მასების“ გაყიდვაც კი. მოგვიანებით, როცა ასეთმა განცხადებამ რუსეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია, ოქრუაშვილმა საჭიროდ ცნო დაეზუსტებინა, რომ „ფეკალურ მასებში“ იგი გულისხმობდა არა ქართულ

**„როსბალტის“ საინფორმაციო სააგენტო.**

ღვინოს, არამედ იმას, რომ რუსი მომხმარებელი ვერ ერკვევა ბაზარზე გატანილი პროდუქციის ხარისხში. მან, ასევე ყველა აღშფოთებულ პირს ურჩია, რომ დაელიათ არა ქართული ღვინო, არამედ ცივი ონკანის წყალი, და მადლობა გადაუხადა რუსეთს ემბარგოსთვის, რადგან, მისი თქმით, საქართველო ამიერიდან გაცილებით უფრო ხარისხიან ღვინოებს ჩამოასხამს, გაყიდის მათ დასავლეთში და მეტ მოგებასაც მიიღებს.

თავდაცვის მინისტრის ასეთი გამონათქვამების გამო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ რუს ხალხს მოუხადა ბოდიში გაზეთ „ვრემია ნოვოსტეისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**(იბეჭდება შემოკლებით).**

# აფხაზეთი თანამეგობრობაში შესვლას ლამობს

**თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთი მზად არის შეცვალოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და დსთ-ში შესვლა აფხაზეთს უკვე მიმდინარე წლის დამლევამდე შეეძლება. ასეთი განცხადება გაისმა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, საქართველოსთვის უკვე აღარ იყოს მიზანშეწონილი თანამეგობრობაში დარჩენა.**

„აბსოლუტური ილუზია, — ასეთი კომენტარი გააკეთა ამ განცხადებაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. — ამაზე სერიოზულად ლაპარაკიც კი არ ღირს“.

**მიხეილ ვიგნანსკი, „ვრემია ნოვოსტეი“. 5 მაისი.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კრასინინს კი მიაჩნია, რომ აფხაზთა ლიდერს ბაღაფშს აქვს უფლება, გააკეთოს განცხადება იმის შესახებ, რომ ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკას სურს შეუერთდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას: „ნებისმიერ ადამიანს, სახელმწიფოს, თუ სახელმწიფო წარმონაქმნის ლიდერს აქვს უფლება საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი, და ეს სულაც არ არის გასაკვირი.

**(იბეჭდება შემოკლებით).**

# სამცხე-ჯავახეთის სომხობა უშიშროების უზრუნველყოფას მოითხოვს

**საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სომეხთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირმა გაუგზავნა მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას, რომელშიც გამოთქვა შეშფოთება ადგილობრივი სომხობის უშიშროების, აგრეთვე, ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გატანის დაწყებასთან დაკავშირებით რეგიონში სოციალური მდგომარეობის შესაძლო გაუარესების გამო. წერილის ავტორები აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ბაზის გატანამდე მისცეს რეგიონის მოსახლეობას უშიშროების გარანტიები და შეამსუბუქოს ადგილობრივ მცხოვრებთა მძიმე სოციალური მდგომარეობა. „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და სხვა ოფიციალურ პირთა მიერ გაკეთებული განცხადებები იმის შესახებ, რომ ქვეყნის ხელისუფლება გაგებით მოეკიდება ჯავახეთის მცხოვრებთა სოციალურ პრობლემებს, დღემდე მხოლოდ განცხადებებად რჩება“, — ხაზგასმულია დოკუმენტში. ჯავახეთის სომეხთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მხარის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად.**

**„გაზეტა სნგ“.**

**მოკლედ**

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება მასში შემავალი ქვეყნების პოლიტიკოსებისთვის. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო შეიძლება გამოვიდეს თანამეგობრობიდან. ახლა უკრაინელი პოლიტიკოსებიც სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, ღირს თუ არა მათი ქვეყნის დარჩენა დსთ-ს შემადგენლობაში. რუსეთის ფედერაციაში კი მიაჩნიათ, რომ თანამეგობრობიდან გამოსვლის შემთხვევაში, საქართველო და უკრაინა უფრო მეტს დაკარგავენ, ვიდრე მოიპოვებენ.**



* * *

**ბერლუსკონის მეგობარს, იტალიის ყოფილ თავდაცვის მინისტრს ჩეზარე პრევიტის კორუფციის გამო ექვსი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. იტალიის უზენაესმა სასამართლოს არ გაუუქმებია მისთვის გამოტანილი განაჩენი. ჩეზარე პრევიტის ბრალად ედება მაქინაციები 1986-1991 წლებში, როცა ბერლუსკონის კუთვნილმა „მედიასეტის“ კომპანიამ შეისყიდა გამომცემლობა „მონდადორი“. ამჟამად 71 წლის პრევიტის მოუხსნეს საპარლამენტო ხელშეუვალობა, და იგი შეიძლება საპყრობილეში აღმოჩნდეს.**

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი საიდუმლოდ შეხვდა „წამყვან რუს დემოკრატს“. ამ პოლიტიკოსის ვინაობას, აგრეთვე, ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინისთან მისი შეხვედრის ადგილს და დროს არ ახმაურებენ. როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ სამიტის წინ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია აგროვებს ინფორმაციას რუსეთში დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ.**



**მოკლედ**

**ტაჯიკეთში დაიღუპა ოპოზიციონერი. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიით, 45 წლის სადულო მარუპოვი დაიღუპა 4 მაისს, ღამით, როცა გადმოვარდა შინაგან საქმეთა განყოფილების შენობის მესამე სართულიდან. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობას არ სწამს ამ ვერსიის და გამორიცხავს თავისი აქტივისტის თვითმკვლელობის შესაძლებლობას, რადგან იგი იყო ღრმად მორწმუნე მუსლიმანი, სანიმუშო მამა და მეუღლე.**



* * *

**დიდ ბრიტანეთში არჩევნებში მმართველი პარტიის დამარცხების შემდეგ ბლერმა შეცვალა მთავრობის რამდენიმე ძირითადი მინისტრი. საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო დაიკავებს თემთა პალატის ლიდერის პოსტს. ბრიტანეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდება მარგარეტ ბეკეტი. თავდაცვის მინისტრი ჩარლზ კლარკი იძულებული გახდა გადამდგარიყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამიერიდან უხელმძღვანელებს ჯონ რიდი, რომელსაც მანამდე ეკავა თავდაცვის მინისტრის პოსტი. პარლამენტის ქვედა პალატაში ლეიბორისტთა ფრაქციის ლიდერი ჯეფ ჰუნი დანიშნეს ევროპის საქმეთა მინისტრად.**



* * *

**იერუსალიმში შვედეთის გენერალურმა საკონსულომ „შენგენის ვიზა“ მისცა ჰამასის მთავრობაში პალესტინელი ლტოლვილების საქმეთა მინისტრს ატეფ ადუანს. მინისტრი აპირებს მონაწილეობას შვედეთის ქალაქ მალმეში დაგეგმილ კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნება პალესტინელი ლტოლვილების საქმეებს. შვედეთის საკონსულოს ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი პროტესტი გამოიწვია ისრაელში და თვით შვედეთის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შორის.**



საქართველოს რესპუბლიკა
რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

## ანეკდოტები

ავტოინსპექტორებმა მიხო სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერეს და მართვის მოწმობა მოსთხოვეს.

— იცით რა, ძმებო, სჯობს, ჯერ თქვენს კანტორაში დაამყაროთ წესრიგი. გუშინ წამართვეს თქვენებმა „პრავა“ და დღეს როგორღა მოგცეთ?



* * *

ფირმაში უხეში შეცდომა დაუშვეს, რასაც ძალიან მძიმე ეკონომიკური შედეგი მოჰყვა. განრისხებული შეფი მეხივით დაატყდა თავს თანამშრომელს.

— ჩვენ შორის ერთ-ერთი ნაღდი იდიოტია: ან შენ, ან — მე!

— მაპატიეთ, ვერ გიპასუხებთ, შეფ, მაგრამ ის კი ნაღდად ვიცი, რომ თქვენი გამოცდილებისა და წინდახედულობის მქონე ადამიანი იდიოტს ნაღდად არ მიიღებდით სამსახურში.

* * *

— თუ შეიძლება გვითხარით, — ეუბნებიან ჩერჩილს, — რატომ არ არის ინგლისში ანტისემიტიზმი და რად არ არბევენ ებრაელებს?

— იმიტომ, რომ ინგლისელებს ებრაელები ჩვენზე ჭკვიანებად არ მიგვაჩნია...

* * *

ცოლ-ქმარი და ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალიშვილი ლიფტში ერთად შევიდნენ. რამდენიმე სართულის ავლის შემდეგ ქალიშვილი მოულოდნელად მიუტრიალდა მამაკაცს, სილა გააწნა, — უკანალზე რად მიჩქმიტეო, და ლიფტიდან გაბრაზებული გავიდა.

— ღმერთმანი, არაფერი მიქნია, — უხსნის ცოლს მოულოდნელობისგან გაბრუებული ქმარი.

— დაწყნარდი, ვიცი, რომ არაფერი გიქნია, მე ვუჩქმიტე...

* * *

— ახლა აქ რომ მტრის კრეისერი გამოჩნდეს, რას იზამ? — ეკითხება ოფიცერი ჯარისკაცს სასწავლო მოედანზე.

— ტორპედოს ვესვრი.

— კი, მაგრამ სად გაქვს ტორპედო?

— თქვენ საიდან მოიყვანთ აქ კრეისერს?

## სხარტულა



### მოკლე მიმოხილვა

გიგი დიდ დიღომს სწვეოდა,
უფასოდ სასადილოდა,
ვანოს გაეშვა სპეცნაზი,
ქურდებზე სანადიროდა.
მიშიკო მაღლა ღრუბლებში
ჰიარ-ჰიარით დაჭქროდა,
„ხვანჭკარა“ ედო უბეში,
ჩინეთს ექსპორტად გაჭქონდა.
„სუყველგან ასე ვივლითა,
გვინდა ბაზარი ფართოო,
რომ შენ, ქართველო, ღვინითა
მსოფლიო გამოათროო“...

სურა მელია

## დიალოგი საქართველოს პრეზიდენტთან

# მიხეილ სააკაშვილი — ილია ბარამიძე

**ილია ბარამიძე:**
ბატონო მიშა, ლტოლვილთა
გუნდი მოკითხვას გიგზავნით.
თქვენ ბრძანეთ, აფხაზეთია
თქვენი ცხოვრების მიზანი,

მაგრამ აფხაზეთს, ახლა რომ
დასეირნობენ შორტებით,
ვუახლოვდებით კი არა,
ყოველდღიურად ვშორდებით.

**მიხეილ სააკაშვილი:**
რა გეჩქარება, შე კაცო,
სულ სხვანაირად ვაზრობ მე,
ჯერ შავ სამყაროს მივხედოთ,
კაფე-ბარებს და ბაზრობებს.

ისე მოვრთოთ და მოვაწყოთ
ქვეყანა (ხომ ვთქვი გასულ თვეს),
რომ არც ერთ ლტოლვილს
სოხუმში
დაბრუნებაც კი არ სურდეს.

**ილია ბარამიძე:**
მაგრამ ეს რა კანონია,
განთიადსა და გალს შუა,
ქართველს რომ ჩაგრავს გუშინწინ
ჩამოთესლილი აფსუა.

თან საქართველოს პრეზიდენტს
გარუსებული ბაღაფში
აღიარებას სთავაზობს
და ქართულს კრძალავს ბაღებშიც.

როდემდე უნდა უთმინოთ
იმ „გალსტუკიან“ უტვინოს,
არ შეგიძლიათ, რომ დასცხოთ
და მამის სული უტიროთ?

**მიხეილ სააკაშვილი:**
ხოხ, მაგის მალა თუ არ მაქვს,
ოქრუაშვილი რად მინდა,
ან ვანო მერაბიშვილი,
ტყემალს რომ კრეფავს ატმიდან,

მაგრამ ბუშმა და ევროპამ
გვითხრეს, მიტომ გვყავთ ჯარიო,
ჩვენს ომში უნდა აომოთ
და თქვენსაში არ ჩარიოთ.

**ილია ბარამიძე:**
კი, ამერიკამ გაგვიწვრთნა
ჯარები საერაყონი,
აფხაზეთ-სამაჩაბლო კი
საჯიჯგნი გახდა ყვავ-ყორნის.

ეს ერთ მველ იგავს მაგონებს,
რომელიც დღესაც იგავობს:
დამ დას საცვალი მისცა და
დუმა არ ჩაყო შიგაო.

სამშობლო თუ არ დაიხსნა,
გათელილი და დამწვარი,
არც ჯარი მინდა მასეთი,
არც იმ დას უნდა საცვალი.

**მიხეილ სააკაშვილი:**
მაგისი რა მოგახსენო,
ვცნობ ამერიკას, რუსს არ ვცნობ,
ქვეყანა მიყვარს ჯარით და
არც ქალებს ვწუნობ უსაცვლოდ.

დრო დადგება და მოვიმხრობ
რუსეთსაც, უკრაინასაც,
ბაღაფშს რომ დიდი თავი აქვს,
ციხეში ვუკრავ იმასაც.

**ილია ბარამიძე:**
ღმერთმაც გიშველოთ, პუტინმაც,
იუშჩენკომაც და ბუშმაც.
ბაბუ როგორ გყავთ, რა ხანი
არ გამიგია ბაბუს ხმა.

**მიხეილ სააკაშვილი:**
კრწანისში მიზის, წიგნებს წერს
და არ უჩივის აპეტიტს,
მოხიბლულია შარდენის
ქუჩის ცნობილი კაფეთი.

ეს კაფე რომ არ ვიცოდი,
შეცდომა იყო დიდიო,
თორემ იქიდან უფალთან
ბევრ ვინმეს გავგზავნიდიო.

**ილია ბარამიძე:**
რადგანაც კაფე ახსენეთ,
მითხარით, იცით თუ რამე,
იმ გირგვლიანის მკვლელობას
იმიებენ თუ ხურავენ?

**მიხეილ სააკაშვილი:**
არც ერთი აბჯაროსანი,
მცველი ხელმწიფის კარიბჭის,
თუ ნორმალური კაცია,
საკუთარ კუდს ხომ არ იჭრის.

აბა, ამ საქმეს ვინ გახსნის
ამ უკუღმართ და უკუნ დროს.
მართალი გითხრა, მეც, თვითონ,
მინისტრი არ მსურს უკუდო.

**ილია ბარამიძე:**
არ გსურთ და ღმერთმა გიმრავლოთ
ეგ კუდქიცინა ბიჭები
და სანამ პრეზიდენტი ხართ,
კუდიანებში იჯექით,

ვიდრე ხალხს მოთმინებისა
ფიალა ისევ აევსო
და სანამ დაუმახია, —
არული კუდიანებსო.

## კარიკატურა თემაში



წინ, ნათელი მომავლისაკენ!

## ერთხელ ჭიაურელმა გვიამბო, მიხეილმა

# ორი მოგონება...

**გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სახალხო თეატრი დაარსდა, რომლის რეჟისორიც მსახიობი ქართლოს კასრაძე იყო, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი — დიდი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი.**

**რეპეტიციების დაწყებამდე ერთი საათით ადრე, ბატონი მიხეილი, ბერეტითა და ტროსტით, შემოტუსტუსდებოდა ხოლმე უნივერსიტეტის ბაღში, იქვე სკამ-მერხზე ჩამომსხდარ ბიჭებთან მოვიდოდა, გვერდით მოგვიჯდებოდა და მოხსნიდა თავს მოგონებათა გუდას.**

**საოცრად მჭევრმეტყველი და დიდი არტისტიზმის მქონე კაცი იყო. ვწუხვარ, რომ ბევრი მისი მონაყოლი მაშინ არ ჩავიწერე და დროთა განმავლობაში გადამავიწყდა, მაგრამ ორი მისი ზეპირი ნოველა გონებაში ღრმად ჩამებეჭდა და ვფიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.**

### ...და ჩაცუცქული მარშლები

ომი ახალდამთავრებული იყო. მიხეილ ჭიაურელი მხატვრულ ფილმ „ბერლინის დაცემას“ იღებდა. საზოგადოება სულმოუთქმელად ელოდა ფილმის გამოსვლას. გადაღების მსვლელობით დაინტერესებული იყო კინოს უდიდესი მოყვარული იოსებ სტალინიც.

კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბოლშაკოვი თითქმის ყოველდღე აკითხავდა გადასაღებ პავილიონს და ჭიაურელს ეკითხებოდა, რით შემიძლია დაგეხმაროთო.

ფილმში სტალინის როლს საშუალო სიმაღლის ქართველი მსახიობი მიხეილ გელოვანი ასრულებდა, მარშლების როკოსოვსკისა და კონევის როლებს — ამ მარშლებივით აყლაყუდა რუსი მსახიობები.

ერთხელაც ბოლშაკოვი მორიგი სცენის გადაღების მომენტში მივიდა პავილიონში და რას ხედავს:

ჩართული კინოკამერისკენ ოთახის სიღრმიდან დინჯად მოაბიჯებს მარშლის ფორმაში გამოწყობილი გელოვანი-სტალინი, აქეთ-იქიდან კი მუხლებში ჩახრილი, თითქმის ჩაცუცქული მარშლები „როკოსოვსკი“ და „კონევი“ სასაცილოდ მობაჯბაჯებენ.

— მიშა, რას შვრები, გაგიჟდი? — ეკითხება ბოლშაკოვი ჭიაურელს და ელეთ-მელეთი გადასდის.

— არაფერიც, არ გავგიჟებულვარ. კადრები ეკრანზე წელზემოთ იქნება და სტალინის გვერდით არ შეიძლება, ვინმე დიდ ბელადზე მაღალი იყოს, — უპასუხა ბატონმა მიხეილმა.

### ...და სპარტაკ ბაღაშვილი

საინტერესოდ ჰყვებოდა ბატონი მიხეილი სპარტაკ ბაღაშვილის მსახიობად ქცევის ამბავს.

თურმე, „არსენას“ გადაღების მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია, სცენარიც მზადაა და, წარმოიდგინეთ, არ ჰყავთ არსენას როლის შემსრულებელი.

ერთხელაც, მიხეილი ქუჩაში მიდის და ხედავს ბიჭებში მდგარ ახოვან, საოცრად სიმპათიურ ახალგაზრდა კაცს. შეხედა თუ არა, გულმა რეჩხი უყო — ესეც ჩემი არსენაო. ახალგაზრდასთან მივიდა და ჰკითხა, ვინა ხარო. ბაღაშვილი ვარ და სპარტაკი მქვიანო, უპასუხა ახალგაზრდამ. მე რეჟისორი ჭიაურელი ვარ, ფილმს ვიღებ და შენ უნდა იყო ჩემი არსენაო, უთხრა მიხეილმა. მოგცლია, ვიღაცა ხარ, მომეშვი, თორემ მე შენ გაგაარსენებო, უპასუხა სპარტაკმა და მეგობრებს მიუბრუნდა.

სამსახურში მისულმა მიხეილმა თანამშრომლებს მოუთხრო ბაღაშვილთან შეხვედრის შესახებ. მაგას ვიცნობ, მამამისი ნაძალადევის მუშათა სამოყვარულო თეატრის მსახიობიაო, უთხრა ვიღაცამ.

მეტი რა უნდოდა, მიხეილი იმ საღამოსვე ეწვია მუშათა თეატრის მსახიობის ოჯახს. ბედად, მსახიობიც შინ დახვდა და სპარტაკიც.

ასე და ასე იყო, შენს შვილს არსენას როლი შევთავაზე ფილმში და ვერ დავიყოლიე, უხეშად მომექცაო, აუხსნა მიხეილმა.

უხეშობას ვაჩვენებ მე მაგასო, უთქვამს მამას და სპარტაკს მიბრუნებია — შე ყურუმსაღო, კაცს შენთვის სიკეთე უნდა და შენ ეუხეშები, ხომ არ გინდა, ყურები დაგაგლიჯოო, — დაუტუქსავს შვილი.

ეს მოხეული ვაჟკაცი მამის დატუქსვაზე ისე მოიკუნტა, მუშტისხელა გახდაო, იგონებდა ბატონი მიხეილი.

მამის ბრძანებით, მეორე დღესვე გამოცხადებულა სპარტაკი სტუდიაში და მორჩილად შეუდგამს ქედი მსახიობის მძიმე უღლისათვის.

ფილმი მართლაც კარგი გამოვიდა, სტალინსაც ძალიან მოსწონებია და აი, ერთხელაც სტალინი გაგრის აგარაკზე ისვენებდა და ბატონი მიხეილი ჰყავდა სტუმრად.

დიდი ბელადი არსენას როლის შემსრულებლით დაინტერესებულა და მიხეილისთვის უთქვამს, შემახვედრე ეგ ბაღაშვილიო. შეწუხებულა ჭიაურელი, რადგან სპარტაკს, მსახიობური აღიარების მიუხედავად, ადამიანებთან ურთიერთობებში უხეში ტონი ვერ მოეშალა. შეშინდა, რაიმე არ მიჰქაროს ბელადთანო და თავდასაზღვევად უთქვამს, ცოტა უცნაური კაცია და შეიძლება, არ მოგეწონოსო.

კაცო, შენ მოიყვანე და ვნახავ მის უცნაურობასო, უბრძანებია ბელადს.

თბილისში ჩამოსული მიხეილი ბაღაშვილს შეხვედრია, სტალინის სურვილი გაუმხელია, შეხვედრაზე დაუყოლიებია და გაუფრთხილებია, ბელადს შენებურად არ გაუხურო, ბევრი არ ილაპარაკო, მოუსმინე და რაც არ უნდა თქვას, ყველაფერზე მოკლედ დაეთანხმეო.

სპარტაკი კი დაიყოლია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამხელა მსახიობს ერთი გამოსასვლელი კოსტიუმიც არ ჰქონია. ომი ახალი დამთავრებული იყო და ხალხს უჭირდა. რომელიღაც თეატრის გარდეროზში უთხოვა მიხეილმა კოსტიუმი და აი, სტალინი, მიხეილი და ინსტრუქტირებული სპარტაკი გაგრის აგარაკზე მაგიდას უსხედან.

— სპარტაკ, შენ დიდი მსახიობი ხარ, — ეუბნება სპარტაკს სტალინი.

— რახან თქვენ ბრძანებთ პატივცემულო, ამხანაგო, ბატონო სტალინ, ვარ, — პასუხობს სპარტაკი.

— შენ, ალბათ, ჰამლეტსაც შესანიშნავად ითამაშებდი, — ისევ მიმართავს სტალინი.

— თუ თქვენ ასე ფიქრობთ, ამხანაგო, პატივცემულო, ბატონო სტალინ, ვითამაშებ, — პასუხს არ აყოვნებს ბაღაშვილი.

— შენზე ამბობენ, ცოტა შერეკილიაო, მართალია? — ეკითხება ბელადი.

— რადგან თქვენ ასე გგონიათ, პატივცემულო, ბატონო, ამხანაგო სტალინ, მართალია, — პასუხობს სპარტაკი.

— სპარტაკ, რად გინდა ეს პატივცემულო, ბატონო და ასე შემდეგ. რომელი შენგან პატივცემული ან რომელი შენი ბატონი მე ვარ. მომმართე უბრალოდ, — ამხანაგო სტალინ!

— რა ჩემი ამხანაგი ხარ შენ! — დაიგრიალა სპარტაკმა.

ასე ახარხარებული სტალინი ადრე არასდროს მინახავსო, დაასრულა მოგონება ბატონმა მიხეილმა.

ილია ბარამიძე

⊙ კალათბურთი

# ახალი ჩემპიონის მოლოდინში

**წლეულს საქართველოს ახალი საკალათბურთო ჩემპიონი ეყოლება, ვინაიდან უწინ არც რუსთავის „აზოტს“ და არც „ავიამშენს“ ოქროს მედლები ერთხელაც არ მოუპოვებიათ. არადა, როგორც გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, ქვემოქართლელებს რამდენჯერმე აქვთ ფინალური სერია წაგებული უკვე დაშლილ „ვითასთან“ და „ბასკოსთან“, ავიატორები კი შარშან ასევე დრამატულ დასკვნით ეტაპზე დამარცხდნენ აწ უკვე ქვეყნის ყოფილ ჩემპიონთან სტუ-სთან.**

**„ავიამშენი“ — სტუ 96:71 (3:2)**

სპონსორის გარეშე დარჩენილ შეკრებაგაუვლელ პოლიტექნიკოსებს გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად ძალები აღარ ეყოთ, გუშინ ლევან მოსეშვილის გუნდის ლიდერების ხოშტარიას, ბუბა ბერიშვილის, მინაშვილის, ტუღუშისა და გამოჯანმრთელებული ნიკოლაძის შეჩერება მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, ხოლო საკუთარ ფარქვეშ დიდებულად გამოიყურებოდა პლასიდე როდუმტა. ისიც უნდა ითქვას, რომ სტუს „ყოჩებს“ კეიდიასა და ხეცურიანს მხოლოდ პირველ ნახევარში წაუვიდათ ტყორცნები, რაც წარმატებისათვის, ადვილად მისახვედრია, საკმარისი არ აღმოჩნდა.



**„აზოტი“ — თსუ „ნიკორა“ 66:62 (3:1)**

მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, რომ სამ პერიოდში შექმნილი სოლიდური მარაგი (57:41) კინაღამ წყალს გაატანეს, თუმცა დიდი გაჭირვებით მაინც მიაღწიეს საწადელს. ყველაზე შედეგიანები: ბაბიაშვილი (20 ქულა), გოგოხერიშვილი (12 ქულა) — „აზოტი“; ლეჟავა (16 ქულა), ბეჟანიშვილი (12 ქულა) — თსუ „ნიკორა“. დავძენთ, რომ სტუმრებს ფანჩულიძე აკლდათ, მოთამაშეებს კი დამატებით პრობლემებს სველი (!) პარკეტი უქმნიდათ.

ფინალური სერია სამ მოგებამდე ვერის ბაღში 9 მაისს დაიწყება და დასწრება ფასიანი იქნება.

⊙ თაოგა

# ნორჩი მოთხილამურე, რომელიც მეხანძრეობაზე ოცნებობდა

**ორი წლის წინათ სპორტის ზამთრის სახეობების პრეზიდენტ გოგი თოფაძეს ვეწვიე ინტერვიუს ასაღებად. კარგ ხასიათზე დამხვდა. სათხილამურო სპორტში ვუნდერკინდი გვეზრდებაო, მითხრა. ჯაბა გელაშვილი ჯერ ათი წლისაა, ჩეხეთის ღია პირველობაზე კი ბევრად უფროსებს შეეჯიბრა და ორი მესამე ადგილი დაიკავაო, — ბოჟიდარიდან გამოგზავნილი დეპეშა მიჩვენა.**



მას შემდეგ პრესის ფურცლებზე არაერთხელ გაიელვა ინფორმაციებმა ჯაბას წარმატებებზე, ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა.

ახლა „არდადეგებზე“ მყოფი ჭაბუკი მოთხილამურე, „მომავლის“ სკოლაში (მეშვიდეკლასელია) მასწავლებლების დახმარებით დანაკარგს რომ ინაზღაურებს, რედაქციაშიც გვესტუმრა.

ბორჯომში დაიბადა 1993 წლის 7 მარტს. ბაბუა ჰყავს (დედის მამა) ბაკურიანელი, სახელოვანი მოციგავე — საქართველოს ორგზის ჩემპიონი და საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ჟორჟ გავა, წლების განმავლობაში ზამთრის სახეობების უმაღლესი დაოსტატების სასპორტო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ხუთი წლისა პირველად ბაბუას დაუყენებია თხილამურებზე. მოსწონებია ფერდობზე სრიალი და გულმოდგინე ვარჯიში დაუწყია. მალე ბაკურიანში თანატოლთა ტურნირი მოუგია.

— სამი წელიწადი ბაბუა მამეცადინებდა, — მითხრა ჯაბამ, — რვა წლისა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გერა აბრამიშვილმა ავსტრიაში წამიყვანა სავარჯიშოდ. 2001 წლიდან გუდაურსა და ბაკურიანში გამართულ შეჯიბრებებში ვმონაწილეობ. დღემდე 29-ჯერ დავიკავე პირველი ადგილი. განსაკუთრებით 2003 წლის საქართველოს პირველობა დამამახსოვრდა — მაშინ გიგანტურ სლალომში საუკეთესო დრო ვაჩვენე.

**— ზაფხულობით სად ვარჯიშობ?**

— როგორც გითხარით, 2001 წლიდან ავსტრიაში დავდივარ. ჩვენს ფედერაციას ინსბრუკთან ახლოს სოფელ რიდში ბინა აქვს დაქირავებული. იქ ვცხოვრობ ნაკრების წევრებთან — სოფიკო ახმეტელთან, იასონ აბრამაშვილთან, კოტე ვახტანგიშვილთან და ვახტანგ თედიაშვილთან ერთად. გელა მასწავლებელს სასრიალოდ ჰინტერტუქსში დავყავართ. ზღვის დონიდან 3250 მეტრზე მდებარეობს და ზამთარ-ზაფხულ თოვლი დევს. ცნობილი სპორტსმენებიც იქ ვარჯიშობენ ზაფხულობით.

**— ჩეხეთის ტურნირზე როგორ მოხვდი?**

— 2004 წლის შეკრებაზე მამაც მახლდა. მისი მეგობარი დავით მამალაძე რამდენიმე წელიწადია, ჩეხეთში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. მან მიგვიპატიჟა. ძია დათოს ჩემი თანატოლი ბიჭი ჰყავს ნიკა. ამერიკულ სკოლაში სწავლობს, მაგრამ ჩეხური ენა კარგად იცის და მეც მასწავლა. ავსტრიელებთან გერმანულად ვლაპარაკობ.

2004 წლის დეკემბერში ბოჟიდარმა წინასაახალწლო ტურნირს უმასპინძლა. 150 მოთხილამურე მონაწილეობდა. ორი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ეს იყო საერთაშორისო შეჯიბრებაზე მიღებული პირველი ჯილდო. მას შემდეგ ჩეხეთის ტურნირებს გავუშინაურდი.

შარშან იანვარსა და მარტში ორ-ორი „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ მხვდა, ხოლო დეკემბრის მიწურულს 1993-1994 წლებში დაბადებულთა შორის სლალომში ყველას ვაჯობე, მათ შორის გიგანტსა და სლალომში ქვეყნის პირველ ნომრებს — ადამ კოცმანსა და დანიელ რიხტერს, რომლებიც მანამდე მისწრებდნენ...



ჯაბა გელაშვილისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა წლევანდელი სეზონი. ჩეხეთში მან 6 პირველი, 4 მეორე და ამდენივე მესამე ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ თანატოლთა შორის ჩეხეთის პირველობის ფინალურ ეტაპზე 2 გიგანტსა და 1 სლალომში 3 ოქროს მედალი დაიმსახურა.

ასევე, წარმატებით იასპარეზა მან იტალიაში ბავშვთა ოლიმპიადაზე, რომელიც „ტოპოლინოს“ სახელითაა ცნობილი. 47 ქვეყნის 160 სპორტსმენს შორის გიგანტურ სლალომში IV ადგილი ერგო — ბრინჯაოს მედალოსან შვეიცარიელს 0,12 წამით ჩამორჩა (ჯაბამ შარშან პინცოლოში მსგავს შეჯიბრებაზე სლალომსა და გიგანტურ სლალომში, შესაბამისად, IX-X ადგილები დაიკავა).

— ბავშვთა ოლიმპიადაზე გაისადაც გამოვალ და აუცილებლად მედალს ავიღებ, — მითხრა ჯაბამ.

**— კერპი თუ გყავს?**

— ამერიკელი ბოდი მილერი. ცოტა უცნაური კაცია, მაგრამ მაგარი მოთხილამურეა.

**— სპორტის კიდევ რომელი სახეობები გიყვარს?**

— ფეხბურთი. როცა თბილისში ვარ, კუს ტბაზე ავდივარ მეგობრებთან ერთად და იქ ვთამაშობ.

**— მაშინ საქომაგო გუნდებიც გეყოლება...**

— დიახ, „მანჩესტერი“ და „ბარსელონა“. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგას კატალონიელები მოიგებენ.

**— მსოფლიო ჩემპიონატს?**

— მე ბრაზილიას ვგულშემატკივრობ, მაგრამ, მგონია, ჩემპიონი გერმანია იქნება.

**— მომავალ პროფესიაზე თუ გიფიქრია?**

— ჯერჯერობით თხილამურებით ვარ გატაცებული, დიდ სპორტში მინდა მივაღწიო წარმატებებს. ბავშვობაში მეხანძრეობაზე ვოცნებობდი, რადგან წითელი მანქანები მომწონდა. ისე, რომ გავიზრდები, ალბათ, იურისტი გავხდები.

**— წიგნების კითხვა თუ გიყვარს?**

— როგორ არა. სკოლაში კარგად ვსწავლობ. ძალიან მიყვარს მარკ ტვენის თხზულებები.

**— თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

— ან კომპიუტერით, ან საესტრადო მუსიკას ვუსმენ.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— მაისის ბოლოს გერა მასწავლებელთან და ნაკრების წევრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე ისევ ავსტრიაში გავემგზავრები. დანარჩენი შემოდგომით გადაწყდება.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: სტარტზე გასვლის წინ; ჯაბას ჯილდოები.**

⊙ ორბიტაზეა

## ინგლისელების ახალი მწვრთნელი



**ვინაიდან ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ახლანდელი მთავარი მწვრთნელი, შვედი სვენ-გორან ერიქსონი გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე სტოვებს პოსტს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ თანამდებობაზე დანიშნა 45 წლის სტივ მაკლარენი, ბოლო დრომდე „მიდლსბროსთან“ რომ მუშაობდა.**

ინგლისის საფეხბურთო შტაბი ბოლო თვეებში აქტიურად ეძებდა მწვრთნელის კანდიდატურას. პრესა და ანალიტიკოსები მოითხოვდნენ, რომ ის აუცილებლად ინგლისელი უნდა ყოფილიყო. თუმცა იყო ბრაზილიელი ლუიზ ფელიპე სკოლარის კანდიდატურაც, ახლა პორტუგალიის ნაკრებს რომ ავარჯიშებს. მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. ასახელებდნენ აგრეთვე „ბოლტონის“ მწვრთნელის სემ ალარდაისის კანდიდატურასაც, მაგრამ ის პესიმისტურად მიიჩნევდა თავის შანსებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მაკლარენი ძალზე ახლოს იყო ერიქსონთან და მისი არყოფნის შემთხვევაში ხშირად ასრულებდა ნაკრებთან მის მოვალეობას.

## საუკეთესო დოპინგი — ლუდი

**უცნაური ამბები ხდება ბოლო ხანებში რუმინულ ფეხბურთში. რუმინეთის კლუბების წარმატებული გამოსვლა უეფას თასზე, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს ფეხბურთელთა მომზადების ახალ მეთოდიკასა და თამაშის დროს მათ ორიგინალურ სტიმულირებასთან.**

რუმინეთის ერთ-ერთი ოლქის ჩემპიონატის ბოლო ტურში კლუბების „უნივერსიტატეა“ (კონსტანტინ ბრენკუში) და „შტინიცას“ (ტურბურია) მატჩზე მსაჯმა სტუმრების გუნდის ერთ-ერთი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა თამაშის დროს ლუდის სმის გამო.

41-ე წუთისთვის კონსტანტინ ხანგანუ ისე დაიღალა, რომ სათადარიგოთა სკამთან მიირბინა და წყურვილი ერთი ბოთლი ლუდით მოიკლა. მინდორზე დაბრუნებულს კი მსაჯმა წითელი ბარათი აჩვენა.

თავად ფეხბურთელმა თავი იმით იმართლა, რომ თითქოს ლუდის და წყლის ბოთლები ერთმანეთში აერია. ამ ინციდენტის შემდეგ პროტესტის ნიშნად მთელმა გუნდმა დატოვა თამაში. როგორც ამბობენ, გასახდელიდან ისინი შინ კი არა, ლუდის ბარისაკენ გაეშურნენ.

## ეჭვიანი ტრავმამ დაალალატა

**თანამედროვე ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა უეინ რუნიმ ბოლო ხანებში დაალალატა თავისი გულშემატკივრები.**

ამ დღეებში კინაღამ შემოსწყრა თავის საცოლეს — კოლინას, რომლის საიტზე დილაადრიან ამოიკითხა მამაკაცის სახელი Sam. მართალია, ქალიშვილმა აუხსნა, რომ ეს მამაკაცის სახელი კი არა, შეტყობინების დროა — 5 am — ხუთი საათი. რუნიმ თითქოს დაუჯერა სატრფოს ახსნა-განმარტებებს, მაგრამ მაინც ეჭვობს, თუ ვინ მისწერა მის დაქალს დილაუთენია?

თუმცა რუნის ახლა უფრო მეტი საფიქრალი აქვს — შაბათს, „ჩელსისთან“ მიღებული სერიოზული ტრავმის გამო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი მოხვდება თუ არა მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიაში.



⊙ მუნდიალი — 2006

# დავუჯეროთ შვეიცარიელთა პროგნოზს?

**ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ პროგნოზებს რა გამოლევს? ისინი ხომ ზოგჯერ თითქოსდა მეცნიერულ ფორმასაც ღებულობენ. წინასწარმეტყველების თავისებური სქემა შეადგინეს შვეიცარიული ბანკის VBS ეკონომისტებმაც.**

მათ თავიანთ პროგნოზებში გაითვალისწინეს ისეთი პარამეტრები, როგორიცაა წინა მსოფლიო პირველობებზე ნაკრებთა შედეგები, ნაკრებში „ვარსკვლავთა“ რაოდენობა, ევროპის პირველობაზე მოპოვებული წარმატებები და ბევრი სხვა.

მიღებული შედეგების მიხედვით გამოვიდა, რომ ნახევარფინალში იტალია დაამარცხებს არგენტინას, ხოლო ბრაზილია — ჰოლანდიას. ფინალში კი „სკუადრა აძურა“ ფარ-ხმალს დააყრევინებს პენტაკამპიონებს, თანაც 57-პროცენტიანი ალბათობით.




უკრაინა ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებს და მერვედფინალში საფრანგეთთან დამარცხდება, რომელიც, თავის მხრივ, ვერაფერს დააკლებს იტალიას. მეოთხედფინალიდან გამოვარდებიან ჩემპიონატის მასპინძლები — გერმანელებიც, რომლებიც, შვედებზე გამარჯვების შემდეგ, არგენტინას დაუპირისპირდებიან.

შვეიცარიელი ეკონომისტები თავიანთ თანამემამულეთა ნაკრებს დამარცხებას უწინასწარმეტყველებენ პლეი-ოფის პირველივე მატჩში — ესპანეთთან.

თუმცა პროგნოზის ავტორებს ისიც არ ავიწყდებათ, რომ ბურთი მრგვალია და ფეხბურთში ბევრი რამ ხდება, წინასწარ რომ ვერ განჭვრეტ. ისევე, როგორც არავინ მოელოდა 2004 წლის ევროპის პირველობაზე საბერძნეთის ნაკრების გამარჯვებას.

**საყურადღებოა!**

# ტელევიზორი ბავშვებს მადას უკარგავს

## ამერიკელმა სწავლულებმა გამოარკვიეს, რომ ცისფერი ეკრანი გავლენას ახდენს ნორჩ თაობაზე



**სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სპეციალისტები 800 მესამეკლასელს აკვირდებოდნენ. თურმე, საშუალოდ, ყოველი ბავშვი კვირაში 22 საათი იყო ტელეეკრანს „ჩამოკიდებული", ამ 22-დან კი 10 საათი სათამაშო მინადგარს უჩხიკინებდა; და რაკი ვიდეოთამაშებსა და ტელეპროგრამებში რეკლამას სდებენ (მაგალითად ტკბილეულისა, გაზირულებისა, სათამაშოებისაც), ნორჩ მომხმარებელთა მოთხოვნები ნაწვიმარზე სოკოებივით იზრდებიან...**

მეორე ჭირი, რომელიც ტელევიზიას მოაქვს, პენსილვანიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გამორჩხრიკეს — ეკრანი პაწიებს მადას უქვეითებს.

სამი-ხუთი წლის სკოლამდელი თუ ტელეეკრანისგან თვალმოუშორებლად სადილობს, გაცილებით ნაკლებ ულუფას გეახლება, ვიდრე ასეთივე ბალღი, ოღონდ მარტო ჭამით დაკავებული, — ამტკიცებენ მკვლევარები. ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ ტელევიზია ნორჩის ბუნებრივ ინსტინქტებს ახშობს.

### სპეციალისტის აზრი

პროფესორი ანა პოტანინა:

— ცნობილია, რომ ჭამის დროს არ უნდა ლაპარაკობდე და არც სხვა რამეზე გადაგქონდეს ყურადღება — საჭმელს ასე უკეთ ითვისებ. კანფეტები, ჩიფსები და პოპკორნები წამიერად შეიძლება ბავშვის კუჭში „ჩაფრინდნენ", მეტადრე აგრესიული მულტიკუნების ცქერისას. „ჯანსაღი" საკვები კი — ფაფები, სუფები — ეგებ აღარც იყოს ისეთი მიმზიდველი, საყვარელი გმირები ხომ უფრო ხშირად რაიმე ნუგბარს მიირთმევენ.

ტელევიზორი ცხოვრების ფონი არ უნდა გახდეს, განსაკუთრებით ბავშვთათვის. ისინი ხომ ერთობ განმცდელნი არიან. ტვინს საჭმლისა და ტელეეკრანისგან მიღებული ინფორმაციის ერთდროულად გადამუშავება არ ძალუძს. აქედან — „ჩავარდნები" მადასა თუ საჭმლის მონელებაში.

KП

**კარაბადინი**

**„ავადმყოფობა რაღაცაა, განსაკუთრებული და თავისთავადი. ის წარმოდგება სიცოცხლის ჩვეულებრივ მოვლენებად, ოღონდ ორგანიზმისთვის არახელსაყრელ პირობებში", — ასე ამბობდა გამოჩენილი რუსი ექიმი სერგეი ბოტკინი.**

საშუალებად გამოდგება, განსაკუთრებით მიუნდობელთათვის. კაცს როცა ესმის, რომ სნეულება ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის ბუნებრივი და კანონზომიერია, ის პანიკას არ მიეცემა ყოველი დამცხიკვებისას. ფიქიკური გაწონასწორებულობა კი, როგორც ცნობილია, სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

# ჯანსაღი ადამიანები არ არსებობენ

— თავისი სიტყვები შესანიშნავმა სწავლულმა ექსპერიმენტულად კიდევაც დაამტკიცა, — ირწმუნება პროფესორი ვალერი რევო. — ამით მან, ჯერ ერთი, გაფანტა თითქმის საყოველადგილო მცდარობა, თითქოს ადამიანის იდეალური მდგომარეობა დაავადებათა სრული არქონა იყოს. აბსოლუტური ჯანმრთელობისკენ სწრაფვა ძველი ალქიმიკოსების მხრიდან „სიცოცხლის ელექსირის" ძიებებს ჰგავს. მეორეც, ბოტკინის ნათქვამი თავისებურ ფსიქოთერაპიულ

რევომ და მისმა კოლეგებმა ყველა ასაკობრივი ჯგუფის 100 ათასამდე ავადმყოფი გამოიკვლიეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 50 წლისათვის ყოველ ადამიანს 20-30 ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადება სჭირს, რომელთა „თანხლებითაც" დიდხანს და ბედნიერად შეიძლება ცხოვრება.

ეს კი, როგორი პარადოქსულიც უნდა ჩანდეს, ნორმა ყოფილა.

KП

**„საქპატენტი" აგრძელებს საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციას.**

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, „საქპატენტი" აქვეყნებს ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „მანავი" რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი განაცხადის მასალებს, კერძოდ, შესაბამისი სპეციფიკური ზონის რუკას და გარკვეულ მახასიათებლებს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სპეციფიკური ზონის უფრო მსხვილმასშტაბიან რუკასა და განაცხადში არსებული სხვა მონაცემების დეტალურად გაცნობის მიზნით მიმართონ „საქპატენტს" ან გამოიყენონ „საქპატენტის" ინტერნეტ-გვერდზე (WWW.SAKPATENTI.ORG.GE) განაცხადის მასალებთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაცია.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი", საკონტაქტო ტელ.: 25-27-95; 26-17-61.



# მანავი

ღვინო „მანავის" მიკროზონა მდებარეობს გარე კახეთში, საგარეჯოს ადმინისტრაციულ რაიონში, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ და მის მიმდებარე ფერდობების მთისწინებზე ჩრდილო განედის — $41^{\circ}44'$ და აღმოსავლეთის გრძედის $45^{\circ}27'$ და მათ მახლობლად მდებარე კოორდინატებზე. სამრეწველო ვენახები ძირითადად განლაგებულია ზღვის დონიდან 450-800 მეტრ სიმაღლის საზღვრებში. ივრის ზეგანის ამ ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ინდივიდუალობას განსაზღვრავს მისი ერთობლივი შემაღლებულ-ვაკისებრი, დატალღული, სუსტად დანაწევრებული რელიეფი და კონტინენტური კლიმატიდან ზღვის კლიმატზე გარდამავალ ოლქში მდებარეობა.

ღვინო „მანავის" მიკროზონა მოიცავს შემდეგ სოფლებს: თოხლიაური, მანავი, გურდიანი, გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი, დიდი ჩაილური, პატარა ჩაილური, კაკაბეთი და ვერხვიანი.

„მანავი" — ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის თეთრი მშრალი ღვინოა.

ღვინო „მანავი" მზადდება კახური მწვანეს ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია 15 პროცენტამდე რქაწითელის ჯიშის ყურძნის გამოყენება.

ღვინო „მანავი" ხასიათდება ღია ჩალისფერიდან ჩალისფრამდე, მომწვანო ელფერით, გემოზე ნაზი, ჰარმონიული, დახვეწილი, ხალისიანი. ხილის ტონებით, ჯიშური არომატით, განვითარებული ბუკეტით.

◎ პოდიუმის საუკეთესო ხუთეული

# მანეკენი — სავაჭრო მარკა

**ერთხელ ცნობილმა დიზაინერმა ფილიპ როტმა განაცხადა, რომ პოპულარული მანეკენი იგივეა, რაც სავაჭრო მარკაო — დიზაინერთა კოლექციების წარმატებას ხომ, ძირითადად, მანეკენთა პოპულარობა განაპირობებს.**

ყოველწლიურად ჟურნალი **„ფორბსი“** მსოფლიოს ყველაზე პოპულარული მოდელების ხუთეულს ავლენს, მათი შერჩევა მკაცრად მიმდინარეობს. „ფორბსი“ მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი, გამუდმებით მასმედიის ყურადღების ქვეშ მყოფი და სხვა ვარსკვლავური თვისებებით დაჯილდოებული განეკენებით ინტერესდება.

მსოფლიოს საუკეთესო მოდელთა ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: **ჟიზელ ბანდჩენი** — მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოდელი, წარმოშობით ბრაზილიელია, თანამშრომლობს წამყვან დიზაინერებთან — დოლჩე და გაბანას მოდების სახლთან და თეთრეულის მწარმოებელ კომპანია „ვიქტორია სეკრეტთან“. იგი ძირითადად პარიზის, იტალიისა და ამერიკის პოდიუმებზე იწონებს თავს. პოპულარობა მან პირადი ცხოვრებითაც მოიპოვა, კერძოდ, ხმაურიანი რომანით ლეონარდო დიკაპრიოსთან — გასაკვირი არც არის, რომ სწორედ ჟიზელ ბანდჩენი უდგას სათავეში პოპულარულ მანეკენთა სიას.

**ჰეიდი კლუმი** — სამოდელო სახლის „ვიქტორია სეკრეტის“ სახეა. მას ამ კომპანიასთან ხანგრძლივი, მაღალანაზღაურებადი თანამშრომლობა აკავშირებს. დიზაინერები ცდილობენ, რომ ჰეიდი თავიანთი საცვლების კოლექციის ჩვენებისას უდიდესი ჰონორარით დააინტერესონ, რადგან მისი სხეული ქალის თეთრეულს ყველაზე ეფექტურად და ლამაზად წარმოაჩენს.

საზოგადოების ყურადღება ჰეიდიმ კინოვარსკვლავ ჯორჯ კლუნითან რომანით მიიქცია.

**კრისტი ტარილნგტონი** — მოდელების ახალგაზრდა თაობას არ მიეკუთვნება, იგი ნაომი კემპბელისა და სინდი კროუფორდის თანატოლია, თუმცა დღესაც აქტუალური. იგი კინოშიც მოღვაწეობს, ხოლო ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციისას სურვილი გაუჩნდა იქიდან რეპორტაჟი გაეკეთებინა, მაგრამ პოდიუმის ვარსკვლავს ამის ნება არ მისცეს. ამჟამად კრისტი ტარილნგტონი ამერიკულ გაზეთ **„თუდეის“** სპეციალური კორესპონდენტია.

**კაროლინა მერფი** — 2003 წელი მაღალი მოდის ბიზნესში კაროლინა მერფის ტრიუმფით აღინიშნა. მას მეორე ლიზ ჰარლსაც უწოდებენ, სწორედ მან შეცვალა ლიზის სახე კომპანია „ესტე ლაუდერში“. კარიერა კაროლინამ ოკეანის სანაპიროზე მდებარე რესტორნის ოფიციანტობით დაიწყო. მაღალი მოდის ბიზნესში კი ამჟამად მისი დღიური ანაზღაურება ასი ათას დოლარამდე მერყეობს.

**მილა იოვოვიჩი** — წლების განმავლობაში **„ლორეალის“** სახე იყო, შემდეგ კინოვარსკვლავი გახდა და ჰოლივუდში ბრწყინვალე მსახიობის სახელიც დაიმკვიდრა. ყველასთვის ცნობილმა ფილმმა **„მეხუთე ელემენტი“** მას კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მიანიჭა. კინოს პარალელურად მილა იოვოვიჩი აქტიურ სამოდელო ცხოვრებასაც ეწევა. განსაკუთრებით ხშირად ძვირფას კოსმეტიკას და სათვალეებს უკეთებს რეკლამას.

**ლელა დონაძე**







**სურათებზე: ჟიზელ ბანდჩენი, ჰეიდი კლუმი, კრისტი ტარილნგტონი, კაროლინა მერფი და მილა იოვოვიჩი.**

# სკანვორდი



1. ნიკალა; 2. ინგლისური პისტოლეტი; 3. თანხმობა დიპლომატ.; 4. კლავიშთა ერთობლიობა; 5. ხარებთან მებრძოლი; 6. ნადირობის წესების დამრღვევი; 7. ციტრუსი; 8. ... ბებია, ილიკო და ილარიონი; 9. ფესვის ამოღების ნიშანი; 10. საცალფეხო გზა; 11. ასტრონომიის მუზა; 12. ქალების ცეკვა; 13. ციხის საწოლი; 14. ანანიაშვილი; 15. გემის სარკმელი; 16. ჩათვლის წიგნაკი; 17. ევროპის სახელმწიფო; 18. ოინი; 19. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 20. თევზის სახეობა; 21. მინდორი; 22. ყვავილი; 23. სამეცნიერო ხარისხი; 24. შემწვარი კარტოფილი; 25. სამხედრო საზღვაო წოდება; 26. მათემატიკის ნაწილი; 27. ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანი; 28. სატირული ხასიათის მიბაძვა; 29. დედამიწის უკიდურესი ჩრდილოეთი; 30. საყოველთაო ლოცვა; 31. ხავი; 32. უნგრული ავტობუსი; 33. პიპინიას შვილი; 34. ძრავის ზეთი; 35. ყაჩაღების ჯგუფი 36. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვის ანთება; 37. ჩვენი ხეობა; 38. ... გიორგაძე; 39. იაპონელი მეომარი; 40. სპაგეტი; 41. აგრონომის სპეციალისტი; 42. მტაცებელი ფრინველი; 43. მედიცინის დარგი; 44. გველეშაპი; 45. თხის შვილი; 46. რისამე შესავალი; 47. ძე, ასული; 48. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 49. ლუდი რუს.; 50. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 51. ჯოლი; 52. სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული; 53. ცინიკური ხუმრობა; 54. ნაცვალსახელი; 55. ლიმფური ჯირკვლების გადიდება; 56. თანამგზავრი ; 57. კლავიშებიანი საკრავი; 58. მმართველობის ფორმა; 59. მახრჩობელა გველი; 60. ცხენოსანი ჯარი; 61. ციხის ოთახი; 62. კეთილხმოვანების დარღვევა; 63. პირის ლორწოვანი გარსის ანთება; 64. იაპონური თეატრი; 65. ავეჯი; 66. აცეტილსალიცილის მჟავა; 67. ჩანჩქერი; 68. ქულა ძიუდოში; 69. ციებ-ცხელება; 70. ზეთი; 71. უვიცი; 72. ავადმყოფური გადახრა.

შეადგინა
**ბექა სებისკვერაძე**

29 აპრილს გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. ბრილიანტი; 2. ინდირა; 3. ანიმაცია; 4. არაჟანი; 5. ბორჯომი; 6. ბურატინო; 7. ლიტანია; 8. კალიბრი; 9. ბანანი; 10. ორატორია; 11. ორბიტი; 12. ტირანი; 13. მატადორი; 14. ბაბილი; 15. ინა; 16. ტალიანი; 17. ნიაგარა; 18. იპოდრომი; 19. ტიანშანი; 20. ფელინი; 21. ია; 22. ფარია; 23. ტატამი; 24. იაპონია; 25. მინიმუმი; 26. მანაგუა; 27. აორტა; 28. კანტატა; 29. ბრაუნინგი; 30. აგარა; 31. იაგანი; 32. ინდიანაპოლისი; 33. ინაუგურაცია; 34. მიმი; 35. კატალონია; 36. არამისი; 37. უონა; 38. ცაიტნოტი; 39. პიპინია; 40. სავი; 41. ბაიდარა; 42. მაკულატურა; 43. პაროდია; 44. ბორი; 45. უინსტონ; 46. მულტიმილიონერი; 47. ალმასი; 48. სინატრა; 49. მაგნიტოფონი; 50. ანემია; 51. ნამი; 52. მენიუ; 53. იაფონი; 54. კომბოსტო; 55. ვაიკულე; 56. მარადონა; 57. ეტალონი; 58. ფრაუ; 59. მეტალურგია; 60. ლობიანი; 61. აგვისტო; 62. კალია; 63. ლისაბონი; 64. რამპა; 65. მორ; 66. უთო; 67. აკრობატი; 68. დრო; 69. დალმატინელი; 70. ზირაქი; 71. დეკანტი; 72. კაბარე; 73. მარათონი; 74. ნაპოლეონ; 75. მარსელიეზა.

სურათი 1 — ჯულია რობერტსი;
სურათი 2 — შარონ სთოუნი.

# განცხადება

**სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ დირექტორი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2006 წლის 24 მაისს, 12 საათზე, ქ. ბორჯომში, თორის ქ. №39.**

**დღის წესრიგი:**

1. 2005 წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა;
3. აუდიტორის არჩევა.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 15 აპრილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2006 წლის 15 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ ამონაწერს აქციონერთა რეესტრიდან და საკუთარ პირადობის მოწმობას.

დღის წესრიგის საკითხის ირგვლივ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორატის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას უწევენ დღის წესრიგის საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ რეგისტრატორთან შპს „რეგისტრატორთან“, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ა

**ლევან ლომსაძე,**
**სს „ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის“ დირექტორი**

ⓞ იჩქარეთ! იჩქარეთ!

# ვისაც ჯიბის ფული გინდათ!..

## დ ა გ ვ ი რ ე კ ე თ ,   შ ე გ ვ ე ხ მ ი ა ნ ე თ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გავრცელების საქმეში სიახლეა: საცალო ქსელში ამ გაზეთის უკეთ გავრცელების მიზნით რედაქციამ გადაწყვიტა არნახულ დათმობაზე წავიდეს და ყოველ გაყიდულ ეგზემპლარზე 20 თეთრი გამავრცელებელს მისცეს!

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველი ეგზემპლარი 50 თეთრი ღირს. ვინც გაყიდის 10 გაზეთს, 2 ლარი მისია, ვინც 20 ეგზემპლარს გაასაღებს – 4 ლარი, 50 ცალი გაზეთის გამყიდველი უკვე 10 ლარის მფლობელი გახდება!..



– მაპატიე, ლამაზო, უკვე ვიყიდე სხვა „კრიკუნისგან“

ყოველ სამუშაო დღეს 10 ლარი! – ეს უკვე სოლიდური თანხაა, რომელიც შეიძლება თანდათან მოაგროვო და „მცირე ბიზნესიც“ დაიწყო!

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს – უფროსკლასელებს, სტუდენტებს, დიპლომიან და უდიპლომო უმუშევრებს, რომელთაც თბილისის ხალხმრავალ ადგილებში კეთილშობილი, უპრეტენზიო, არცთუ ისე შრომატევადი საქმის გაძღოლა შეგიძლიათ! რაც უფრო მოინდომებთ, მეტ ფხასა და საზოგადოებასთან ხალისიანი ურთიერთობის უნარს გამოიჩენთ, მით მეტ ფულს იშოვნით.

გაზეთის გამავრცელებლებს, კეთილი მისიის შემსრულებლებს, „მყვირალებიც“ შეიძლება გიწოდოთ, რუსულად „კრიკუნებს“ რომ ეძახიან!

არ დაგავიწყდეთ, მცირედიდან იქმნება დიდი, მთავარია არ დაიზაროთ, ამოქრავდეთ, ხალხში გახვიდეთ, ალალი ლუკმა ჭამოთ!

ოპერატიულად დაგვიკავშირდით!

25 აპრილიდან გელოდებით რედაქციაში: კოსტავას ქ. №14, მეოთხე სართული, ტელეფონები: 98-96-34, 98-96-33, 98-96-32; 899 17-21-21, 899 53-16-76, 899 56-81-86, 899 36-00-35, 899 79-76-79...

„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქცია.

გახსენება

## ვატო ფიფია

უდარდელი ლაღი ბავშვობა თერთმეტი წლის ასაკში 23 მარტს დასრულდა. დაიწყო უსასრულო ფიქრი გარდაცვალებაზე. ღამ-ღამობით ჩუმად ტირილი ისე, რომ არავის გაეგო. რატომღაც სასაფლაოსთვის ყვავილების გემოვნებით შერჩევაც ადრე ვისწავლეთ...

**ვატო** აღარ არის, – გვითხრეს და ტვინში წითელი ასოებით დაიწერა დასასრული.

მიუხედავად იმისა, რომ ნათლად გვახსოვს ვატოსთან ერთად გატარებული დღეები და წლები, ძალიან ბუნდოვნად გვახსენდება მისი საავადმყოფოში ყოფნის და პანაშვიდების დღეები. მხოლოდ ერთი რამ ხშირად გვიდგება თვალწინ. ეს ვატოს დედის სახეა, რომელიც ჩუმად იჯდა ოთახის კუთხეში სავარძელში და თითქოს ძარღვებში სისხლი ჰქონდა გაყინული.

დრო მიდის. ჩვენ, შენი მეგობრები, მეთხუთმეტე წელია, 23 მარტს შენ საფლავზე ვიკრიბებით. ვიხსენებთ ყველაფერს. ამ დროს ყოველთვის შენ ლამაზ ღრმა თვალებს ვხედავთ, რომლებსაც ბევრჯერ გაუკვალავს ჩვენთვის გზა. ჩვენ, შენი მეგობრების უმეტესობას უკვე დიდი შვილები გვყავს. ვიცით, შენ ისინი ძალიან გიყვარს და სადაც ხარ, იქიდან მფარველობ მათ. გვჯერა, ჩვენს სულიერ სიმშვიდეზეც შენ იზრუნებ.

ვატო, ყველაფერი იცვლება, ვიცვლებით ჩვენც. შეცვლილია ის ქუჩები, სახლები, ეზოები, სკოლა და, საერთოდ, ის გარემო, რასაც ჩვენი ბავშვობა ჰქვია. ერთადერთი – დრომ შენი დედის ძარღვებში ვერ გაათბო სისხლი, რომელიც 15 წლის წინ გაიყინა... გვენატრები.

5 მაისს ვატოს დაბადების დღეა, რამე მოვიფიქროთ, იქნებ შევიკრიბოთ და თუნდაც ვიცეკვოთ დილამდე, ოღონდ ვიცეკვოთ ისე, რომ ყველას ყურადღება მივიქციოთ...

**ვატოს მეგობრები**

**სურათზე: ვატო ფიფია მეგობრებთან ერთად (მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი).**



მეუღლე ნანა, შვილები თინიკო, ალეკო, რძალი ნინო კაკაბაძეები, სიძე მიშა ჭანტურია, შვილიშვილები სერგი, დუდუ ჭანტურიები, ნაწუკა, თორნიკე კაკაბაძეები, და ნანი კაკაბაძე, სიძე გივი მათიაშვილი, ძმისცოლი დალი გიუნაშვილი, დისწულები ინგა, გიორგი მათიაშვილები, ძმისწულები გიორგი, ლევან კაკაბაძეები იუწყებიან
სერგო (კაჭუძ კაკაბაძის
გარდაცვალებას.

პანაშვიდი 7, 8 V, 17 სთ. გამოსვენება 9 V, 14 სთ. დიღმის მასივი, III კვ. II კორპ. XII სართული.

ⓞ რეპლიკა

# ქალბატონი კვადრატში,

## ანუ რა არის კვადრატი?

**ეგებ დაგვეთანხმოს მკითხველი, რომ ჩვენს ტელეეკრანებზე არაერთი ბრიყვული რეკლამა „ტრიალებს“ (ფული ბითუროებას ხშირად იტანს!). ერთ კონკრეტულ მაგალითზე მინდა ყურადღების გამახვილება.**

საზოგადოებრივი მაუწყებლობის (რატომღაც „მაუწყებლის“ რომ ამბობენ) ეკრანზე მიდის ჩანართი „სკოლა ყველასათვის“, სადაც ერთი ქალბატონი, მათემატიკაზე საუბრისას, ასე „განმარტავს“ კვადრატს: „კვადრატი არის გეომეტრიული ფიგურა, რომელსაც ოთხივე გვერდი ტოლი აქვს“. ელემენტარული გეომეტრიის „მასალაა“ და ელემენტარულად არ არის სწორი! რომბიც გეომეტრიული ფიგურაა, რომელსაც ოთხივე გვერდი აქვს ტოლი, მაგრამ კვადრატი არ გახლავთ...

სირცხვილია ისეთ „მათემატიკურ“ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ტელეეკრანიდან მსგავსი რამ გაისმოდეს და თუ იმ ქალბატონმა ეს ვერ შენიშნა, ვისაც ალაპარაკებენ, ამოდენა ტელეკომპანიაში ვინმეს ხომ უნდა ენახა, რას უშვებდნენ, ასე როგორ დაავიწყდათ სასკოლო გეომეტრია...

კვადრატს რაც შეეხება, თუ მართკუთხედი უკვე განსაზღვრულია, შეიძლება უბრალოდ თქმა: „კვადრატი არის ტოლგვერდა მართკუთხედი“...

**ლუკა გორგაძე**

ⓞ ვარსკვლავები



**თხუთმეტი წლის ქვორიანქა ქილჩერი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი ქალია იმათ შორის, ვისაც შარშან მთავარი როლით ჰქონდა დებიუტი და უმალვე ახლად ანთებულ ვარსკვლავად იქცა.**

# ფლამენკო, კუნ-ფუ, დიზაინი...

იმისი უცნაური სახელი ინკების ენიდან ითარგმნება, როგორც „ოქროს არწივი“. მამა ინდიელი ჰყავს, დედა – შვეიცარიელი. სწორედ ინდიელი გოგონა პოკახონტასი ითამაშა ქვორიანქამ რეჟისორ თერენს მალიკის ფილმში „ახალი სინათლე“, სადაც პარტნიორად თვით ქოლინ ფარელი ჰყავდა.

„მართალი გითხრათ, მაშინებდა ის აზრი, რომ ჰოლივუდელი მსახიობი გავხდები, მალიკის სურათში გადამიღებენ. მე არც ვიცოდი, თუ როგორ მელაპარაკა ფარელთან, – ჰყვება ქილჩერი. – ის ძალიან ყურადღებით მომექცა, დამატარებდა გადასაღებ მოედანზე, ყველაფერს მაცნობდა“...

პოკახონტასისა და ინგლისელ ჯონ სმითის კოცნა პირველი იქნებოდა დებიუტანტის ცხოვრებაში. ეს რომ გადაღების წინ შეიტყო ფარელმა (რომელიც სმითის როლს ასრულებდა), ხუთწუთიანი შესვენება ითხოვა, რომ პირში სალეჭელა ჩაედო. „სხვანაირად გოგონას ეგონება, საფერფლეს ვკოცნიო“...

ქილჩერი მშვენივრად ცეკვავს ფლამენკოს, ვარჯიშობს კუნ-ფუში და ტანისამოსის დიზაინითაც არის დაკავებული. თვითონ მოიფიქრა კაბა, რომელიც „ახალი სინათლის“ პრემიერაზე ეცვა.

ამჟამად გოგონა, რომელიც ბავშვობაში მომღერლობაზე ოცნებობდა, თავისი სიმღერების ჩაწერითაა გართული, ამუშავებს ინდიელთა სიმღერებს და ჰავაურ მელოდიებს, ცდილობს როკ-მუსიკისა და ფლამენკოს რიტმების შეერთებას.

წლეულს ქილჩერი აპირებს რომელიმე ისეთ ბოევიკში თამაშს, სადაც კუნ-ფუს ხელოვნების ფლობის დემონსტრირებას შესძლებდა. თანაც ეკრანზე უმცროს ძმასთან ერთად გამოჩენაზე ოცნებობს: „ისიც დადის კუნ-ფუზე და აუცილებლად ვთხოვ რეჟისორს, რომ ძამიკო ჩემთან ერთად ათამაშოს“...

ⓞ დარია თუ ავდარია

## ამინდი 6 მაისს



**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +15⁰ – +22⁰, ღამით +9⁰ – +11⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +8⁰ – +14⁰, ღამით +5⁰ – +10⁰.

**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +10⁰ დღისით +19⁰.

**ბათუმი** – ღ. +13⁰, დ. +18⁰; **სოხუმი** – (წვიმა) ღ. +11⁰, დ. +20⁰; **ქუთაისი** – ღ. +12⁰, დ. +23⁰; **ოზურგეთი** – ღ. +11⁰, დ. +21⁰, **ზესტაფონი** – ღ. +12⁰, დ. +20⁰; **რუსთავი** – ღ. +10⁰, დ. +19⁰; **ფოთი** – ღ. +14⁰, დ. +23⁰; **მესტია** – ღ. +7⁰, დ. +12⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +8⁰, დ. +15⁰; **თელავი** – ღ. +8⁰, დ. +19⁰; **გორი** – ღ. +11⁰, დ. +21⁰; **ახალციხე** – ღ. +9⁰, დ. +20⁰; **ბორჯომი** – ღ. +11⁰, დ. +20⁰; **ცხინვალი** – ღ. +9⁰, დ. +18⁰; **სამტრედია** – ღ. +14⁰, დ. +26⁰; **ზუგდიდი** – ღ. +12⁰, დ. +22⁰; **ჭიათურა –** ღ. +12⁰, დ. +23⁰.

ⓞ ლარის კურსი

**6 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3579 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8152 ლარი |
| ევრო | 1 | 2,3033 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0669 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 2,0104 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6181 ლარი. |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.